

ISSN 2346-8416

# აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის სამ თვეში ერთხელ

1

იანვარი – თებერვალი – მარტი

თბილისი

2017

„არმატანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

კურნალი დაარსებულია 2016 წ.

მაგალითობურას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე



أَكْبَرُ عَلَى إِنْسَانٍ

## ალ-ჯაპიზი

### (VII ს.)

ალ-ჯაპიზის „წიგნი ძუნწებზე“ ეს არის პატარ-პატარა არაბული საყოფაცხოვრებო მოთხრობები მომჭირნე ვაჭრებზე, სიძუნწით განსაკუთრებით გამორჩეულ ხორას-ნელებზე, ბასრელ მეჩეთელებზე – მოქალაქეებზე, რომელთა თავშეყრის ადგილა მეჩეთი, სადაც ისინი საუბრობენ, მსჯელობენ საერო თუ პირად საქმეებზე, კამათობენ და ბჭობენ ხელმომჭირნეობაზე. ავტორი აგვინერს იმდროინდელი (VII ს.) სახალიფოს კულტურულ და ეკონომიკურ აღმავლობას და მაშინდელი ყოფის ამსახველ სურათებს. მას წერის თავისებური მანერა აქვს, გამოირჩევა უბრალობითა და ენამზეობით. არა-ბულ ლიტერატურაში იცნობენ, როგორც „მჭევრმეტყველების იმამს“. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არაბულში გაჩნდა ზმნის ახალი ფორმა – „თაჯაპაზა“ („ჯაპიზივით წერა“, „ჯაპიზად ქცევა“).

## ციტი ძუნწებზე თავშესაქცევი ამბები

### ალ-მაქისგან<sup>1</sup> გვსმენია:

ერთხელ ისმაილ იბნ დაზვანთან<sup>2</sup> გავათიერ დამე. მან მხოლოდ იმიტომ დამტოვა, რომ მუვაისთან ახალი ნავახშმი ვიყავი და ერთი ტიკი ღვინოც თან მქონდა. შუალამისას ძილი მომერია, ნოხზე წამოვწექი და თავქვეშ ხელი ამოვიდე. სახლში მხოლოდ სალოცავი ნოხი, ერთი დიდი და ერთი პატარა ბალიში ჰქონდა. მან ბალიში მესროლა, მე ვიუარე და უკან დავუბრუნე. თავის მხრივ, მანაც უარი თქვა. „დიდება ალაპს, ნუთუ თავქვეშ ხელს ამოიდებ მაშინ, როცა სახლში ზედმეტი ბალიშია?“ – იკითხა მან. მაშინ გამოვართვი, თუმცა ახალ ადგილზე და, ამასთან, მაგარ საწოლზე არ დამეძინა. იმან კი იფიქრა, ჩაეძინაო, მომიახლოვდა და ბალიში ფრთხილად გამომაძრო. გამეცინა და ვუთხარი, შენ ხომ ეს ბალიში არ გჭირდება-მეთქი!

– მე მარტო ბალიშის შესწორება მინდოდა, – თქვა იბნ დაზვანმა.

– კი მაგრამ, მე რომ გამოგელაპარაკე, ბალიში უკვე მიგქონდა, – ვუთხარი მე.

– ნასალებად ნამდვილად არ მოვსულვარ, მაგრამ, როდესაც ბალიში ჩემს ხელში აღმოჩნდა, სულ დამავიწყდა, რისთვისაც შემოვედი, ხომ იცი, ღვინო მეხსიერებას აჩლუნგებს, – თავი იმართლა ისმაილ იბნ დაზვანმა.

### ალ-პიზამი, ალ-მაქი და ალ-არუდი იხსენებდნენ:

ერთხელ ისმაილმა თქვა: ნუთუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ძუნწები გულუხვებზე ჭკვიანები არიან? აი, ყველანი აქა ვართ. ჩვენ შორის ისეთებიც არიან, რომელთაც ხალხი ძუნწებად თვლის, ისეთებიც, რომელნიც ხელგაშლილებად მიაჩინათ. დაუკვირდი და მითხარი, ვინ უფრო ჭკვიანია? ერთ მხარეს ვარ მე, ჩემთან ერთად არიან: საპლ იბნ ჰარუნი<sup>3</sup>, ჰაკან იბნ სუბაიჰი<sup>4</sup>, ალ-არუდი<sup>5</sup>, აბუ ისჰაკი<sup>6</sup>, აბუ იაკუბ ალ-ჰურაი-

<sup>1</sup> ალ-მაქი – ალ-ჯაპიზის მეგობარი და თანამოაზრე.

<sup>2</sup> ისმაილ იბნ დაზვანი – დოგმატური ღვთისმეტყველების ერთ-ერთი წარმომადგენელი.

<sup>3</sup> საპლ იბნ ჰარუნი – აბასიდთა ეპოქის ცნობილი მწერალი, სპარსული წარმოშობის.

<sup>4</sup> ჰაკან იბნ სუბაიჰი – ავტორის, ალ-ჯაპიზის მეგობარი.

<sup>5</sup> ალ-არუდი – ბასრელი პოეტი და პროსოდიის ხელოვანი.

<sup>6</sup> აბუ ისჰაკი – სასაცილო თავგადასავლებისა და ანეკდოტების დიდოსტატი.

მი<sup>1</sup>, ალ-ჰიზამი<sup>2</sup>, ჯაფარ იბნ საიდი<sup>3</sup>. შენთან კი ვინ არის? მგონი, მარტო აბუ ისჰაკი.

### ალ-მაქი განაგრძობდა:

ისმაილისთვის მითქამს: ჯერ არ შემცვედრია კაცი, რომელსაც თავისი ქონება მეგობრებზე დაეხარჯა და გაჭირვების უამს რომელიმე მათგანი გამოსდგომოდამეთქი. მან ასე მიპასუხა: „მათი საქციელი რომ ალაპის სურვილს შეესაბამებოდეს ან რაიმე გამართლება ჰქონდეს, მაშინ იგი არ მოუვლენდა მათ მთელი ამ ქვეყნის სიმუხ-თლესა და ვერაგობას. ეს ხარჯები რომ საჭიროებისამებრ გაეღოთ, მაშინ ალაპი – დიდებულმც არს ხსენება მისი – არ გამოარჩევდა მათ სხვა ქმნილებათა შორის და ასეთ გამოცდას არ მოუწყობდა“.

### თამამ იბნ აბუ ნუაიმმა მოგვითხო:

– ერთი მეზობელი გვყავდა. თავის ქორწილში ისეთი სუფრა გამალა, სტუმრებს სულ ფალუზაჯით<sup>4</sup> გაუმასპინძლდა. როდე-საც უთხრეს, ეს რა დიდი ხარჯი გაგინევია, მან უპასუხა: „ასეთ დიდ ხარჯს იმიტომ ვენევი, რომ მალე მოვისვენო. ალაპმა დასწყევლოს ქალები, თუმცა, ვინც ქალის ჭკუ-აზე დადის, ის ქალზე უარესია!“

### აი, ამბავი, რომელმაც ჩვენამდე გადმოცემით მოალწია:

ერთი კაცი ისე უსაზღვროდ ძუნნი იყო, რომ თავისი სიძუნნით იმამობას იმსახურებდა. როგორც კი დირპამი ხელში ჩაუვარდებოდა, დაუზყებდა საუბარს, ჩურჩულს, თავს ევლებოდა და ეუბნებოდა: „აღბათ, რამდენი მიწა გადმოლახე, რამდენი ქისა მიატოვე, რამდენი მდაბალი აამაღლე და ამაღლებული – დაამდაბლე. ჩემს ხელში არც შიშველი იქნები, არც მსხვერპლად შეენირები“. შემდეგ ქისაში აგდებდა და თან დასძენდა: „ალაპის სახელით, ისეთ ადგილზე მოისვენე, სადაც არც არავინ და-გამცირებს, არც შეურაცხებულს და არც

შეგაწუხებს“. მართლაც, თუ ერთხელ ჩააგდებდა ქისაში, უკან ალარც ამოიღებდა.

ერთხელ ოჯახის წევრებმა დაუინებით მოსთხოვეს დირპამის დახარჯვა. იგი დიდ-ხანს უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ საბოლოოდ დანებდა და ქისიდან ამოიღო. გზად მიმავალმა თვალი მოჰკრა გველთ შემლოცველს, რომელიც ერთი დირპამის-თვის გველს კისერზე იხვევდა.

„ერთი დღის საჭმელ-სასმელის გამო ისეთი ნივთის მოსპობას ვაპირებ, რომლის-თვისაც ხალხი სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს. ვფიცავ, ამაზე თვით ალაპმა მიმითოთა,“ – გაიფიქრა მან. მაშინვე სახლში დაბრუნდა და დირპამი კვლავ ქისაში ჩააგდო.

ოჯახი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, მისგან თავის დაღწევას ნატრობდა და კაცს სიკვდილსაც კი უსურვებდა. როდესაც გარდაიცვალა, იფიქრეს, მოვისვენეთო, მაგრამ ჩამოვიდა მისი ვაჟი და, დაეპატრონა თუ არა სახლსა და ქონებას, უმაღვე იკითხა:

– რას ატანდა პურს მამაჩემი? ყველაზე დიდი მავნებლობა ხომ საკმაზს მოაქვს!

– პური და ყველი უყვარდა, – უპასუხეს.

– მაჩვენეთ ერთი ის ყველი, – მოითხოვა ვაჟმა.

როდესაც ყველი მოუტანეს, ზედ უმნიშვნელო ნაჭდევი შეამჩნია, პურის შეხებისაგან რომ გაჩერილიყო.

– ეს რა ჩალრმავება? – იკითხა შვილმა.

– მამაშენი ყველს არ ჭრიდა, ზევიდან უხახუნებდა პურს და იმისგანაა, – აუხსნეს.

– აი, თურმე რამ დამღუპა და დამაქცია! ეს რომ ადრე მცოდნოდა, მისთვის არაფრით არ ვილოცებდი, – წამოიძახა შვილმა.

– შენ რას აპირებ? – შეეკითხნენ.

– მე ყველის ნაჭერს მოშორებით დავდებ და პურის ლუკმას მხოლოდ შორიდან ავუქნევ, – განაცხადა ვაჟმა.

ბოლო სიტყვები არ მომწონს, გაზვია-დებამ ზღვარი არ იცის! ჩვენ მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც წამდვილად მოხდა, ან რაც

<sup>1</sup> აბუ იაკუბ ალ-ჰურაიმი – სოლდიელი არაბი პოეტი.

<sup>2</sup> ალ-ჰიზამი – ერთ-ერთი ძუნნთა შორის, ალ-ჯაპიზის ხშირი ადრესატი.

<sup>3</sup> ჯაფარ იბნ საიდი – ას-საურის, იმხანად ცნობილი პიროვნების, მეგობარი.

<sup>4</sup> ფალუზაჯი – ტკბილი კერძი, დამზადებული სახამებლის, წყლისა და თევზისაგან.

შეიძლებოდა მომხდარიყო, ეს ნათქვამი აქ არ უნდა მოგვეყვანა. სხვა მხრივ კი, ამ კაცის ამბავი ნამდვილად აქ მოსატანია.

### იბნ ჯუჰან ას-საკაფიას<sup>1</sup> უთქვამს:

— ძალიან მიკვირს, როდესაც კაცს ღვინოზე უარს ეუბნებიან. ღვინოს ხომ მხოლოდ სისხლის გამოშვების დღეს ითხოვენ, ან კიდევ მაშინ, როდესაც წურბლებს იკიდებენ, წამალს იღებენ, როცა სტუმარი ჰყავთ, ან ახალ თევზზე მიირთმევენ. არ მეგულება ქვეყნად ადამიანი, რომელსაც საკუთარი ღვინო ჰქონდეს და სხვისგან მხოლოდ იმიტომ ითხოვდეს, რომ თავისი შეინახოს, დააგროვოს, მერე გაყიდოს და ფული მოიგოს. ღვინის თხოვნა სირცხვილი არ არის, გაცემა კარგია, მისი ზემოქმედება — სასიამოვნო. რა აზრი აქვს უარის თქმას? ღვინოზე უარს მხოლოდ ისეთი კაცი გეტყვის, რომელსაც იოტისოდენა კეთილშობილება არ გააჩნია.

— მე ღვინო არ მაკლია, მუდამ ბევრი მაქვს, რადგან, როდესაც სუფრაზე გამომაქვს, თვითონ ვიმალები, სტუმრები უჩემოდ არ სვამენ და ღვინოც ხელუხლებელი რჩება. ამგვარად, სტუმრებს კეთილი გულით ვმასპინძლობ და, თანაც, არ ვზარალობ. ვინც ხალხს უარს ეუბნება იმაზე, რაშიც ზარალს არ ნახულობს, რა თქმა უნდა, უარს ეტყვის იმაზედაც, რაც ზარალის მომტანია.

იბნ ჯუჰან ას-საკაფია სიამაყით ყვება ამას, კეთილშობილებასაც იჩენს, როდესაც სტუმრებს ღვინით უმასპინძლდება, მაგრამ იმაზე კი აღარაფერს ამბობს, რა სიმდაბლეს სჩადის, როცა იმალება.

### ალ-ასმაი<sup>2</sup> (ან იქნებ სხვა) გვიამბობდა:

— მედინელმა ერთ კაცს ცხენი აჩუქა. მან ღამით იგი საჯინიბოში, ბაგასთან დაბა. როდესაც გაიღვიძა, დაინახა, რომ ცხენი ჭამდა და მონას დაუძახა:

— ეს ცხენი ან გაყიდე, ან გააჩუქე, ან

დააბრუნე და ან დაკალი. როცა მე მძინავს, მას არ სძინავს და ჩემს ფულებს ანადგურებს. ნამდვილად ჩემი დაღუპვა განუზრახავს!

### აბუ-ლ ჰასან ალ-მადაინი<sup>3</sup> ირწმუნება:

მედინაში ერთი ფინიკით მოვაჭრე კაცი ცხოვრობდა. მისი ახალგაზრდა მსახური ხანდახან დუქანში შეივლიდა ხოლმე. პატრონი დაეჭვდა, ალბათ ფინიკის ჭამსო და ერთხელ ჰკითხა კიდევაც, მაგრამ მსახურმა ცივად იუარა. მაშინ ვაჭარმა ბამბა მოატანინა და უბრძანა: „დაღეჭე!“ მსახურმა ბამბა დალეჭა, როდესაც პირიდან გამოილო, ვაჭარმა ზედ ყვითელი ლაქები შეამჩნია და უყვირა, შენ თურმე ყოველდღე ამ საქმეში ხარ, მე კი არაფერი ვიცი, ახლავე გაეთრიე ჩემი სახლიდანო.

ბანუ ასადის ტომიდან ერთ კაცს ვიცნობდი. როდესაც მის პალმაზე გლეხის ბიჭი ავიდოდა ფინიკის მოსაწყვეტად, პირს წყლით უვსებდა. ხალხი ამ კაცს დასცინოდა და ეუბნებოდა, ის წყალს ყლაპავს, ფინიკის ჭამს და, როდესაც პალმიდან ჩამოსვლას დააპირებს, პირს თავისივე შარდით ივსებსო.

ახალი ფინიკი გლეხის ბავშვებისათვის იმდენად ხელმისაწვდომია, არავინ ჩაიდენს ამ სისაძაგლეს! მიუხედავად ამისა, როგორც გადმოგვცემენ, ეს კაცი ბიჭს პალმაზე ასვლის წინ პირს მაინც ყვითლად, წითლად ან მწვანედ შეღებილი წყლით გაუვსებდა ხოლმე, რომ პალმის კენწეროზე არ ჩაედინა ის, რასაც ხალხი სწამებდა.

### ად-დარდურიშის (ეს ად-დარდურიში უთვალავი ქონების პატრონი გახლდათ) მეზობელმა, ალ-მისრიმ გვიამბო:

ერთ დღეს ად-დარდურიშთან ვიყავი, მის სახლთან მათხოვარი გაჩერდა. ად-დარდურიშმა მათხოვარი გააგდო. შემდეგ მეორე მიადგა კარზე — ისიც გააგდო, ამჯერად უკვე გაბოროტებულმა და განრისხე-

<sup>1</sup> იბნ ჯუჰან ას-საკაფია — ალ-ჯაპიზის თანამედროვე.

<sup>2</sup> ალ-ასმაი (აბუ საიდ) — უდიდესი არაბი ფილოლოგი, ალ-ჯაპიზის მასწავლებელი.

<sup>3</sup> ალ-მადაინი (აბულ-ჰასან) — ცნობილი არაბი ისტორიკოსი და ლიტერატორი, ისლამამდელი და ისლამის ადრეული საუკუნეების მკვლევარი.

ბულმა. მე მივუახლოვდი და ვკითხე, რა-  
ტომ გეჯავრება მათხოვრები-მეთქი?

— მაგათ რომ უფლება მივცე, სახლს  
დამინგრევენ, სიცოცხლეს გამომასალმე-  
ბენ, — მიპასუხა ად-დარდურიშმა, — რამ-  
დენჯერაც მთხოვენ, იმდენჯერვე რომ  
უუწყალობო, ცოტა ხანში მათ დავემსგავსე-  
ბი. როგორ ფიქრობ, რა სიძულვილი უნდა  
მამოძრავებდეს იმ ადამიანისადმი, ვინც  
ამას მისურვებს?!

ძმა ყველაფერში მას წააგავდა, რა თქმა  
უნდა, სიძუნნეშიც. ერთხელ, პარასკევ  
დღეს, ად-დარდურიშის სახლის კარებთან  
ვისხედით. მისმა ძმამ წინ ახალი ფინიკით  
სავსე სინი დაგვიდგა. ბასრაში ისეთი ფინი-  
კი ორი დანიკი<sup>1</sup> ღირდა.

უცპად ად-დარდურიში გამოჩნდა, ჩაგ-  
ვიარა და მინ უსალმოდ შევიდა. ჩვენ ძალი-  
ან გაგვიკვირდა, რადგან ყოველთვის ზედ-  
მეტ თავაზიანობას იჩენდა სტუმრებისად-  
მი, თითქოს ამით სურდა თავისი სიმდიდ-  
რის დაცვა. ამასთან, კარგად იცოდა, რომ,  
წუწურაქობასთან ერთად თუ ამპარტავნო-  
ბასაც შენიშნავდნენ, სიკვდილი არ ასცდე-  
ბოდა.

რა იყო მისი ასეთი საქციელის მიზეზი,  
ვერც ერთმა ვერ აქხსენით. მეორე პარას-  
კევს ძმამ ისევ გამოგვიტანა ფინიკი, ამ  
დღროს ად-დარდურიში სახლიდან გამოვიდა  
და არც ამჯერად მოგვესალმა. კვლავ ვერა-  
ფერი გავიგეთ, ვერ მივხვდით, რა აზრი იყო  
ამაში ჩადებული. როდესაც ად-დარდურიშ-  
მა მესამე პარასკევსაც იმავე მდგომარეო-  
ბაში მოგვისწრო, თავის ძმას წერილი მის-  
წერა: „ძმაო, ჩვენ ერთმანეთს შევუკავშირ-  
დით და ქონება არ გავიყავით ჯერ კიდევ  
მაშინ, როდესაც რამდენიმე შვილი გვყავ-  
და. ახლა კი შვილებს მომრავლებამ შეიძ-  
ლება განხეთქილება ჩამოაგდოს. მეშინია,  
ჩვენი შვილები ცუდ გზას არ დაადგნენ.  
ჩემს სახელზეა ქონება, რომლის ნახევარი  
შენია. შენს სახელზეც არის ქონება, რომ-  
ლის ნახევარი ჩემია. მეც მაქვს ოქრო და  
შენც და არც ერთმა არ ვიცით, რომელს  
გვაქვს უფრო მეტი. თუ ალაპის ნებით  
ჩვენს შვილებს შორის უთანხმოება არ შეწ-  
ყდა, ჩვენი ქალების ჩხუბსა და ყვირილს

დასასრული აღარ ექნება. უმჯობესია, ამის  
მიზეზი დღესვე მოვსპოთ“.

როდესაც ძმამ წერილი წაიკითხა,  
მდგომარეობა ძალიან სახითათოდ მიიჩნია  
და შეშინდა. მან ბევრი იფიქრა, ყველაფერი  
აწონ-დაწონა, მაგრამ წერილის დაწერის  
მიზეზს ვერ მიხვდა. მაშინ თავისი შვილები  
შეერიბა და საკმაოდ მკაცრად იკითხა: „იქ-  
ნებ, თქვენდა უნხებურად, ცუდი რამ წამოგ-  
ცდათ, ან იქნებ ქალები არიან ამაში დამნა-  
შავე?“ როდესაც დარწმუნდა, რომ მისი  
სახლეული უდანაშაულო იყო, ფეხშიშველა  
წავიდა ძმასთან: რატომ გაგიჩნდა გამოყო-  
ფის სურვილიო? – ჰკითხა.

– მოიყვანე მორწმუნები, მეჩეთის ხალ-  
ხი და მათი თანდასწრებით გეტყვი, რომ შე-  
გიძლია მენდო. ქონებიდან არაფერს დაგი-  
კარგავ, ყველაფერი, რაც ჩემს სახლშია,  
შენს სახლში გადაიტანე, შეამოწმე, დაით-  
ვალე და, თუ დაინახავ, რომ გატყუებ და  
ვთვალთმაქცობ, როგორც გინდა, ისე მოი-  
ქეცი.

– გამარკვიე, რა დავაშავე.

– არავითარი დანაშაული არ მიგიძლვის,  
მაგრამ გამოყოფა მაინც აუცილებელია, –  
იყო პასუხი.

შუალამედე დარჩა ძმასთან და ემუდა-  
რებოდა, აეხსნა, რაში ადანაშაულებდა. ბო-  
ლოს ად-დარდურიშმა შეიბრალა და უთ-  
ხრა:

– რას მეტყვი იმ ფინიკით სავსე ლან-  
გრებზე, სტუმრებს რომ მიართმევ ხოლმე,  
ხალიჩებზე, ქუჩაში რომ აგებ, ცივ წყალზე,  
რომელსაც მათ ასმევ? მითხარი, ვინ არის  
ის ხალხი, პარასკევიბით ჩემი კარის წინ რომ  
უყრი თავს? შენ გგონია, ბრმა ვარ და ვერა-  
ფერს ვხედავ? დღეს მათ ფინიკ ბარიმას აჭ-  
მევ, ხვალ – ფინიკ სუქარით, ზეგ კი ფინიკ  
ჰილბასით გაუმასპინძლდები. გარდა პა-  
რასკევისა, ეს კვირის სხვა დღეებშიც გან-  
მეორდება, მერე ფინიკი სადილად იქცევა,  
სადილს ვახშამი მოჰყვება. ამის შემდეგ  
ტანსაცმელზე გადახვალ, იქიდან – თიქნებ-  
ზე, ბატკნებზე, ბოლოს დასაჩუქრებას და-  
იწყებ. ვფიცავ ალაპს, ამ უბედურებას არც  
ერთ სახელმწიფოს და არც ერთ ხაზინას არ  
ვუსურვებ, მით უმეტეს, ვაჭრის ქონებას,

<sup>1</sup> დანიკი – ა. წონის ერთეული ბ. ფულის ერთეული (მეექვსედი დირჰამი).

რომელიც ჰაბებით<sup>1</sup>, კირატებით<sup>2</sup> და დანიკებით არის შეგროვილი.

— დაე, ვიყო შენდა სანაცვლოდ, — უპასუხა ძმამ, — შენ არ გსურს, რომ ფინიკით გაცუმასპინძლდე? კეთილი, ვფიცავ ალაპს, ხმასაც აღარ გავცემ მათ!

— იცოდე, ორი შეცდომა ერთად არ დაუშვა: ერთი — არ დააიმედო ხალხი, მეორე — არ გადაიმტერო. დაამთავრე ეს საქმე ისევე, როგორც დაიწყე, დამიჯერე. და მშვიდობა შენდა!

### ამბავი აბუ-ლ ჰუზაილისა<sup>3</sup>

ერთხელ აბუ-ლ ჰუზაილმა მუვაისს ქათამი აჩუქა. ეს ქათამი გაცილებით უარესი იყო იმ ქათმებზე, რომლებიც მუვაისთან მოჰყავდათ ხოლმე. მუვაისი იმდენად კეთილშობილი გამოდგა, რომ არაფერი შეიმჩნია, მხოლოდ აღტაცება გამოთქვა ქათმის სიმსუქნისა და გემრიელი ხორცის გამო, რადგან კარგად უნყოდა ჰუზაილის სიძუნე.

— ო, აბუ იმრან, როგორ მოგწონს ჩემი ქათამი? — ჰერითხა აბუ-ლ ჰუზაილმა.

— ნამდვილი სასწაულია! — უპასუხა მუვაისმა.

— იცი, რა ჯიშისაა, იცი რამდენი წლისაა? ეს ქათამი არ დაინუნება არც ჯიშით, არც ასაკით. აბა, თუ იცი, რას ვაჭმევდით, რითი გავასუქეთ? — გაუთავებლდ ეკითხებოდა აბუ-ლ ჰუზაილი.

მუვაისს ულვაშებში ეღიმებოდა. მარტო ჩვენ გვესმოდა მისი, აბუ-ლ ჰუზაილი კი ვერაფერს ხვდებოდა, რადგან მეტად გულუბრყვილო და უემბაკო იყო.

როგორც კი ვინმე სიტყვას ქათამზე ჩამოაგდებდა, ჰუზაილი უმალვე იტყოდა:

— ო, აბუ იმრან, ეს იმ ქათამთან როგორ მოვა!

თუ იხვის, თიქნის, აქლემის ან ძროხის ხორცს ახსენებდნენ, მაშინვე ჩაურთავდა, ეს ხორცი იმ ქათმის ხორცს როგორ შეედრება.

მსუქან ფრინველს ან ცხოველს დაინახავდა თუ არა, აუცილებლად აღნიშნავდა, არა, ვფიცავ ალაპს, იმ ქათამივით მსუქანი არ არისო.

ლაპარაკი ქონზე თუ ჩამოვარდებოდა, ამბობდა, ძალიან გემრიელია ძროხის, იხვის, ქათმის და თევზის მუცლის ქონი. განსაკუთრებით კი — იმ ჯიშის ქათმებისაო.

როდესაც რაიმე ამბავს ყვებოდნენ ან მავანის ჩამოსვლას მოიგონებდნენ, აუცილებლად დასძენდა, ეს მოხდა ერთი წლის შემდეგ, რაც ქათამი გაჩუქეო. ან კიდევ: მავანისა და მავანის ჩამოსვლის და იმ ქათმის გამოგზავნის მერე ერთი დღე გავიდაო. იგი ყველაფერში სანიმუშოდ ჰყავდა და დროსაც იმით საზღვრავდა.<sup>4</sup>

ერთხელ მუჰამად იბნ ალ-ჯაპმისთან ვიყავით, აბუ-ლ ჰუზაილი მიუბრუნდა მას და ეუბნება:

— მე ის კაცი ვარ, ვისაც ხელისგულები დაჩხვლეტილი აქვს და ხელში არაფერი უჩერდება. აი, ამ ხელმა შეძენა იცის, მაგრამ მფლანგველია. როგორ ფიქრობ, რამდენი ასეული დირჰამი დაურიგებია მეგობრებისათვის წვეულების დროს? ამას აბუ ისმანი გვეტყვის. გვედრები, აბუ ოსმან, ალაპის გულისათვის, თქვი!

— აბუ-ლ ჰუზაილ, ეჭვი არ გვეპარება შენს სიმართლეში, — ვუპასუხე მე, მაგრამ იგი ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა და მაიძულა, დამემონმებინა, შემდეგ არც ამას დასჯერდა და მომთხოვა, დაიფიცეო.

### აბუ საიდ ალ-მადაინი

აბუ საიდ ალ-მადაინი ცნობილი იყო ბასრაში პურძვირობით, მაგრამ, ამასთანავე, თავისი სიმდიდრითა და ენამჭევრობითაც გამოირჩეოდა. მუდამ მზად ჰქონდა დასაბუთებული პასუხი და ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა შეეძლო.

მე მიკვიდდა, როგორ განმარტებას აძლევდნენ ჩემი ამხანაგები არაბულ გამოთქმას: „ალ-ლამ არ-რადი“. ისინი ამბობ-

<sup>1</sup> ჰაბი — ა. მარცვალი; ბ. მცირე მონეტა.

<sup>2</sup> კირატი — წონის ერთეული (მისხლის მეოცედი).

<sup>3</sup> აბუ-ლ ჰუზაილ ალ-ალაფი — ისლამში მუთაზილიზმის რაციონალისტური მიმართულების დამარსებელთაგანი.

<sup>4</sup> ამ ამბების შემდეგ გამოთქმაც კი დამკვიდრდა — აბუ-ლ ჰუზაილის ქათამი. რაც იმას გულისმობდა, რომ უმნიშვნელო მოვლენას განადიდებდნენ.

დნენ: „ყველა ლაიმი ძუნწია, მაგრამ ყველა ძუნწი ლაიმი არ არის“. ლაიმი აერთიანებს სიძუნწეს, უმადურობას და სულის სიმდაბ-ლეს. როდესაც კაცს ლაიმს უნოდებენ, ყვე-ლა ეს მანკიერება ოდითგანვე ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი.

აბუ საიდი ამბობს: „არსებობს ლაიმი და მალამი. ლაიმი უკვე ავხსენი, რაც შეეხება მალამს, ეს ისეთი ადამიანია, ვინც ლაიმს ამართლებს. გამოთქმას „ალ-ლაიმ არ-რა-დი“ ხშირად იმის მიმართ იყენებენ, ვინც რძეს ჭურჭელში კი არ ჩაწველის, პირდაპირ ჯიქნიდან წოვს, ერთი წვეთიც რომ არ და-ექცეს. ხანდახან, როცა ბედუინი თავის მე-ტოქეს წყევლა-კრულვას დაატეხს თავს, ეტყვის: „თუ ტყუი, დამჯდარს მოგეწვე-ლოს“. ეს ნიშნავს, ალაპიმც შეგიცვლის კე-თილშობილ აქლემებს ცხვრებითო.

ჩვენ-ჩვენი წრე გვქონდა. აქ თავს იყ-რიდნენ ძუნწები და ჩარჩები. ისინი ცხოვ-რების ავ-კარგზე ბჭობდნენ და ერთად ირ-ჩევდნენ მომჭირნეობის ახალ გზებს. ერ-თხელ უური მოჰკრეს, აბუ საიდი ყოველ-დღე ალ-ჰურაიბის უბანში დადის ერთ კაც-თან, რომელსაც მისი ხუთი დირჰამი მარ-თებსო.

— ძალიან ცდება, — თქვეს მათ, — გონი-ერმა ადამიანმა თავისი უნდა გაიტანოს, მაგრამ ისე, რომ ზიანი არ მიადგეს. ჩვენს მეგობარს კი დიდ გასაჭირში ჩაუგდია თავი.

შემდეგ გარს შემოერტყნენ აბუ საიდს და უთხრეს:

— ვერ გაგვიგია, ასე რატომ იქცევი, სწორედ რომ საგონებელში ჩაგვაგდე. შენი შეცდომა უფრო თვალში საცემია, ვიდრე სხვისი. აგვიხსენი, რაშია საქმე! გაგვარ-კვიე, რად დადიხარ ყოველდღე ალ-ჰურა-იბში ხუთი დირჰამის მისაღებად. ვერ დაგ-ვარნმუნებ, რომ ამდენი სიარული არ გღლის. ხანში შესული კაცი ხარ, შეიძლება, ავად გახდე და ამ უმნიშვნელო თანხის მი-ზეზით დიდი თანხა დაკარგო; შეიძლება, დაღლილ-დაქანცულს ვახშამი მოგინდეს, თუ, რასაკვირველია, იმათ რიცხვს ეკუთ-ვნი, ვინც ვახშმობს. და, თუ არ ვახშმობ, იძულებული გახდები, ივახშმო. ხარჯებს თუ შევაჯამებთ, ხუთ დირჰამზე მეტი გა-მოგვივა. გარდა ამისა, ბაზარი უნდა გაია-რო, იქ ბევრი ხალხი ირევა: აგერ, დატვირ-თული სახედარი მოინევს შენკენ, აქეთ ვი-

ლაც ხელს გერავს, იქით ვიღაც დაგეტაკე-ბა. შენ კარგად გაცვია, ამდენ ჯიკავში ტან-საცმელი დაგეხევა და ფლოსტებიც გაგიც-ვდება. ამ არეულობაში, შესაძლოა, ფეხი წამოჰკრა რამეს და ნაფლეთებადაც აქციო, შარვალიც გაგიჭუჭყიანდება. მცირედის დაბრუნების სურვილი თავს დაგატეხს უბე-დურებას და სანაცვლოდ ვერაფერს მიი-ღებ. შენ ჩვენ შორის ყველაზე ღირსეული კაცი ხარ, გაგვარკვიე, რა ხდება! დარწმუ-ნებულნი ვართ, ვერ არის გონივრული საქ-ციელი.

— თქვენ ამბობთ, ბევრი სიარული დაგ-ლლისო? პირიქით, ჩემთვის ყველაზე საში-ში მოსვენება და უძრაობაა. მტვირთავებზე და მცველებზე ჯანმრთელი სხეული არავის აქვს. თუ ხალხი იხოცება, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლებად მოძრაობს. ამბობენ, ვფი-ცავ ალაპს, ესა და ეს მცველზე უფრო ჯან-მრთელიაო. ისინი იმ მცველებს გულისხმო-ბენ, რომელთაც აქეთ-იქით სირბილი უხდე-ბათ. ზოგჯერ, როდესაც ამა თუ იმ მიზე-ზით სახლში ვრჩები, რამდენჯერმე ავდი-ვარ და ჩავდივარ კიბეზე, უმოძრაოდ რომ არ ვიყო. რაც შეეხება ზედმეტ საჭმელს, ჩემმა სხეულმა იცის და გულიც შეგუებუ-ლია იმ ამბავს, რომ მხოლოდ იმას მიიღებს, რაც მისთვის განკუთვნილია. თუ სხეული დაღლილობის დღეების ანგარიშს წარმო-მიდგენს, მე დასვენების დღეების ანგარიშს წარვუდგენ და მაშინ იგი მიხვდება, რა გან-სხვავება ყოფილა „ჰურაიბისა“ და „ას-სა-კიფის“ დღეებს შორის. რაც შეეხება დატ-ვირთულ სახედრებს, ხელის კვრასა და ჯი-კავს, უნდა გითხრათ, რომ ბაზრის მოედანს მაშინ გადავჭრი, როდესაც ხალხი ლოცუ-ლობს. დაბრუნებით კი, ბაზრის უკანა მხრიდან ვპრუნდები; ახლა, რაც შეეხება შარვალსა და ფლოსტებს: სახლიდან გას-ვლისთანავე ფლოსტებს ხელში ვიჭერ, შარ-ვალს კი სახელოში ვიდებ. მოვალეს მივუა-ლოვდები თუ არა, ვიცვამ. როდესაც სახ-ლში ვპრუნდები, ისევ ვიხდი. ასე რომ, შარ-ვალიც და ფლოსტებიც ამ დღეს ყველაზე მეტად მოვლილი და დაცულია. ხომ არაფე-რი გაინტერესებთ კიდევ?

— არაფერი!

— ერთი მოსაზრებაც მაქვს და ის ყვე-ლაფერში გაგარკვევთ: როდესაც გვერდით მცხოვრები მოვალე, რომელსაც ათასი დი-

ნარი მართებს, გაიგებს, რა სიმკაცრით ვითხოვ ჩემს რამდენიმე ფელს მოშორებით მცხოვრებისგან, თავის დროზე გადაიხდის ვალს და სხვისი ქონების მითვისების სურვილი აღარ ექნება. ასე რომ, ბევრი სიარულით ფულს ვიბრუნებ და, ამავე დროს, სხეულისათვის ხანგრძლივ დასვენებას და სიმშვიდეს უზრუნველყოფ.

კიდევ მაქვს ერთი მოსაზრება. ეს უმნიშვნელო ვალი დიდი ვალის ნაწილი რომ არ იყოს, უარს ვიტყოდი მის აღებაზე. უყურადღებოდ არ უნდა დატოვო სულ მცირე ვალიც, რადგან ეს სხვა მოვალეებსაც გამოჩენის სურვილს აღუძრავს!

მაშინ მისი მეგობრები წამოდგნენ და ერთხმად შესძახეს:

— ვფიცავთ ალაპს, ამის თაობაზე მეტს ალარაფერს გკითხავთ.

**მუჭამედ ალ-მაქის ძმამ, აჰმად ალ-მაქიმ, რომელსაც აბუ საიდთან აღებ-მიცემობის საქმეები აკავშირებდა და ხშირად უსაუბრიათ ამის თაობაზე, გადმოგვცა:**

ერთხელ აბუ საიდს ვუთხარი:

— შენ ძალიან მდიდარი ხარ, ვფიცავ ალაპს, ბევრი ისეთი რამ იცი, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია, პერანგი კი ჭუჭყიანი გაცვია. რატომ არ უბრძანებ, გაგირეცხონ?

— საინტერესოა, რას მეტყოდით, ღარიბი რომ ვიყო და ისიც არ ვიცოდე, რაც თქვენ იცით. უკვე ექვსი თვეა, სულ ამაზე ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე. ჩემს თავს ვეტყვი ხოლმე: ბინძური ტანსაცმელი ისე ჭამს სხეულს, როგორც რკინას — ჟანგი. როდესაც ტანსაცმელს ოფლი შეაშრება, ჭუჭყს იკრებს, ჭუჭყი კი ძაფს ჭამს და ქსოვილს ალპობს, ცუდ სუნსა და საზიზლარ შესახედაობაზე რომ არაფერი ვთქვათ-მეთქი. გარდა ამისა, ხშირად მიხდება მოვალეებთან სახლში სიარული, მათი მსახურები ნამდვილი გოლიათები არიან. როგორ ფიქრობთ, რას მიზამენ, უსუფთაო ჩვრებში რომ დამინახონ? რასაკვირველია, შეურაცხყოფას მომაყენებენ და კარებს ცხვირნინ მომიხურავენ. ეს ყველაფერი ზარალის მეტს არაფერს მომიტანს. მომჭირნე კაცმა თავი უნდა აარიდოს ისეთ

რამეს, რაც მოვალეს საშუალებას მისცემს, ვალის გადახდა დაუგვიანოს, რადგან ამ დროს შეიძლება თავი ვეღარ შეიკავოს და განრისხდეს. განრისხებას ყოველთვის თან სდევს უსიამოვნება. როგორც კი თავში ასეთი აზრები მომივა, უმალვე გადავწყვეტ პერანგის გარეცხვას. მაგრამ, დავაპირებ თუ არა, მაშინვე წინააღმდეგობის გრძნობა მეუფლება, რომელიც თითქოს კეთილგონიერებისა და ჭკუის სახელით შთამაგონებს და მეჩურჩულება:

„წყალი და საპონი დაგეხარჯება. მხევალს უფრო მეტი მუშაობა მოუხდება და უფრო მეტსაც შექამს. საპონი ხომ ნურაა,<sup>1</sup> რომელიც ქსოვილს შლის“.

— ტანსაცმელი მუდამ საშიშროების ქვეშაა, ვიდრე გასათეთრებლად და გასაჯანდრავად მივცემდეთ. შემდეგ, როდესაც თოკზე გაიკიდება, ხომ გამუდმებით დაჭიმვასა და ბიძგებშია: ხან რას გამოედება, ხან — რას. სარეცხის დღეს სახლში უნდა ვიჯდე, ამას ხარჯი მოჰყვება. ტანსაცმლის გაჯანდვრა აუცილებელია. სახლის პირობებში დავხევთ თუ სხვას მივცემთ — ხარჯები გვემატება, შესაძლებელია, რამე სხვა უბედურებაც შეგვემთხვეს.

— როცა სახლში ვზივარ, მოვალეები ჩემზე ცუდ ხმებს ავრცელებენ. ავადმყოფობასა და სხვა უბედურებას მისურვებენ, უფრო მეტად იღვიძებს მათში სიხარბეც. როდესაც ტანზე სუფთა, მშრალ, ლამაზ პერანგს ვიცვამ, თმისა და სხეულის ჭუჭყი უფრო თვალში საცემია. ამის გამო აპანოში წასვლა მიხდება, ეს კი დიდ ხარჯს მოითხოვს. მე ლამაზი ცოლი მყავს. როცა დამინახავს, რომ სხეულზე ჭუჭყი და თმა მოვიცილე, თავი დავიბანე და სუფთა ტანსაცმელი ჩავიცვი, ისიც, თავის მხრივ, გასუფთავდება, სუნამოს დაიპურებს, კოხტად გამოეწყობა და ისე შემხვდება. ასეთი გამშვენიერებული იგი უფრო სასურველი გახდება ჩემთვის. მე მამალი ვარ. მამალი კი, როცა აღიგზნება, თავდავინწყებამდე მიდის. ცოლთან სიახლოვე მომინდება. იგი იგრძნობს ჩემს ვნებას და რაიმე სულელურ მოთხოვნას წამომიყენებს. ყველაზე დიდი საშინელება კი მაშინ მოხდება, თუ დაფეხმდიდა. მაშინ გადია დაგვჭირდება, ამას კიდევ ბევ-

<sup>1</sup> ნურა — თმის მოსაცილებელი საშუალება.

რო სხვა უბედურებაც მოჰყვება და ხარჯებს საზღვარი აღარ ექნება.

კიდევ მოიმიზება რაღაცები აბუ საიდ-მა, მაგრამ აპმადსაც დაავინებდა და აღარც მე მახსოვს. სიძუნესთან ერთად, აბუ საიდი ძალიან თავმოყვარე და ფიცხი კაცი იყო. თუ სადამდე მიდიოდა მისი ძუნწობა, მოგახსენებთ:

იგი ხშირად დადიოდა ერთ კაცთან, რომელიც საკიფის ტომს ეკუთვნოდა. ამ კაცს მისი ასი დინარი ემართა, ვალის გადახდის ვადა კი, დიდი ხანია, გასულიყო. მოვალეს-თან ხშირად სადილობამდე რჩებოდა, ისა-დილებდა მასთან ერთად და თან ვალის დაბრუნებას სთხოვდა. როდესაც დაინახა, არაფერი გამოდიოს, უთხრა:

— ამ ფულიდან ზაქათი<sup>1</sup> უკვე გადახდილია. როცა მას ხელიდან ვუშვებდი, წინას-ნარ ვგრძნობდი, რომ ზარალი არ ამცდებოდა, გაუთავებელ დაგაში ვიქნებოდი და ეს ვალი ჩემს შვილთაშვილებს მემკვიდრეობით გადაეცემოდათ. შენი გულისთვის მცი-რე მოგებას დავჯერდი, მეგონა, ვალს წესი-ერად გადამიხდის-მეთქი. ეს რომ არა, ასე მცირე სარგებელზე არაფრით არ დავთან-ხმდებოდი. თუ ფული პირობის თანახმად ერთი წლის შემდეგ უნდა დაგებრუნებინა, მე, ჩემი კეთილი გულით, ერთ-ორ თვეს კი-დევ გადროვებ. შენთვის რომ არ მესესხებინა, ვიდრე შენისთანა მოვალეს მოვძებნიდი, სახლში უნდა დებულიყო უმოძრაოდ, ყო-ველგვარი ნამატის გარეშე და ეს ზარალი ჩემს კისერზე გადაივლიდა. შენნაირი კაცი-სათვის ერთი სიტყვაც საკმარისი უნდა იყოს, მე კი უკვე რამდენი ხანია, ვალს გთხოვ და შენც რამდენი ხანია, ჩემს თხოვ-ნას უყურადღებოდ ტოვებ.

საუბრის დროს აბუ საიდს ერთი წუთი-თაც არ შეუწყვეტია ჭამა. მას იქ მყოფი მე-ორე საკიფიტი<sup>2</sup> მიუბრუნდა და გადაკვრით უთხრა, თუ ვალის მიღება გსურს, მეჩეთში უნდა მოითხოვო, როგორც წესი და რიგია და არა სადილის დროსო. აბუ საიდმა ამის გაგონებისთანავე ჭამა შეწყვიტა, თავში სისხლი აუვარდა და საკიფიტს გამძვინვა-რებული აქლემის მზერა სტყორცნა.

— შენ გაუბედურდი! — უთხრა მან, — ჩე-

მი კეთილგონიერებით, ნახევრად მიწაში ჩაფლული ჭურჭლიდან მანამდე ვიღებდი საწებლისთვის ძმარს, ვიდრე არ გაიხრინა. რამდენადაც სიმდიდრე მიყვარს, იმდენად სიღარიბე მძულს. სიღარიბე იმიტომ მეჯავ-რება, რომ დამცირების ატანა არ შემიძლია. შენ დარჩი უდედოდ! ისე ლაპარაკობ, თით-ქოს მის საჭმელზე მეჭიროს თვალი! ვფი-ცავ ალაპს, მასთან მხოლოდ იმიტომ ვსა-დილობდი, მეგონა, თანამესუფრეობის სიწ-მინდისა მაინც შერცხვება და საქმეს დააჩ-ქარებს-მეთქი.

ამ სიტყვების შემდეგ აბუ საიდი ადგა, ხელში ბეჭედდასმული თამასუქი ეჭირა. მან კედელზე დაინყო მისი გაჭიმვა და იქამ-დე ჭიმა, სანამ არ გახია. მერე დააფურთხა გახეულ თამასუქს, ერთი ნახევარი მეორეს გაუსვა, ნაკუნებად აქცია და მიწაზე დაყა-რა. შემდეგ მიუბრუნდა იქ მყოფთ და გა-ნუცხადა:

— აი, ათასი დინარი, რომელიც ჩემთვის მავანისა და მავანის მამას უნდა მოეცა. ყველამ დამიმოწმეთ, რომ მივიღე ეს თანხა, იგი თავისუფალია და მისგან აღარაფერს ვითხოვ! — ესა თქვა და წავიდა.

მოვალე მიუბრუნდა თავის მეგობარს და უსაყვედურა:

— რატომ მოიქეცი ასე? რატომ მიმართე ამ სიტყვებით ადამიანს, რომელიც ჩემს სუფ-რას უჯდა? რატომ ანყენინე უცნობ კაცს, რატომ არ გაუნიე ანგარიში, როგორ მიიღებ-და შენს სიტყვებს? ვფიცავ ალაპს, ვალის გა-დახდა მხოლოდ იმიტომ გავაჭიანურე, რომ მინდოდა, ხილი დამწიფებულიყო და მერე გამეყიდა. ახლა კი იძულებული ვარ, საჩქა-როდ დავუბრუნო ვალი. იმას საქმე გაუკეთე, მე კი გამიფუჭე. მსახურო, წაიღე ბაზარში ეს ხილი და, რამდენსაც მოგცემენ, იმდენად გა-ყიდე. აბუ საიდს ვალი უნდა დავუბრუნო, — თქვა მან, ცხენზე შეჯდა და მისკენ გასწია. აბუ საიდმა ჯერ უარი თქვა ფულის მიღება-ზე, დიდი ხნის დავის შემდეგ კი უთხრა:

— შენი მეგობარი ალბათ იმიტომ ლაპა-რაკობდა ასე, რომ არაბია, მე კი გააზატე-ბული<sup>3</sup> ვარ. თუ შუამავლებად გააზატებუ-ლებს დამიყენებ, მაშინ მივიღებ ფულს, თუ არა და — არა.

<sup>1</sup> ზაქათი — სავალდებულო მოწყალება.

<sup>2</sup> საკიფიტი — ას-საკიფის ტომი. აქ: ბასრის უბანი, სადაც საკიფიტები ცხოვრობენ.

<sup>3</sup> გააზატებული — აზატად ქცეული, გათავისუფლებული (მონა ან ყმა).

საკითხითმა ბასრის ყველა შუუბიტს<sup>1</sup> მოუყარა თავი და მათი თანდასწრებით სთხოვა, ფული მიიღეო. მხოლოდ ამის მერე დათანხმდა აბუ საიდი ფულის მიღებას.

ეს ის აბუ საიდია, თავის მსახურს სახლიდან ნაგვის გატანის ნებას რომ არ რთავდა. პირიქით, მოითხოვდა, სხვა სახლებშიც შეაგროვე ნაგავი და ჩემსას მიუმატეო. მერე მსახურ ქალს უბრძანებდა, ნაგავი შინ შემოეტანა. ისიც შემოიტანდა მთელ ნაგავს და წინ დაუყრიდა. აბუ საიდიც დაჯდებოდა და ქექვდა ნაგვის თითოეულ გროვას. თუ დირჰამს, დინარს ან ფულიან ქისას წააწყდებოდა, მათი ბედი გადაწყვეტილი იყო. თუ შალის ნაჭრებს ან ძონებს იპოვიდა, შეაგროვებდა და მიჰყიდდა იმ ხელოსნებს, რომლებიც სასაპალნე ცხენებისათვის უნაგირს აკეთებდნენ. ტანსაცმლის ნაჭრებს ლანგრებისა და ჯამების ოსტატებს აძლევდა, ბრონეულის ქერქებს – მღებავებსა და მთრიმლავებს, ბოთლებს – მინით მოვაჭრებს, ფინიკის კურკებს – ახალგაზრდა ღაზელების პატრონთ. ატმის კურკებს მებალებს მიჰყიდდა, ლურსმნებსა და რკინის ნაჭრებს – მჭედლებს, პაპირუსს – საფიქრო სახელოსნოს, ქაღალდის ფურცლებს სურების საცობებად იყენებდა, ხის ნაჭრებს მეუნაგირებს უგროვებდა, ძვლებს საწვავად ხმარობდა, თიხის ჭურჭლის ნატეხებს – ღუმლების გასამართავად. ზოგჯერ ნაგვის კალათას მანამდე ანჯღრევდნენ, სანამ შიგთავსი თავზე არ მოადგებოდა. ამას ღუმლისათვის გადადებდა. დარჩენილი სუფთა მიწისაგან აგურებს ამზადებდა გასაყიდად. აგურების დასამზადებლად თავის წყალს არ ხარჯავდა, მდგმურებს უბრძანებდა, ხელ-პირი ამ მიწაზე დაიბანეთო და, როდესაც მიწა კარგად დასველდებოდა, აგურების კეთებას შეუდგებოდა. აბუ საიდი ხშირად იტყოდა, ვისაც მეურნეობის გაძლოლა ჩემსავით მომჭირნედ არ შეუძლია, ნურც მოჰკიდებს ხელსო.

ერთხელ ერთ-ერთ მის მდგმურს დაეკარგა ნივთი, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად იპარავენ ხოლმე.

– გადმომიყარეთ ნაგავი დღეს საღამოს, – თქვა აბუ საიდმა, – იქნებ სინდისის ქენჯნა იგრძნოს, ვინც ეს გააკეთა და მოპარული ნივთი ნაგავზე დააგდოს. მისი მისვლა ნაგავთან ეჭვს არავის აღუძრავს, რადგან ნაგვის გროვასთან თითქმის ყველა მიდის.

მართლაც ასე მოხდა. დაკარგული ნივთი სწორედ იმ ნაგავზე იპოვეს დაგდებული, აბუ საიდის სანაგვეში რომ ჩაყარეს. აბუ საიდმა ეს ნივთი დაზარალებულზე უფრო ადრე დაინახა და მისი ნაგვის გამოყენებისათვის საფასური მოსთხოვა.

## ალ-ასმაის ამბავი

ერთხელ ალ-ასმაისთან რამდენიმე კაცის თანხლებით მივიდა ვაჭარი, რომელსაც მისგან ხილის ბალი ჰქონდა ნაქირავები. მათ სურდათ მოლაპარაკებოდნენ იმ ზარალზე, რაც ვაჭარმა განიცადა. ისინი ალ-ასმაის სთხოვდნენ საქმე განეხილა და, ამ დანაკლისის გამო, ფასიც დაეკლო.

– „უსამართლო განაწილების“<sup>2</sup> თაობაზე თუ რამე გსმენიათ? – იკითხა ალ-ასმაიმ. ვფიცავ ალაპს, თქვენ სწორედ ამას მოითხოვთ თქვენი შეიხისაგან. მან ბალი, როგორც ჩანს, იმ პირობით დაიქირავა, რომ ზარალი ჩემი იყოს, მოგება კი – მისი. ვფიცავ მამა-პაპას, ეს ნამდვილი „აბუ-ლ ანბასის ვაჭრობაა“. მაშინ წადით და ამ პირობით ჩემთვის მთელი ერაყის სანოვაგე შეისყიდეთ. ალაპს ვფიცავ, არ ვიცი, ეს კაცი მართალს ამბობს თუ ტყუილს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია – თქვენ სარგებლობთ და არა – მე. მე თქვენ გამო ვზარალობ, თქვენ კი ჩემი მიზეზით არავითარ ზარალს არ განიცდით. ალაპის მადლმა, მას ალბათ იმიტომ მოჰკიდებით, რომ მხარს უჭერთ და მისი მოთხოვნა სამართლიანად მიგაჩნიათ.

**არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან სვანმა**

<sup>1</sup> შუუბიტი – მიმდინარეობა „შუუბია“ს წარმომადგენელი.

<sup>2</sup> უსამართლო განაწილება – „ეს, ამგვარად, შეურაცხმყოფელი განაწილებაა“, ყურანი, სურა III, აია 22, გვ. 326 (თარგმნა გ. ლობჟანიძემ).



တော်မြတ် လုပ်ကောင်းမှု

## ოქთაი რიფათი<sup>1</sup> (1914-1988)

### ԵՅՈԹՈՍ ԹՐԱԼՈՇՈՆՈ (II ԹՐԱՄԵՋԵԾԱ)

(գյուղացիա ար ուշլեցած. პոյտա զրծելու դեմք թշւագագա մի աճգոլութանցը, սագագ մշենց յագա. մապուրյածլուսատցու օմուս մուսանոմենց լագ, րոմ, մշեցենց օմուկեցագագ, գրո ար գասլուա, մեսանոմենք լի մոյմեջեցաս / մոյմեջեցան գագրյալյացան օնցյացը. օնչյու եղլուն սանուան եղլուն օմորյան. արոյու ժոնդրյանցած.)

արոյու - յրտագ օնցյու եռլմի?

օնչյու - զոնցյու.

արոյու - ծրագու! եցազ, րոմ արացերս վմշրյան. մոցոյոյէրյա. արա վծրանոմ. գամնարյանց լագ և գուլդակոնդուն արա զար. չեր, րապ մոսհագ, դանցրունց օմոնդա զուցուցա. տորեմ մե տցուոնն նարմունց ընդունացած. սմջոնց սա, տցուոնն մոպցա!

օնչյու (շսուցութելու) - մոսապուն արացերա. զեգատու մոպարդա. մոլալագի.

արոյու - օմութոմ ոյու, պուրյան րոմ ցոնցուցա?

օնչյու - ծարյան րեկազա, եմեն մեսմունա.

արոյու - ախլաց ցեսմուն?

օնչյու - արա, կարցագ զար, տոտյուն մոմենցա.

արոյու - սոպարյան գամո դաազագուն?

օնչյու - արա, մշեն գամո դաազագուն.

արոյու - հիմ գամո? հիմնի կո ար եար մշյացարյանց լագուն?

օնչյու - ար մոնդա մշենտան յրտագ ցեսուրյան. օմասաց վեր զուգան, րապ մշենտան մուցեսուրյան. րոմ մշեմեծլուն մշենտան ցագրյանց լագ ոտես նլուն դաազոնցյան, րոմ մշեմեծլուն օմուս տյմա, րոմ օս նլուն ար մուցեսուրյան, ցագացրինց օմուն, ալնատ. մագրամ վուցեսուրյան մշենտան յրտագ. վուցեսուրյան դա ցազուսարյան.

արոյու - հիմտան ցեսուրյան ցագսարյա, զեգատան նոլամ կո ցացնանա! ախլա ցան-

նմենցուն եար, արա?!

օնչյու - ախլա ցուլնաբույնու զար, ազագ զար.

արոյու - զուստան ցուլալագի?

օնչյու - սեմրաստան.

արոյու - սեմրաստան?! արա, մշյացազլյան! սեմրա զեգատու արու մշենց լացան.

օնչյու - սեմրա կանցենու յրտան.

արոյու - զու, սեմրա կանցաա, մագրամ կանց օմուն յրտու արաա.

օնչյու - րա սեզառանա?

արոյու - տացմեյազենց լունա. լամանու. յալուրնա. հիպմա-դանցրյա օւուն. ցուլու այցա. կուցա հիմուտալու? գուցու կանցաա սեմրա, մագրամ կանց օմուն յրտու ար արուն. զեգատու կո ցուլ-շունց կագրոնու, յրտու սմնունց լունա. սեմրա զեգատուսնաուրյան ար սպուրյան. տացս մոցուքրու, րոմ մագնաուրյան նեգաց ար մշյացազլյան. մագնաուրյան մեսունց մշեն սպուրյան.

օնչյու - ասե ոյուն!

արոյու - եցլու րամու սամեսուն ցայցա?

օնչյու - կուցնուսաս նացանարու.

արոյու - սագ?

օնչյու - սեմրաս սանցլմու.

արոյու - սեմրաս սանցլմու րա ցունցուգա?

օնչյու - սեմրաս սանցլմու զեցուցուգուն յրտանցետս.

արոյու (եղլա) - րուսունու!

օնչյու - սպաց դամտազրդա!

արոյու - արու դամտազրյանց լունուպու?

օնչյու - մշենցու կո ար զամնուն, զեգատուս ցամնուն.

արոյու (ոյունցյան) - սպացուն!

օնչյու - ռու դուն նոն ուսցա մշյաց լուն յրտմանցետս. կարամու ցամացուն. սպաց տանց հիմ մշենց ցամունց օմուն. եցլու տամանու դամրինու. ռու նուտուն մերյ մուցեսունց օմուն. հիմու ցամաց ցամնուն յրտու արու. մշյաց լուն.

<sup>1</sup> օქտայ րոյատուս „նումուս մոլունունու“ პորցյան մոյմեջեն դանցեց արմանուս 2016 նուն Ն5-Ռու.

დათი არ იყო. გამიკვირდა. რომელიღაცა კარი შევაღე. დავინახე, გადახვეულებირო-გორ კოცნიდნენ ერთმანეთს. ჩემი დანახვა არ გაპევირვებიათ. არც მოშორდნენ ერ-თმანეთს. ქალმა არ დაანება. გიუივით გავ-ვარდი ქუჩაში. მანქანაში გული წამივიდა. სახლში როგორ დავბრუნდი, აღარ მახსოვს.

არიფი – მოყევი! როგორ დაიწყო ეს ის-ტორია ვედათთან?

ინჯი – რა მნიშვნელობა აქვს, ასე დაიწყო, თუ ისე!

არიფი (ხმამაღლა) – როგორ დაიწყო-მეთქი, გელოდები!

ინჯი – დეტალები გაინტერესებს?

არიფი – ყველაფერი მაინტერესებს. ყველაფერი წვრილ-წვრილად მინდა გავი-გო. რა მოხდა, როგორ დაიწყო, მოყევი!

ინჯი – აღარ მახსოვს.

არიფი – ტყუი. ახლა თქვენი ერთად წო-ლა კინოფილმის კადრებივით თვალწინ გიდგას.

ინჯი – თავი მიზუის.

არიფი – არ მოყვები და უარესი დაგე-მართება! უარესს გიზამ! სიცოცხლეს განა-ნებ!

ინჯი – წელან მაგას ფიქრობდი, როგორ ვუკიო ამ ქალს სიცოცხლე ჯოჯოხეთადო, როგორ შეურაცხვყო. მაგრამ ნუ წუხარ, როგორდაც მოახერხებ, მიაგნებ!

არიფი – მოყევი!

ინჯი – რომ მოვყვე, ვერც კი გაიგებ!

არიფი – იმედია, ჩინურად არ იღაპარა-კებ!

ინჯი – გაგიჭირდება.

არიფი (ყვირის) – მოყევი-მეთქი!

ინჯი – ჩვენი დღე ერთ ოთახში იწყებო-და. კარის წინ მწვანე სავარძელში ჩამჯდა-რი ველოდებოდი ხოლმე. კარს თვალს ვერ ვწყვეტდი. ათასნაირი მოლოდინი მომდიო-და თავში, ვოცნებობდი. უცებ თეთრხალა-თიანი ექთანი შემოდიოდა, ვეკითხებოდი: „როგორ არის ჩემი ავადმყოფი?“ „თქვენი ავადმყოფი გარდაიცვალა!“ „გარდაიცვა-ლა?“ ხელ-ფეხი მეყინებოდა. კარი იცვლე-ბოდა. ჩოფურა, კაცივით გოგო გამოდიო-და, მეტყოდა: „მობრძანდით, პატრონი თქვენ გელოდებათ“. კარი იცვლებოდა.

არიფი – ყველა დანაშაულებრივ ისტო-რიაში არსებობს ასეთი კარი.

ინჯი – მოულოდნელად შენ შემოდიო-დი. უკან ვედათი მოგყვებოდა. იღებდი ჯი-ბიდან დამბაჩას, ესროდი. ვედათი კვდებო-და. მერე ყველაფერი იშლებოდა. კარის წინ მარტო ვრჩებოდი. ველოდებოდი, მის მოს-ვლას ველოდებოდი. რომ შეგეძლოს იმ გან-სხვავების გაგება, რაც არსებობს იმ კარებს შორის, რომელსაც ჩვენთან ვიღაცა მოჰ-ყავს და რომელსაც ჩვენგან ვინმე მიჰყავს, მაშინ მიხვდებოდი ჩემი მღელვარების მი-ზეზს. ვედათი ამ კარიდან კიდეც მოდიოდა და კიდეც მიდიოდა. ჯერ თავს შემოყოფდა და შემოხედავდა, რომ დამინახავდა, ვზი-ვარ და ვუცდი, გამიღიმებდა. „გალოდინე?“ – მკითხავდა.

არიფი – და მაშინვე ლოგინს ეცემო-დით.

ინჯი – ცდები.

არიფი – ყველაფერი კარგად მომეხსე-ნება.

ინჯი – თუ არ მაცლი, კი ვერ მოვყვები.

არიფი – ნუ ჩერდები, მოყევი!

ინჯი – სხვებთან ერთად მოდიოდა ვე-დათი. თავიდან მისი კატა შემოვიდა, შემ-დეგ სხვებიც მოჰყვნენ.

არიფი – იქნებ კიდეც დაგცინოდა!

ინჯი – მისი და საქმროსთან ერთად, დედამისი, მათი კოჭლი მოსამსახურე, შეყ-ვარებული რომ გერმანიაში გაექცა. მერე ვედათის კატა – მირნი.

არიფი – კატისათვის დასარქმევი სახე-ლი სხვა ვერ ნახა მაგ კოტეპრუნამ!

ინჯი – მე მირნი სულ არ მინახავს, მაგ-რამ მის შესახებ იმდენი მომისმენია, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ათასჯერ მჭერია ხელში. ფუმფულა კატაა, თანაც ტყვიასა-ვით მძიმე.

არიფი – ჩვენც გვყავს კატა.

ინჯი – ჩვენი კატა ცოცხალი კი არ არის.

არიფი – წუხელ არ იყო, რომ ფეხებში მედებოდა.

ინჯი – ვედათის კატას სიყვარული, გაბ-რაზება, ეჭვიანობა შეუძლია. ვედათი თუ სხვა კატას ხელს გადაუსვამს, მაშინვე კბენს, ფხაჭნის. რაღაცა სხვანაირი კატაა. დიდი არეული კატააო, ამბობდა ვედათი.

არიფი (ტუჩს გამობერავს) – რა საინტე-რესოა!

ინჯი – ეს კატა ადამიანივითაა. მხოლოდ არ ლაპარაკობს. ზოგი უყვარს, ზოგიც – არა. ვედათი დის დანიშნულის მიმართ ვერა და ვერ გათბა. არც მე მომეწონა ის ბიჭი.

არიფი – შეხვედრიხარ?

ინჯი – არაა! ვედათმა მიამბო. თხელი, სარივით ბიჭია. ინგლისურ ფილოლოგიურზე სწავლობს. თავბრუ დახვევია ამდენი ჩარჩენით. თანამედროვე ახალგაზრდაა, გრუზიათმიანი, წითელი წვეტიანი ცხვირით. თანაც – მკერდამდე წვერით.

არიფი – რა მშვენიერია!

ინჯი – თან ჭუჭყიანი, თანაც – აჩაჩული და უთავბოლო.

არიფი – სხვა?

ინჯი – ვედათის და გასულ წელს მათემატიკაში ჩაიჭრა და საშემოდგომო გამოცდა დარჩა. ვედათმა ამეცადინა. კოჭლი მოსამსახურის შეყვარებული გერმანიაში წავიდა. გოგოს წერილებს ვედათი უწერდა. უფრო სწორად, შეყვარებული კი არ წავიდა, გაიქცა. ვედათს ასე ჰერნია. არადა, მშვენიერი გოგოა. მხოლოდ ერთი ფეხი მეორეზე ხუთი სანტიმეტრით მოკლე აქვს. პატარაობისას აკვნიდან გადმოვარდნილა. კოჭლი რომ არ ყოფილიყო, შეყვარებული გერმანიაში არ გაიქცეოდა, ამბობს ვედათი... რა სირცხვილია, არა?

არიფი – სირცხვილი ყოფილა!

ინჯი – მერე ვედათის დედა, ანგელოზივით ქალია. მაგრამ უბედურია. ვედათს საერთოდ არ უყვარს მამამისი. ყომარბაზი, ლოთი, შფოთის ერთი! თხუთმეტი წლის წინათ უპატრონოდ მიატოვა დედამისი. წავიდა და წავიდა! კიდევ კარგი, ერთი-ორი ყურუში ჰქონდა დედამისს. ერენქოიში ბაბუისგან დარჩენილი ხის სახლი აქვთ. ოცი წელია, იმ ხის სახლს საღებავი არ გაჰქარებია. სულ ოთახ-ოთახ აქვს ჩემთვის მოყვლილი. ვედათს არ უნდა იმ სახლის ხელის ხლება. ზედ დაჰკანკალებს.

არიფი – უყურე მაგ მატყუარა ძალლს! ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ამბობდა, ნეტავ დამაყოფინა და ნაწილ-ნაწილ გამაყიდინაო.

ინჯი – შენთან სალაპარაკო სხვა თემა ვერ უნახავს და ასე უთქვამს. ყიდვა-გაყიდვის გარდა შენთან რაზე შეიძლება საუბარი?!

არიფი – შენ რა გგონია ვედათი?!

ინჯი – დედა-წულიანად იქ ცხოვრობენ, როგორ დაკარგავენ?!

არიფი – მერე რა ხდებოდა?

ინჯი – ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი ხელით დამელაგებინოს ის სახლი. თითქოს ყველა ნივთისთვის შემევლოს ხელი. ოდნავი გადანაცვლებაც კი...

არიფი – ოოჳ!

ინჯი – სასტუმრო ოთახში ზოლიანი ფარდები ჩამოვხსენით. ძალიან ძველი იყო ის ფარდები. დედაჩემა ყვითელი ყვავილებით მოჩითული საფარდე იყიდაო, მიყვებოდა ვედათი.

არიფი – კაცი გადაირევა!

ინჯი – მოყევიო, მეუბნები და გიყვები. აი, ასე გვიყვარდა ერთმანეთი.

არიფი – ეს რანაირი სიყვარულია?!

ინჯი – ყოველდღიური მოვლენებით ვხარობდით. სასიყვარულო სიტყვის უთქმელად ვესიყვარულებოდით ერთმანეთს. როდესაც ვედათი მიყვებოდა მათ კოჭლ შვილობილზე, მირნიეზე, დედამისიზე, დაზე, რომელსაც მათემატიკაში საშემოდგომო გამოცდა დარჩა, მის დანიშნულზე, ვერდნობდი, რომ ვუყვარდი. ასე მივნებდი სიყვარულს.

არიფი – დასაბრმავებელო!

ინჯი – ფანჯრიდან თვალი ბალში მდგარი ფიჭვებისკენ გამირბოდა. როცა სიყვარულში ხარ ჩაფლული, ფიჭვებიც სხვანაირი გეჩვენება.

არიფი – ესე იგი, ფარდებს არც კი აფარებდით.

ინჯი – ფარდების გადაწევა კი არა, ლამის იყო, კედლების ჩამოქცევის სურვილი გვქონდა.

არიფი – გამოდის, რომ შირმასავით ჩამომაფარეთ ცხვირწინ აპმედი, რომ ჩემს ეჭვებეშ ჩუმ-ჩუმად შეგძლებოდათ სიყვარულობანა?!

ინჯი – გითხარი, ჩემს და აპმედს შორის არაფერი არ არის-მეთქი, მაგრამ ვერ შეგასმინე.

არიფი – რა ვიცით, რომ აპმედთანაც არ წოლილხარ?

ინჯი – ვინ გითხარ, რომ ყველა შემხვედრთან ვწვები?!

არიფი – აი, დაწოლილხარ.

ინჯი – ვედათი ყველა შემხვედრი არ არის.

არიფი – არც აპმედია.

ინჯი – რაც არ ყოფილა, იმაზე, იყო-  
მეთქი, ხომ ვერ ვიტყვი!

არიფი – ქალმა ერთხელ თუ გაინია,  
იმას რაღა დააკავებს.

ინჯი – ქალმა ერთხელ თუ თვალი გაა-  
ხილა, ამის თქმა გინდა?

არიფი – შენ, დიდი ხანია, თვალი ახელი-  
ლი გქონია და არ მცოდნია. სხვა ვინ დგას  
რიგში?

ინჯი – ვინ გითხრა, რომ ჩათლახი ვარ?

არიფი – თქვი, აპმედთანაც იწექი?

ინჯი – რომ მცოდნოდა, რომ შენ ეს ასე  
გაგტანჯავდა, შენს ჯიბრზე, დავწვებოდი  
მასთან. მაინც რა გგონია ეს აპმედი, რა ძა-  
ლიან აზვიადებ!

არიფი – მე არავისაც არ ვაზვიადებ.

ინჯი – აპმედი რასაც წარმოადგენს, მა-  
შინვე მივხვდი. ყოველთვის ასეთად დარჩა.  
რაც არის, ეგ არის. მაგრამ შენ ისე გაპერე  
ეს აპმედი, რამდენადაც შენ მას განადიდებ,  
იმდენად ჩემს თვალში დამცირდეს, გინდა.  
აპმედი არც ისე დიდია, როგორც შენ გეჩ-  
ვენება და არც ისე ჰატარა, როგორიც გინ-  
და, რომ წარმოაჩინო. ეს დაპირისპირება  
ბალებს შენს გასაჭირს. ერთხელ დაიყენე  
ნინ ეს აპმედი და ვეღარ დაარეგულირე  
ლინები. იმიტომ გაქვს ბუნდოვანი შთა-  
ბეჭდილებები.

არიფი – ფოტოს კი არ ვიღებთ.

ინჯი – გეხმარები.

არიფი – ნურც ვიღაცებთან დაწვები და  
ნურც დამეხმარები! მეძავობის გამო ანგა-  
რიშის ჩაბარება თუ დახმარებაა, მიმიტურ-  
თხებია მაგნაირი დახმარებისთვის.

ინჯი – შენთან შეუძლებელია ლაპარა-  
კი.

არიფი – იმან შეგაცდინა?

ინჯი – იმანო, რომ ამბობ, იმას გულის-  
ხმობ?

არიფი (ყვირის) – იმას!

ინჯი – მის სახელს ვერასდროს ვერ  
წარმოვთქვამ ადვილად.

არიფი – რა, მხოლოდ ლოცვით შეგიძ-  
ლია მისი ხსენება? რომელმა რომელი შეაც-  
დინეთ?

ინჯი – აქედან ჩანს, რა უცხოა შენთვის

სიყვარული.

არიფი – შენსავით მიჩვეული არ ვარ ამ-  
ნაირ საქმეებს.

ინჯი – ქალის ამგვარ შეხედულებას რა-  
ღაცა სახელი უნდა ჰქონდეს.

არიფი – ნუ გადადიხარ სხვა თემაზე!  
მიპასუხე!

ინჯი – არავის არავინ არ შეუცდენია.  
შეგვიყვარდა ერთმანეთი.

არიფი – იცავ იმ თახსირს, ხელს აფა-  
რებ.

ინჯი – სხვა კუთხით რომ მივუდგეთ,  
როგორც შენ უყურებ აპმედს, მეც ისე და-  
ვინახე „იგი“. გავაზვიადე. უფრო სწორად,  
მეტისმეტად განვადიდე საკუთარ თავში.  
მაგრამ ვედათი ხელდასაფარებელი არაა.

არიფი – თითქოს სამარცხვინო კი არა,  
სასახელო საქმე ჩაედინოს! თითქოს კაბპო-  
ბას კი არ დაუმცირებიხარ, არამედ აღუ-  
მალებებიხარ!

ინჯი – შენი საპირისპირო აზრის ქონა  
განნებნდს ადამიანს.

არიფი – მორჩი ლაყბობას!

ინჯი – მეძავობასა და გარყვნილებაზე  
შენი შეხედულების მიხედვით რომ ვიმსჯე-  
ლოთ, პიროვნება ადამიანობას კარგავს.

არიფი – ნადი შენი!

ინჯი – აბსტრაქტული ქალი გყავს თავ-  
ში ჩადებული, სექსის გარდა არაფერი რომ  
არ იცის, ისეთი ქალი. ის ქალი რომ შეიძლე-  
ბა, ადამიანი იყოს, ამდენს ვეღარ ფიქრობ.

არიფი – შენ ადამიანი ხარ?

ინჯი – ვეღათის შეყვარებამ ადამიანო-  
ბისკენ მომაბრუნა.

არიფი – თუ ასეა, მანამდე არ ყოფილ-  
ხარ ადამიანი!

ინჯი – ცოტაც და შენთან ცხოვრებით  
ვკარგავდი ადამიანობას.

არიფი – რატომ აირჩიე ვედათი?

ინჯი – იმიტომ, რომ შენ არ გგავდა.

არიფი – აუცილებლად კაცი იყო საჭი-  
რო?

ინჯი – მთლად მარტო ვიყავი, ძალიან  
უბედური.

არიფი – ენიე ბედნიერებას?

ინჯი – გადავაჭარბე კიდეც.

არიფი – ო, რა სიტყვამოსნრებული ხარ!

ინჯი – მასში არის რაღაც ადამიანური,  
ადამიანისთვის მახლობელი. მისკენ წავე-

დი, როგორც წყვდიადში მოკიაფე სხივის-კენ.

არიფი – აქედან ჩანს, რომ ქალი არა ხარ.

ინჯი – შენ ჩემს ქალობას ნუ ეხები!

არიფი – შენ ქალი არა ხარ.

ინჯი – იქნებ არც ვარ!

არიფი – კაცისკენ, როგორც სხივისკენ კი არა, როგორც კაცისკენ, ისე უნდა მიდიოდე.

ინჯი (*ნაღვლიანად*) – მდედრი არა ვარ მე.

არიფი – ვედათი რაღაა, რო?!

ინჯი – შენ ამას ვერ გაიგებ.

არიფი – უცბად დაიწყო ყველაფერი?

ინჯი – არ დაწყებულა. თითქოს დიდი ხნის წინათ არსებობდა და ისევ განახლდა. ერთმანეთისკენ რაღაცა უძლეველმა ძალამ გვიპიძგა. ვედათთან ჩემი ბავშვობა მაერთიანებდა.

არიფი – ვედათი ახალი გაცნობილი გყავს, შენი ბავშვობა არ ეცოდინებოდა.

ინჯი – ჩვენი ბავშვობა მოვუყევით ერთმანეთს. თითქოს ერთად გავიზარდეთ.

არიფი – და ლოგინში იპოვეთ ერთმანეთი, არა?

ინჯი – არა, ლოგინში კი არა, სხვაგან.

არიფი (*დამცირებით*) – თქვენი ლოგინიც, ალბათ, ლოგინს არ ჰგავს.

ინჯი – ურთიერთსიყვარულს ჰგავს.

არიფი – და მაინც იწერით ერთად.

ინჯი – სხვა გზა არ გვქონდა.

არიფი – ტყუი!

ინჯი – რატომ ვტყუი! კი არ წაგვასწარი. მე თვითონ გიყვები.

არიფი – არ წამისწრია. არ წაგასწარით. ვერ წაგასწარით. ვინ იცის, იქნებ წამესწრო კიდეც!

ინჯი – რას შეცვლიდა?

არიფი – თქვენი დანაშაულზე წასწრება ფრიად სასიამოვნო იქნებოდა. ვინ იცის, როგორ დაიბნეოდით, როგორ დამცირდებოდით!

ინჯი – სულ ერთია.

არიფი – გამოდის, მოვლენებს, თავის დროზე რომ მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, ახლა სათითაოდ ეფინება ნათელი. მართლაც, ერთი კვირის წინ ბეიოლლუზე რომ შეგხვდი, ასე ხუთის ნახევარზე, თუ ხუთ-

ზე...

ინჯი – შენზე არ ვფიქრობდი, უცბად რომ გამომეცხადე...

არიფი – ნახდი ხომ? საქციელი დაგეკარგა?

ინჯი – განვცვიფრდი. რაც უცნაურია, შენი დანახვა გამიხარდა.

არიფი – გაგიხარდა?

ინჯი – საკუთარ თავს არ ჰგავდი. ასე ქუჩაში ვიღაც კაცი...

არიფი – ასე მითხარი, კაფეში შევიარე და ჩაი დავლიეო.

ინჯი – მართალია, ჩაი დავლიე.

არიფი – საყვარელთან ერთად?

ინჯი – მარტო ვიყავი.

არიფი – აშკარა იყო, სიხარულისგან მეშვიდე ცაზე ფრენდი. კარგად იყავი. ესე იგი, საყვარელთან შესახვედრად მიდიოდი?

ინჯი – იმ დღესაც ხომ გითხარი, სუჟეილასთან მივდიოდი.

არიფი – და სუჟეილასთან არ წახვედი.

ინჯი – სუჟეილასთან წავედი.

არიფი – ტყუილია, მტკნარი სიცრუე!

ინჯი – იმ დღეს ის სულ არ მინახავს.

არიფი – საღამობით გვიან ბრუნდებოდი შინ.

ინჯი – საღამობით ჩემი დაგვიანების გამო აურზაურს რომ ტეხდი, ან კინოდან ვბრუნდებოდი, ან დავხეტიალებდი. დავხეტიალებდი, საათობით ქუჩაში დავდიოდი. ვიტრინებს ვათვალიერებდი.

არიფი – ერთად?

ინჯი – ის დღეები შეყვარებული ვიყავი. უმეტესად მარტობას ველტვოდი.

არიფი – ჰო, ჰო, რაებს ჩმახავ!

ინჯი – ვერ გაიგებ.

არიფი – ესე იგი, ჩამძინებია! მე კი თავი ფხიზელი კაცი მეგონა. აგერ, ჩემ თვალნინ ერთი დაწოლალა დაგრჩენიათ და ვერაფერი გამიგია! თქვენ ხომ გამჩერებლები არ ხართ, არა? ალბათ, ჩემ გვერდითაც, სხვათა გვერდითაც ერთმანეთს შესციცინებდით, თვალ-წარბით ანიშნებდით რაღაცებს, ესიყვარულებოდით ერთმანეთს. ჩემი მიამიტობის გამო გულში სიცილით კვდებოდით!

ინჯი – ვერაფრით ვერ სცდები არშიყობის საზღვრებს. ცოლ-ქმარი და საყვარელი – ცნობილი სამკუთხედი. რქიანი და რქების

დამდგმელები. ვინ ვის ადგამს რქებსო, ცნობისმოყვარებით მოდარაჯებული მეზობელი და ახლობელ-მეგობართა წრე. აი, შენი შაბლონური შეხედულება სიყვარულსა და შეყვარებაზე.

არიფი – კარგი, ეს შეხედულება გვერდზე რომ გადავდოთ, რა იცვლება?

ინჯი – სხვა დონე, სხვა წყობა იწყება.

არიფი – არ მჯერა ასეთი რამეების. მაგრამ, დავუშვათ, რომ მართალია. თქვენ მიერ აგებული წყობა ზუსტად რომ სათქვენოა. აბა, სხვები? ხალხი? ისინი ხომ ამ სისტემაში არ გაგითვალისწინებიათ!

ინჯი – სხვებს ვერ ვამჩნევდით.

არიფი – მაგრამ ისინი გამჩნევდნენ.

ინჯი – ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა მათ თვალში არ მოვხვედროდით.

არიფი – ხალხში გამოჭენებისა შეგეშინდათ?

ინჯი – იმას, რომ ამაზე შენზე მეტი მაინც მიფიქრია, ახლა იარაღად იყენებ ჩემ წინააღმდეგ.

არიფი – რაც არ უნდა შეალამაზო, რაც არ უნდა მიჩქმალვას ეცადო, შენი ნამოქმედარის ნამდვილი სახე მაინც ნათელია.

ინჯი – რა ყოფილა ჩემი ნამოქმედარის ნამდვილი სახე?

არიფი – მეძავობა.

ინჯი – როდესაც შენს პატრონებს ფეშქად მთავაზობდი, მართლაც ფეხი რომ წამეკრა, მაშინ როგორ შეაფასებდი ჩემს ნამოქმედარს?

არიფი – ბოდავ! არ ყოფილა მაგდაგვარი რამ.

ინჯი – როგორც კი გაგიჭირდება, როგორც კი მძიმე დღეში ვარდები, ათასნაირ ფანდს შორის, საკუთარი ცოლის ქალობის გამოყენებაც მოგდის თავში.

არიფი – ტყუილია! ცილისწამებაა!

ინჯი – იმ დღეს არ იყო, რომ მეუბნებოდი, სერვეთ ბათმაზს კარგად მოეპყარიო! რაღაცა კარგი საქმე აქვს დაწყებული სერვეთ ბათმაზს. თუ შევახუჭუჭეთ, კაი ფული დაგვრჩება. თვალი გაახილე, ეს ცხოვრება ბრძოლაა და ბრძოლაში მხოლოდ ძლიერები და ეშმაკები იმარჯვებენო. ასე არ მითხარი, განა?

არიფი – მერე, აქედან რა გამოდის?

ინჯი – მერე, მე რა შემიძლია-მეთქი,

გვითხე. შენ კი მიპასუხე, ბევრი რამ შეგიძლია. ქალი თავისი ქმრის ყველაზე დიდი თანაშემწეაო. თანაშემწებად სხვები არ გყოფის-მეთქი? გვითხე. შენ მიპასუხე, ისინი შენი ფეხის ფრჩხილადაც არ ღირანო. მაინც, სადამდე გინდა, რომ გავისხნა-მეთქი? ეგ ქალმა ქმარზე ბევრად უკეთესად იცისო, მიპასუხე. იცი, რას ეძახიან ქმრებს, თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად ცოლების ქალობას რომ იყენებენ? თუ გინდა, უცებ მოგახლი პირში!

არიფი (ზუაცრად) – არა!

ინჯი – შეყვარება, ყოველგვარი ანგარების გარეშე, კახპობაა, მაგრამ პატრონების ლოგინში კოტრიალს ქმრის დახმარება ჰქვია. ჩემი ჩადენილი საქციელი თუ კახპობაა, თუ გსურს, დავსხდეთ და ერთად ვიფიქროთ იმ მიზეზებზე, რამაც მეძავობისკენ მიბიძგა.

არიფი – შეფასებისათვის დასაკარგი დრო არ მაქვს.

ინჯი – რაც შემიძლია, ვცდილობ, რომ ყველაფერი მოგიყვე. ამ სახლმა, ამ ნივთებმა, აქ დატრიალებულმა მოვლენებმა, ხრიკებმა, გაიძვერობამ, ყოველმა მომსვლელნამსვლელმა, შენმა საქციელმა, ყველაფერმა, ყველაფერმა უფრო დაგვაახლოვა ჩვენ.

არიფი – ეს ქალური შეფასებაა. ასეთი საქმეები ასე არ ხდება.

ინჯი – ჩვენი ასე მოხდა.

არიფი – ჩემზე არ იფიქრე? საკუთარ თავზე არ იფიქრე?

ინჯი – მასზე ფიქრი, შენზე და საკუთარ თავზე ფიქრზე მეტად, სიმშვიდესა და რწმენას მანიჭებდა.

არიფი – აი, ხომ ხედავ, შემცდარხარ.

ინჯი – რატომ?

არიფი – უღალატია. მიზეზი ჰქონდა?

ინჯი – ეგ სხვაა.

არიფი – ნუ გადამრიე!

ინჯი – პირველ ხანებში რომ მოენდომებინა, ვერ მიღალატებდა. მაგრამ ახლა... (ტირის)

არიფი – ნუ ტირი, ნერვები მეშლება!

ინჯი – არ ვტირი.

არიფი – რა ხანია, რაც წევხართ ერთმანეთთან?

ინჯი – ერთი წელი.

არიფი – როგორ ესიყვარულებოდით ერთმანეთს?

ინჯი – ალბათ, თქვენნაირად არა.  
არიფი – რა, ჩიტს ისვამდით?

ინჯი – ვცდილობდით, ჩვენი სიყვარულისთვის ადამიანურად რამე მნიშვნელობა მიგვენიჭებინა. ცხოვრება გვინდოდა.

არიფი – ჩვენ არ ვცხოვრობთ?

ინჯი – ცხოვრების ხსენებაზე.. ფულის გამოძალვა, გამოთრობა, სკანდალის მოწყობა ცხოვრება გვონიათ?

არიფი – შენი ნახსენები ის თუ ეს ადგილები, ეგენი სტამბოლის საუკეთესო რესტორნებია, საუკეთესო დროის სატარებელი ადგილები.

ინჯი – დილამდე პოკერი, მაგიდებიდან ძირს ცვენა, იატაკზე ფორთხვა, ზარის თამაში ცხოვრებას არ ნიშნავს.

არიფი – ათასობით ლირა ტრიალებს მაგნაირ ადგილებში.

ინჯი – რა იყო ის ერთი კვირის წინანდელი თავყრილობა. ზიზღისმომგვრელი. იატაკზე ფეხმორთხმული, ის გოიმი ირანელი ჯაზმენი ბიჭი.

არიფი – ვუთხრათ და შენი ხათრით გაიპარსოს წვერი.

ინჯი – კაბანამოხდილი, საფეხქლებამდე შეღებილი ის ქალი! ვინ იყვნენ ისინი?

არიფი – იმ ქალის გულისათვის ხალხი სახლებს აგირავებს.

ინჯი – რა იყო ის – კარის გასასვლელში, კარადის ქვეშ... სიყვარულია ეგ?

არიფი – სიყვარულობანა თქვენია, რომ უნდა ისეთი.

ინჯი – მაგნაირს დაწყვილებასაც ვერ დაარქმევ.

არიფი – სიყვარული თქვენშია, დაწყვილება – ჩვენში.

ინჯი – არც ერთი თქვენგანი არ მომნის, არც ერთი თქვენგანისა არ მჯერა.

არიფი – რა იქნება, დაიჯერე!

ინიჯი – თქვენი სიყვარული სიყვარულს ჰქავს, მაგრამ სიყვარული არ არის. თქვენი მეგობრობა მეგობრობას გახსენებს, მაგრამ მეგობრობა არ არის.

არიფი – შენ ანი იპოვი გულისსწორსა და გულისფერს.

ინჯი – აი, ქალაქელი ქალები რომ სოფლურ ტანსაცმელს ჩაიცვამენ და სურათს

გადაიღებენ. პრინციპში, როგორც ეს ქალები არ არიან სოფლელები, ისევე არ ხართ თქვენ ცოცხლები. ცხოვრებას ჰქაძავთ.

არიფი – მოგინევს უსახსროდ გდება და ნახავ!

ინჯი – მე ცხოვრება მინდა. მინდა, კაცს რომ ხელს გავუწვდი, მის ადამიანობას ვენდობოდე.

არიფი – აი, საყვარელი გყავს, იმას მიენდე!

ინჯი – ჩვენი ქორწინების პირველ დღეებში ბლომად ფულები ხარჯე, მასეირნე, თვალის ასახვევად უამრავი დიდებული სიტყვა მითხარი.

არიფი – შხამად და არმად!

ინჯი – ოთხი წელი გახდა, რაც დავქორწინდით. ამ ოთხი წლის ყოველი დღე, ყოველი საათი უარყოფითად წარმოგაჩენდა. რად მითხარი ამდენი ტყუილი? არ იფიქრე, რომ ხანგრძლივად ერთად მოგვინევდა ცხოვრება?!

არიფი – თურმე რა მელოდა!

ინჯი – კაცი თავის ცოლს კი არა, ერთსაათიან კახპასაც კი არ ეტყვის ამდენ ტყუილს.

არიფი – მატყუარა შენ ხარ!

ინჯი – ჰარუნივით<sup>1</sup> მდიდრად გამაცანი თავი.

არიფი – თვითონაც არ დავიჯერებ, რომ მდიდარი არ ვარ.

ინჯი – მე შენი მუშტარი კი არა, ცოლი უნდა გავმხდარიყავი.

არიფი – ნეტავ, მუშტარი ყოფილიყავი.

ინჯი – თვალთმაქცობა საჭირო იყო?

არიფი – შენი სიყვარული არ თვალთმაქცობს?

ინჯი – სულ თუ არაფერი, ის მაინც იცის, რომ არ უნდა ითვალთმაქცოს? ვიღაც-ვიღაცების დამცირებით თავის გამოჩენას არ ცდილობს.

არიფი – მტკნარი სიცრუეა და მოჩვენებითობა! მასაც ასეთი გზა აურჩევია. კატით, დედამისით, ცრუპენტელა ზღაპრებით ცდილობს ფეხზე დგომას. ადამიანები თავის გამოსაჩენად ან „ზემზემის<sup>2</sup> ჭაში შარდავენ“<sup>3</sup>, ან ერთმანეთს სუსტ მხარეებს უძებნიან. ადამიანის ბუნებაა ეს!

<sup>1</sup> ჰარუნი – ალმოსავლურ მითოლოგიაში ძალიან მდიდარი კაცი.

<sup>2</sup> მექაში, ქააბის მახლობლად მდებარე ჭა.

<sup>3</sup> ცუდი საქმით სახელის მოხვეჭა.

ინჯი – ვედათს არ სჭირდება ეს. ფულით, სახელით, ღამის კლუბებში ნაცნობებით არ ტრაპახობს.

არიფი – აბა, რით ტრაპახობს ბატონიშვილი?

ინჯი – სულიერებით, ადამინობით, მეგობრობით.

არიფი – ერთგულებითაც ტრაპახობს?

ინჯი – თუ ბოლომდე ვერ მიერთგულა, მისი ბრალია?

არიფი – ალბათ, შენი ბრალია.

ინჯი – ვინ იცის, შეიძლება.

არიფი – შენს აქილევსის ქუსლს ჩავავლე.

ინჯი – ეჭვიანი გგონია თავი, ეჭვიანი არ ხარ, მაგრამ, აი, ეჭვიანობ. გგონია, რომ შეყვარება შეგიძლია, მაგრამ არ შეგიძლია. სიყვარული არ არის შენში. დამტოვე პირისპირ ჩემს ტკივილებთან.

არიფი – შეგვიყვარდა ერთმანეთი და დავქორნინდი შენზე.

ინჯი – არ შემყვარებიხარ. მაცდუნე. შემაცდინე. შენ გამო მივატოვე სამსახური, სანათესაო. მათი ცუდი თვალით დანახვა მასწავლე. უსქუდარში, ფაშაქაფიში<sup>1</sup> – ის ჩვენი სახლი, რომლის გაყიდვაც გინდოდა! კიბეებს ქვეშ რიყე! პატარა დივანი, მოჩითული ფარდები, ბალახისფერი მინდერები<sup>2</sup>, დღის სინათლე, ფარდაგს გვერდითა ფანჯრიდან რომ ეცემა! ბედნიერება უბედურებად მიქციე. დედა მყავდა. ერთად ვიყავით, თავი გაჭირვებით გაგვქონდა. ჩემი ხელფასიდან გადანარჩუნებულ იმ ორ-სამ ყურუშს მაშინ ფასი ჰქონდა. ყველი და პური, ფეხზე დამდგარს რომ მიჭამია და ერთი ჭიქა აირანი, იქნება შიმშილს არც მიკლავდა, მაგრამ ის გემო დღესაც მახსოვს. კვირაობით კინში წასვლა ჩემთვის დღესასწაული იყო. მაშინ ვცხოვრობდი, გესმის, ვცხოვრობდი! ცხოვრება შხამად მიქციე. თავიდან ვერ გაგიე, ვერ შეგიცანი. ერთი მხრივ, ეჭვიანობდი, მეორე მხრივ, საქმეში გამოყენება გინდოდა ჩემი. ეჭვიანობა შენთვის შეცდომის ან შეუცდომლობის პრობლემა იყო მხოლოდ. იქნებ? განა მათ შორის რამე არის? ნუთუ მღალატობს? თორემ ამა თუ იმ კაცთან ჩემს დაახლოებას, ლოგინს შენთვის

მნიშვნელობაც არ ჰქონდა. ყელამდე ბინძურ საქმეებში ჩამფალი... ოჳ, თავი!... ისევ მიგუგუნებს. თავი ერთი ფუთი მაქვს!

არიფი – რა სულელი ვყოფილვარ!

ინჯი – სულელი არ ხარ. შენ სხვა რამე ხარ. შენს ერთ მხარეს მეორე მხარე ჩამოურეცხ-გადაუყლაპავს. ხეიბარი მათხოვრები რომ არიან, ნელს ქვემოთ უსხეულონი, ქუჩებში პატარა ეტლებში რომ სხედან. აი, იმათ ჰგავხარ. შენ ცალი მხარე ცარიელი გაქვს. ხეიბარი ხარ.

არიფი – როგორ შევმცდარვარ.

ინჯი – შენში გრძნობები ალკოჰოლს, ყომარს, ფულს გადაუგვარებია.

არიფი (ყვირის) – კმარა!

ინჯი – თან მეუბნები, მოყევიო! გიყვები და ვერც კი იგებ!

არიფი (მკლავში სტაცებს ხელს) – ჩმახვა არ მჭირდება. სიმართლე მომიყევი! რაც მოხდა, ის მოყევი!

ინჯი – აი, ესაა, რაც მოხდა.

არიფი – ყველა კითხვა ჰერში გამოეკიდა.

ინჯი – ყველა კითხვას პასუხს ვცემ.

არიფი – სწორ გზაზე მდგარი ქალი მრუდე გზაზე გადაუხვევს? რადგანაც იწერით ერთად, განშორებაც გაგითვლიათ. გაყრა არ მოგსვლია აზრად?

ინჯი – შენთან პატიოსნად მოქცევა შეუძლებელია. ის, ვინც შენ წინაშე პატიოსნად იქცევა, ცხვირ-პირს იმტვრევს. აგერ, ახლა არ იყო, იმას ფიქრობდი, როგორ ჩაგეგდე უბედურ დღეში. რა მალე დაგავინყდა! სიმართლის წილ შენგან სიმართლე არ არის მოსალოდნელი. შენთან შენივე იარაღითაა საჭირო ბრძოლა.

არიფი – ესე იგი, ყაბულსა ხარ, რომ პატიოსნად არ მექცეოდი!

ინჯი – ვედათი მიყვარს, თავი დამანებე-მეთქი, რომ მეთქვა შენთვის, ვინ იცის, რაებს დამიტრიალებდი! უწინარეს ყოვლისა, ვედათსა და ჩემ შორის გააფუჭებდი ურთიერთობას. ენითუთქმელ ჭორებს გაგვივრცელებდი. დაგვაშორებდი, დაგვაშორებდი, ალბათ, და ხავსმოჭიდებულებს არ დაგვტოვებდი. ჩაგვიძლიდი, ჩირქს მოსცხებდი ჩვენს სიყვარულს.

<sup>1</sup> უსქუდარი, ფაშაქაფი – სტამბოლის უბნები.

<sup>2</sup> იატაკზე დასაჯდომი ვიწრო ბალიში.

არიფი – შენზე დაქორწინება არ ისურვა. სანამ აწყობდი, გიხმარა და მერე ამოგკრა პანლური. შენზე დაქორწინება რომ მოენდომებინა, რა დაგაკავებდათ?! მის მიმართ ისეთივე ნდობა რომ გქონოდა, როგორიც – ჩემ მიმართ უნდობლობა, განა მოგაფიქრდებოდა, რომ თქვენი სიყვარულის ჩამლას შევძლებდი?! ამას ვერ მაჭმევ! აშკარაა, რომ ჭიტლაყი ამოურტყამს.

ინჯი – მე არ ვაპირებ შენთან კამათს იმაზე, რაზედაც ვედათთან მისაუბრია.

არიფი – კაი, კაი, შენც კარგად მოგეხსენება, რომ მოგიშორა.

ინჯი – ვედათს ჩემზე დაქორწინება სურდა. შენთან ამ საკითხზე დალაპარაკება უნდოდა. რამდენჯერ წინ გადავუდექი. აუცილებლად გაეყარეო, მეუბნებოდა. მეშინოდა. შესაფერის დროს ვუცდიდი.

არიფი – კაცად წოდებული ქმნილება არნახულ ფანდებს მიმართავს იმისთვის, რომ ქალთან დაწოლა მოახერხოს. არ უყვარს და სიყვარულის ცრემლებს ღვრის. ას ქალთან დაწვება-ადგება და, შენს მეტი არავინ მყავსო, დაგიფიცებს. ათასი წყაროდან უკვდავების წყლის ჩამოტანას დაგპირდება, მაგრამ კაცის ერთადერთი საფიქრალი ლოგინია! მას მხოლოდ ეს სურს. მხოლოდ შენისთანა ბრიყვები ყლაპავენ ამას. ნუ მაკავებ, მივდივარ, შენს ქმარს უნდა დაველაპარაკოო, გეტყვის. კი, ბატონო, წადითქო, ეტყვი. რომ წავიდე, შემომაკვდება ის კაციო, და პირს იბრუნებს. კაცს მხოლოდ ლოგინი აინტერესებს, ლოგინი! რომ მოიყირქებს, მოისვრის და მოიშორებს ქალს. (მზაკვრულად იცინის) ასე იაფად გაყიდვა ქალისა, რომელთანაც ოთხი წელია ვწევარ, უფრო მიშლის ნერვებს, ვიდრე ის, რომ მოტყუებული ვარ.

ინჯი – ვედათს ვუყვარდი.

არიფი – დაგისნავლია ეგ ერთი სიტყვა „სიყვარული“ და დილის ლოცვასავით ერთსა და იმავეს ატრიალებ. მაშინ უყვარდი, ახლა სემრას ჰყვარობს, ასეა განა?!

ინჯი – აი, სწორედ ეგ ვერ გამიგია! (ტირის) ამხელა სიყვარულის მერე...

არიფი – გამძლარა შენით! ახლა ხელს ახალს უწვდის!

ინჯი (მღელვარედ) – ვედათს ვუყვარდი, გესმის, ვუყვარდი. ყველაფრით მაგ-

რძნობინებდა ამას. გგონია, ქალი ვერ ხვდება?! შეხებაში, საუბარში, გამოხედვაში განა სიყვარულს ქალი ვერ ხვდება?! შეყვარებული კაცის თვალები, ხელები, ხმა და ჩვეულებრივი კაცის თვალები, ხელები, ხმა ერთია განა?! ვედათი თავიდან ფეხებამდე სიყვარული იყო! სამი დღე რომ არ ვენახე, გიუს ჰგავდა. სიყვარულით სავსე წერილები...

არიფი – ერთსა და იმავე ქალაქში მიმოწერის გამართვა აზრადაც არ მომივიდოდა. სად არის ის წერილები?

ინჯი (უცბად დაფრთხება და შეშინდება)

– წერილები? ყველა დავხიე და გადავყარე.

არიფი – მეც თუ შენისთანა შტერი გგონივარ, ცდები. სასიყვარულო წერილებს არ ხევენ. სასიყვარულო წერილებს ინახავენ. (მკაცრად) გამოიღე წერილები!

ინჯი – გეუბნები, დავხიე.

არიფი (წელ-წელა უახლოვდება) – ძალას ნუ მახმარინებ! გამოიღე წერილები!

ინჯი – რა, ცემას მიპირებ?

არიფი – წერილები მინდა! არ მომცემ და უარესი გელის! თუ საჭიროა... (ინჯის მელავში სტაცებს ხელს).

ინჯი – გამიშვი!

არიფი – წერილები მომეცი, გეუბნები! თუ გინდა, მკლავი საღი შეგრჩეს, გამოიღე წერილები!

ინჯი (მკლავის განთავისუფლებას ცდოლობს) – გამიშვი! გამიშვი!

არიფი – მომეცი წერილები!

ინჯი – იქ, ბუფეტშია. ქვედა თაროზე, მარჯვნივ, გადასაფარებლის ქვეშ.

არიფი (ერთ-ორ კონვერტს გამოიღებს) – ჴო, აი, ასე! წელ-წელა ვსწორდებით!

ინჯი – მომეცი ჩემი წერილები! (უიმედო განევ-გამონევა) დამიბრუნე წერილები!

არიფი – თუ გგონია, რომ ამათ გამოვიყენებ, ცდები. ესენი არაფერში გამოდგება.

ინჯი (წერილების გამორთმევას გადაიფიქრებს) – რომც გამოდგეს, უკვე აღარ მენაღვლება!

არიფი (ერთ-ერთ წერილს ხსნის, თვალს გადაავლებს) – გუშინ კაფეში, ტერასის ზე-მოთ რომაა, უმენოდ წავედი... სად არის ეს კაფე?

ინჯი – ჩემი თანდასწრებით მაინც ნუ წაიკითხავ!

არიფი (მკაცრად) – სად არის ეს კაფე?  
ინჯი – კანდილიზე.

არიფი – იქ, ტერასის ზემოთ, კაფე არ  
არის.

ინჯი – კანდილისა და ქუჩუქსუს შორის.

არიფი – წასასვლელი სხვა ადგილი ვერ  
მონახეთ?

ინჯი – ციხესიმაგრე მოჩანს იქიდან,  
ბოსფორი მთლიანად...

არიფი – რა პოეტურია!

ინჯი – დამიბრუნე ჩემი წერილები!

არიფი (იცინის) – კაცი რომ არანორმა-  
ლურთან გამართავს სიყვარულობანას, ასე  
დაემართება. ციხესიმაგრეს გადახედავს,  
ბოსფორით დატკბება... კანდილიზე ყოფი-  
ლა!... იმ ტიპს ოდნავ ჭკუა მაინც რომ ჰქო-  
ნოდა... (წერილებს ათვალიერებს, კითხუ-  
ლობს) არიფი ამ საქმეში უდანაშაულოა.  
იგი საკუთარ თავზე მეტად უნდა დავიც-  
ვათ.

ინჯი – დამიბრუნე ჩემი წერილები!

არიფი (წერილებს ჯიბეში იტენის) – შე-  
ნი საყვარლის ყველა აღიარება ჯიბეში მი-  
დევს.

ინჯი – ვერ გაიგებ, ვერ გაგვიგებ.

არიფი – შენ რომ გყითხოს კაცმა, მე არ  
ვიცი, ხომ, სიყვარული რა არის და ერთად  
წოლა რა არის?!

ინჯი – იცი?!

არიფი – ერთი მომიყევი, რა არის!

ინჯი – თავი გამანებელ.

არიფი – თუ მომიყები, იქნებ გამეგო.

ინჯი – ნუ დამცინი!

არიფი – შენ ხელისგულივით პატარა  
სამყარო გაქვს. აი, ხომ გახსოვს, ამბობდი,  
კუნძულზე, ზღვისა და ქვიშის შეერთების  
ზოლზე დავდიოდი და ნაფეხურებს ვტო-  
ვებდიო! მოჯადოებულ წრეში ტრიალებ და  
ფართხალებ. შენი თვალები შენი ნაფეხუ-  
რების იქით ვერაფერს ამჩნევს.

ინჯი – რა უცხოა შენთვის ადამიანობა!

არიფი – სხვადასხვანაირი ურთიერთო-  
ბა, სხვადასხვანაირი ვნება არსებობს.

ინჯი – სიყვარული ვნება არ არის.

არიფი – აბა, რა არის?

ინჯი – გამრავლება.

არიფი – ისევ სისულელებს რომავ.

ინჯი – თოვლის რამდენიმე მოფარფატე  
ფანტელისგან უცბად წარმოქმნილი ზვავი

– ეს სიყვარულია. მთიდან დაბლობში დაშ-  
ვებისას ზვავი როგორც მატულობს, ისეთი.

არიფი – ეგ შაბლონია და იაფი ლიტერა-  
ტურა. ეგეთები უამრავი მოგვისმენია.

ინჯი – ურთიერთობის პატარა მარ-  
ცვლის გარშემო არსებული უზარმაზარი  
გროვა.

არიფი – თავი საზამთროს ბალჩაში  
გგონია?! (იცინის) შეიძლება გყითხო,  
თქვენში რომელი მარცვლის გარშემო იმა-  
ტებს გროვა?

ინჯი – გასულ წელს, ზუსტად ერთი წე-  
ლი ხდება, ჩვენთან წვეულება გვქონდა. მე  
ფანჯრის გვერდით სავარძელში ვიჯექი. შენ მოშორებით სერვეტ ბათმაზთან ფულ-  
სა და ინტრიგებზე საუბრობდი. ვედათი  
ცოტათი წინ, ფეხზე იდგა. ერთი ნაბიჯი  
გადმოდგა, ჩემეკნ გადმოიხარა. მარჯვენა  
ხელი ჯიბეში ჰქონდა, მარცხენაში სიგარე-  
ტი ეჭირა. რატომ უჭირავს სიგარეტი მარ-  
ცხენა ხელში-მეთქი, გავიფიქრე. „რამეს  
დალევ?“ – მკითხა. ამ კითხვის დასასმე-  
ლად საჭირო მანძილზე ოდნავ უფრო მე-  
ტად გადმოიხარა. მის ქცევაში რაღაც  
ძლივს მისახვედრი ზედმეტობა იკვეთებო-  
და. თვალებით ჩემს თვალებს ეძებდა. „კარ-  
გი იქნებოდა, დამისხი, სასმელი“, ან „გმად-  
ლობთ, არ მინდა“... აშერა იყო, ამგვარი  
პასუხებისაგან ბევრად განსხვავებულ რა-  
მეს ელოდა. უფრო სწორად, არაფერი  
უკითხავს. შემომხედა. მუხტისათვის საჭი-  
რო მარცვალს ეძებდა.

არიფი – უჩვენე მარცვალი?

ინჯი – მისი შემოხედვა იყო ექო, იყო  
ხმა, რომელსაც თოვლის ფანტელები მოძ-  
რაობაში მოჰყავს.

არიფი – ვაი, ძალლისშვილი!

ინჯი – მერე სიყვარული ზვავივით გაი-  
ზარდა.

არიფი – ეს არის სიყვარული?!

ინჯი – წარმოიდგინე მგლების ხროვა,  
ნამატით მთიდან დაბლობში რომ ჩამოდის!  
წარმოიდგინე ცეცხლზე დადგმული რძე,  
რაც უფრო ცხელდება, რომ ფუვდება და  
გადმოსვლას ლამობს! წარმოიდგინე გა-  
ზაფხულზე ხეებში დატრიალებული წყალი,  
ფესვებიდან ფოთლებამდე რომ დაუვლის!  
მერე ადამიანში წარმოშობილი ძალა წარ-  
მოიდგინე, ფეხის წვერებიდან მთელ სხე-

ულს რომ მოიცავს და ნაპირებიდან გადმო-  
ვა, გადმოვა და მთლად შეგცვლის.

არიფი – რა შეცვლა?

ინჯი – სიყვარული შეცვლას ნიშნავს.

არიფი – აკი გამრავლება იყო! ახლა  
შეცვლა გახდა!

ინჯი – ეს ის ძალაა, ადამიანის გარე-  
მოს, დროსა და სიმართლეს რომ ცვლის.

არიფი – მოყევი, მოყევი, ვსწავლობთ!

ინჯი – შეყვარებული კაცის დრო და სი-  
ნათლე სხვაა.

არიფი (ირონია) – კარგი ერთი!

ინჯი – შეყვარებული ადამიანის დრო  
სხვაგვარად გადის.

არიფი – აბა, სინათლე?

ინჯი – ისეთი რამ არის, რომლის მოყო-  
ლა შეუძლებელია. შეხედე! (განათება გა-  
ცისფრდება) როგორ გრძნობ?

არიფი – გათენდა. მამლები ყივიან.

ინჯი – ეს სიყვარულის სინათლეა. მი-  
უშვი შენი თავი, ფრთხილად, თითქოს ცუ-  
რავ, მიუშვი!

არიფი – მე ფეხებს იატაკს ვერ მოვაშო-  
რებ.

ინჯი – ამ ყოველდღიურობაში ახალი  
ცხოვრება წარმოიდგინე, სიზმრებს შორის  
– სხვა სიზმარი! მიანდე დროს თავი, წარ-  
მოიდგინე, თითქოს მიცურავ! აირეკლე  
სიყვარულისგან გადმოღვრილი სინათლე!  
(ზელით უჩვენებს) სავარძელში ჩაძინებულ  
კატას შეხედე! წელანდელი კატა ეს? ქუჩა-  
ში მიმავალ ბავშვს შეხედე! განა წელანდე-  
ლი ბავშვია ეს? იგრძენი სიახლოვე ქუჩე-  
ბის, დუქნების, მანქანების, ადამიანების!  
ხელი-ხელ და მარტო! მუდმივი გათენება  
და დაღამება! ქვიშნარში ხრაშუნის ხმა! მე-  
თევზე ღმერთივით რომ შემოგხედავს! მე-  
რე მოლივლივე გემი თუ იალქნიანი ნავი!  
დაბლა ჩამოსული ღრუბლები, წვიმა, ქარი,  
ფრთების ფართხუნი, თოლიების ყივილი!  
(უცბად ისევ ძველი განათება ბრუნდება)

არიფი – ეს რაღაა?

ინჯი – ყოველდღიურობაში დაბრუნება,  
საღამოობით სახლში და ქმართან დაბრუ-  
ნება.

არიფი – ახლა უკეთესად ვხვდები, საგი-  
შეთის კანდიდატი რომ ხარ.

ინჯი – შენთვის ძალიან გვიანია! მე ბავ-  
შვობისას სხვა სიყვარულებით დავიწყე.

არიფი (ირონიით) – მართლა?!?

ინჯი – შოკოლადის ვერცხლისფერ ტკა-  
ცუნა ფურცლებს აგროვებდი ბავშვობაში?  
არიფი – არა.

ინჯი – ყვავილი თუ ჩაგიტოვებია წიგ-  
ნის ფურცლებს შორის გასახმობად?

არიფი – არა.

ინჯი – ბალს რომ ჭამდი, წითელი კუნ-  
წულა ბლებისაგან საყურეს იკეთებდი?

არიფი – პატარაობისას ბალს კურკები-  
ანად ვყლაპავდი. ახლაც საზამთროს ჭამი-  
სას კურკებს არ ვაცლი.

ინჯი – ფანქრების ყუთი გქონდა, ზემო-  
დან რომ იღებოდა?

არიფი – საიდან! გამოცდებზეც კი უკალ-  
მისტროდ მივდიოდი და ვინმესგან ვნათხოვ-  
რობდი. ერთხელ უკალმისტრობის გამო კი-  
ნალამ ჩამჭრეს გამოცდაზე. ბოლოს მასწავ-  
ლებელს შევეცოდე და კალმისტარი მომცა.

ინჯი – ამხანაგები თუ გყავდა, რომლე-  
ბიც ძალიან გიყვარდა და მერე დაშორდით?

არიფი – ბავშვები ყველა ერთი იყო ჩემ-  
თვის.

ინჯი – მოჩხუბარი იყავი?

არიფი – არა.

ინჯი – წყნარი იყავი?

არიფი – აი, ასეთი, ახლა რომ ვარ.

ინჯი – შენ ბავშვი არ ყოფილხარ.

არიფი – არ ვყოფილვარ. ბავშვობისა-  
საც დიდი კაცივით ვიყავი.

ინჯი – განსაცვიფრებელია!

არიფი – სკოლაში დუქნის გახსნა მო-  
ვინდომე. რაღაც-რაღაცები მივიტანე გასა-  
ყიდად. ბავშვებმა სულ დაიტაცეს ჩემი სა-  
ქონელი. კაპიტალი სხვას შევანერე.

ინჯი – როგორც ახლა.

არიფი – როგორც ახლა.

ინჯი – კატა გყავდა?

არიფი – ცხოველები არ მიყვარს.

ინჯი – სუფთად იცვამდი, არა?

არიფი – ტანსაცმელს სულ ლაპლაპი  
გაჰქონდა.

ინჯი – ქვედა საცვლები?

არიფი – როგორც ახლა.

ინჯი – ფეხის თითებს უკულმა იბრუ-  
ნებდი, როგორც ახლა?

არიფი – ბავშვობაში დედაჩემი მჭრიდა  
ფრჩხილებს. ისე ღრმად მჭრიდა, მასისხლი-  
ანებდა.

ინჯი – ეჭვიანი იყავი?

არიფი – როგორც ახლა.

ინჯი – ეჭვიანობა შენ რომ იცი, იმისთანა უნდა.

არიფი – აღარ ვეჭვიანობ, უკვე ვიცი. რამდენადაც შესაძლებელია, რომ ვიცოდე, იმდენად ვიცი. როცა ადამიანი თავის დანაშაულს აღიარებს, ამით სხვა დანაშაულებს მაღავს. სიტყვები, უმთავრესად, უთქმელის დასაფარავად ითქმება.

ინჯი – უყურე შენ!

არიფი – ამიტომაც შენი არ მჯერა. რა-საც ამბობ, იმასთან ერთად, იმაზე ვფიქ-რობ, თუ რას მაღავ. ვედათიო, ამბობ. ერ-თიც ვნახოთ, მართლა ვედათია?!

ინჯი – ალბათ, აპმედი გგონია, არა?

არიფი – ერთიც ვნახოთ და ეს პირვე-ლია!?

ინჯი – შენ ხარ კაცი, რომელსაც მხო-ლოდ უნდა, რომ არ შეცდეს. თორემ ეჭვია-ნი არ ხარ.

არიფი – სხვაგვარად შესაძლებელია?!

ინჯი – მე მკითხე, ეჭვისაგან როგორ ვი-ტანჯები! დიდი ხელები აქვს ვედათს. გრძელ-გრძელი თითები. მსხვილი ძარღვე-ბი მოემართება ორივე მკლავიდან ხელე-ბისკენ.

არიფი (დამცირებით) – კარგი ერთი, რა მითხარი?

ინჯი (ხელებით სახეს იფარავს) – ახლა სხვას ეხვევა!

არიფი – კარგი ერთი!

ინჯი – ყველაფერი, რაც მე მიძღვნა, ახ-ლა სხვისია!

არიფი – ეჭვი ოდნავადაც არ გაივლო გულში. ახლა იმასაც კოჭლ მოსამსახურე-ზე, მირნეზე, მათემატიკურში საშემოდგო-მოგამოყოლილ თავის დაზე, ჭიაყელა საქ-მროზე, დედამისზე უყვება!

ინჯი – შენს პირში სუფთა – ჭუჭყიანად, ლამაზი კი მახინჯად გადიქცევა.

არიფი – სინამდვილეში ყველაფერი ეს ორი ადამიანის, ერთმანეთთან პირისპირ დარჩენის რომ ეშინიათ, მარტოობის განსა-ქარვებლად მოგონილი ზღაპრებია. მორიე-ლების დაწყვილება გინახავს? მდედრი – მამრს, მამრი მდედრს შეუღლების დაწყე-ბამდე მარწუხებით იჭერს. ეს უსაფრთხოე-ბის ზომაა. იმიტომ, რომ დაგესვლა, შეამის

დანთხევა შეუღლებამდე ხდება. მორიელი – მორიელს, ადამიანი ადამიანს გესლავს. ყველა ეგ ზღაპარი შიშის გამოა მოგონილი. ზუსტად ისევე, როგორც ბავშვი, სიბნელის რომ ეშინია და მღერის.

ინჯი – შენ ხარ ეგ! შენი უნდა ეშინოდეს კაცს.

არიფი – ჩემზე ადრე, უკეთესს იზამდი, საყვარლისა რომ შეგშინებოდა.

ინჯი – ვედათი სიყვარულით მოსავს ადამიანს, სიყვარულით ეხება.

არიფი – ესე იგი, უძლური მარწუხები აქვს.

ინჯი – ვედათი ახლობელია ადამიანი-სათვის.

არიფი – არავინ არავისი ახლობელი არ არის.

ინჯი – ისე გვქონდა ყველაფერი აწყო-ბილი, თითქოს განუშორებლად ვცხოვრობ-დით, დღის ნებისმიერ საათს ერთმანეთის ყველა ნაბიჯი ვიცოდით, დილას ისე ვდგე-ბოდით საწოლიდან, თითქოს ერთმანეთის გვერდი-გვერდ გვძინებოდეს. „წუხელ ხომ კარგად გეძინა?“ – ვეკითხებოდი. გამიღი-მებდა ან თავს მოიფხანდა. მისი საწოლი-დან ნამოდგომა მე მეკუთვნოდა. ფლოს-ტებში ფეხს რომ უყრიდა, ვიცოდი, ჩემზე ფიქრობდა. ჩემი პირველი ფიქრიც ის იყო. იქ ის ყავას სვამდა, მე აქ ჩაის წყალს ვად-გამდი. ჩემ უკან, მხერების ზემოდან ჩაიდან შესცეკროდა. მერე პირს ვიბანდი, კბილებს ვიხეხავდი. ის წვერს იპარსავდა. პირს რომ ვიმშრალებდი, ჩემს პირსახოცში მის სახეს ვხედავდი. სარკეში თმას რომ ვივარცხნი-დი, მის საპნით აქაფებულ სახეს ვხედავდი. თვალს მიკრავდა.

არიფი – ისე ჰყები, თითქოს მე საერ-თოდ არ ვყოფილვარ.

ინჯი – შენ არ გაქცევდი ყურადღებას. შენ რომ ჭიქას მიწვდიდი ჩაის დასასხმე-ლად, მე მას ვუსხამდი ჩაის. პურზე კარაქს რომ ვუსვამდი, ეს შენ კი არა, მას ეკუთვნო-და. გაზეთის უკან ის იჯდა, შენ კი არა. სა-ათს დახედავდა, დამაგვიანდაო, იტყოდა. სახლიდან გადიოდა. მას კარამდე არ ვაცი-ლებდი, თვალს არ ვაყოლებდი, მაგრამ რა-საც აკეთებდა, ვიცოდი. ქუჩაში გავიდოდა თუ არა, მოპირდაპირე მეთუთუნისაგან სი-გარეტს ყიდულობდა. მერე სამარშრუტო

ტაქსიში ჯდებოდა. ქუჩაში მისი სიარული მე მეკუთვნოდა.

არიფი – აჲ, რა დიდი რამაა!

ინჯი – მისი საწოლიდან წამოდგომა, ჩაცმა მე აღარ მეკუთვნის. ქუჩაში მისი სიარული ჩემი აღარ არის. სარკეშიც სახეს სხვა ქალისაკენ აბრუნებს.

არიფი – არასოდეს მიყვარდი. არ მიყვარდი და რა უნდა მეეჭვიანა!

ინჯი – სხვა ვინმე გიყვარდა?

არიფი – ყოველთვის ვხედავდი შენში ერთ ნაკლს. ნაკლი არ არის ეს, ზედმეტობაა. დედაშენს ჰგავხარ.

ინჯი – მე უფრო მამაჩემს ვგავარ.

არიფი – შენთან წოლისას სულ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს დედაშენთან ვწოლილიყავი. უფრო მამას ვგავარო, ამბობ. კიდევ კარგი, მამაშენი არ მინახავს, თორემ ეს საქმე მამაშენთან უფრო უგემური იქნებოდა. აიღე სარკე და ჩაიხედე! ეგ ცხვირის ნესტორები, ეგ ტუჩის მონახაზი, ზედა ტუჩზე ეგ ლინლი. იცი, რა ძნელია, როცა ქმარი ცოლის ტუჩების ნაცვლად ბებრის ულვაშიან და უკბილო პირს კოცნის! კისერი, მხრები, თეძოები, მკლავები ზუსტად დედაშენს გიგავს. პირველად ნახვისას რაც არ მომენტია შენში, მერე დედაშენში აღმოვაჩინე უცებ ყველაფერი. გამოდის, რომ შენში დედაშენი არ მომწონებია. თავიდან ყურადღება არ მივაქციე. არ გამომივიდა! დავიწყებას შევეცადე, არ გამომივიდა! გამოხდა ხანი და მთლიანად დედაშენს დაემსგავსე. ვერ გავიგე, რა იყო ეს, რანაირი კიბო იყო! ნელ-ნელა მთელ შენს პიროვნებაზე გავრცელდა. შენში დედაშენი ლაპარაკობდა, დედაშენი იცქირებოდა, დედაშენი ჭამდა საჭმელს. 26 წლის ქალზე დავქორწინდი და 60 წლის ბებერთან ვინექი ითხო წელი. ეს რომ მცოდნოდა, პირდაპირ დედაშენს ვითხოვდი. ვინ იცის, იქნებ მასში ბებია შემყვარებოდა!

ინჯი – დედაჩემი ახალგაზრდობაში ლამაზი ქალი იყო.

არიფი – მე მისი მოხუცებულობა მერგო. მართლაც, დილ-დილობით შენ მიერ ვედათისათვის განვდილ კარაქიან პურსა და ერთ ფინჯან ჩაის მე დედაშენი მანვდიდა. თავს ვაბრუნებდი, რომ არ დამენახა. შენ რომ იხდიდი ხოლმე, ფეხის ცერა თითის

გვერდით გამოსული კოჭისთვის თვალი რომ არ მომეკრა, სხვა რაღაცებზე ვფიქრობდი. დედაშენსაც ჰქონდა ფეხზე ეგეთი კოჭი. ფეხსაცმელს ვერ შოულობდა. ყოველთვის ცერა თითს ტკენდა ფეხსაცმელები. დედაშენი რომ ცნობოდა, ვეღარ შეაცდენდი ვედათს.

ინჯი – მე ვისურვებდი, რომ დედაჩემი სცნობოდა ვედათს. იგი იმას, რასაც შენ ჩემში ვერ იტანდი, დედაჩემში რომ აღმოაჩენდა, შეიყვარებდა დედაჩემს. ჰაპ, თურმე, ჩემში რომ დედაჩემი არ დაგენახა, თავს აბრუნებდი! აბა, მე მკითხე, მე კი იმიტომ დავხუჭე თვალები, რომ შენში შენ არ დამენახე! შენ, კომისიონერი არიფივით დგები და წვები, ჭამ, მასავით დადიხარ. შენ ადამიანს საბაჟოდან დაბრუნებული საქონელივით, ანდა, საქმეში როგორ გამოვიყენო, მუშტრის თვალით უყურებ. შენთან ცხოვრება შეუძლებელია. შენთან მხოლოდ საქმეში თუ შეიძლება შეამხანაგება. ისიც – პარტნიორს თუ ძირს არ გამოუთხრი! კომისიონერი, მძაფრი სუნის ვარდის ზეთივით რომ ჩაკიდულა შენს ყველა ქცევაში და მოქმედებაში, ცხვირის ნესტოს მწვავს, მანუხებს.

არიფი – შენ რომ გაწუხებს, იმ სუნის ყნოსვისათვის სხვა ქალები სიამოვნებით ბერავენ ნესტორებს. საკომისიო თანხის ამოლება და ფული, კაცს რომ ყველაზე მეტად შევნის, ის სუნია. თუ არა გჯერა და სემრას ჰკითხე!

ინჯი – რისი თქმა გინდა?

არიფი – დაახლოებით ორი თვის წინათ სემრას მიმართ ინტერესი მქონდა.

ინჯი – მატყუარა, სულმდაბალო მატყუარა!

არიფი – რაში მჭირდება ტყუილი?

ინჯი – იგონებ.

არიფი – ნაჯობნი რომ არ გამოჩნდე?

ინჯი – შენი ხომ კაცს არ დაეჯერება, შენი ნდობა შეუძლებელია.

არიფი – სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ თქვენსავით მიმოწერა არ გაგვიმართავს. ხელთ არავითარი საბუთი არ შემრჩა იმის დასამტკიცებლად, რომ სემრასთან რომანი მქონდა. მხოლოდ წვრილ-წვრილი საჩუქრები დამრჩა. ისიც – სამახსოვრო წარწერის გარეშე.

ინჯი – კარგი ერთი!

არიფი – სიტყვამ მოიტანა და აი, კარგად რომ ვხმარობ, პერანგის სამაჯურის საკინძეები.

ინჯი – აბა, ბედესთენში<sup>1</sup> მთლად მუქ-თად, 25 ლირად დავითორიეო. თანაც, 25 ლი-რაზე მეტი არც ღირს.

არიფი – სულ მცირე, 500 ლირა ღირს. სუფთა ოქროა, ძველი ნამუშევარი, უფრო ნაკლებად ვინ მოგცემს?

ინჯი – ესე იგი, მომატყუე. სემრას ნა-ჩუქარი იყო და, ბედესთენში ვიყიდეო, მა-ჭამე განა?!?

არიფი – სხვა გზა არ მქონდა.

ინჯი – შეგეძლო, უფრო ღირსეულად მოქცეულიყავი.

არიფი – როგორ?

ინჯი – შეგეძლო, გაჩუმებულიყავი. ხომ არ მიკითხავს! სულმდაბლობად მიმაჩნია ამდენი ტყუილი.

არიფი – ტყუილის გარეშე არ გამოდის ასეთი საქმეები.

ინჯი – ნამდვილი საყვარელი იყო?

არიფი – შენ და ვედათის მსგავსად.

ინჯი – ლოგინი გქონდათ?

არიფი – გვქონდა.

ინჯი – თახსირი ქუჩის კახპაა ეგ ქალი, ყველა კაცს უწვება.

არიფი – რა სამწუხაროა და ასე ყოფი-ლა! ვედათთან დაწოლით გამოჩნდა მისი ნამდვილი სახე.

ინჯი – ვედათი ყველა არაა.

არიფი – მართალია, დეგენერატია, სა-ცოდავი კაცია.

ინჯი – ნუ შეწუხდები შეცოდებით! ცო-ლი და საყვარელიც კი აგართვა ხელიდან!

არიფი – საყვარელი მე მივატოვე. ცო-ლი კი უჯიშო თუა, რა ჩემი ბრალია?!

ინჯი – ოოჳ, თავი!

არიფი – გაგისკდება ეგ თავი.

ინჯი – გგონია, მეწყინება?!

არიფი – რა ვიცი!

ინჯი – სხვა რამეს ვფიქრობ.

არიფი – აწი იფიქრე, რამდენიც შეგიძ-ლია!

ინჯი – სად ხვდებოდით ერთმანეთს?

არიფი – ჩემს გარსონიერკაში.<sup>2</sup>

ინჯი – მე აქ აქანდაზის საყიდელ ფულს ვერ ვპოულობდი და შენ ამ დროს გარსონი-ერკაში ქალებში დროს ატარებდი!

არიფი – დაახლოებით ეგრეა.

ინჯი – სემრას გარდა სხვაც გყავს?

არიფი – შენთვის ეგეც საკმარისია.

ინჯი – მიპასუხე, როცა გეკითხები. სხვა ქალებთანაც კოტრიალობდი?

არიფი – არა ვარ ვალდებული, ანგარიში გაბარო.

ინჯი – სად არის ეგ გარსონიერკა?

არიფი – შენ ვინ გეკითხება?!

ინჯი – აჲ, მე ვინ მეკითხება?!

არიფი – ახლა როგორ ხარ, პატარა ქალბატონო?!

ინჯი – საცოდავი ადამიანები!

არიფი – საცოდავი შენ ხარ.

ინჯი – ყველანი საცოდავები ვართ. სხვას რა ადვილად შეუძლია ჩაეხუტოს კაცს, რომელთან დაწოლა მე ასე ძლიერ მაფრთხობდა.

არიფი – კაცი, რომელთანაც დაწოლა გაფრთხობდა, მე ვარ?

ინჯი – მერე ასეთი ზნედაცემული ქალი ჩემს შეყვარებულს აცდუნებს და მარ-თმევს. ჩემი შეყვარებულიც მტოვებს და მასთან მიდის!

არიფი – შენ ქალი არ ხარ.

ინჯი – რომ წარმოვიდგენ, ისევ შიში მიპყრობს.

არიფი – შენთან სხვაგვარად შეუძლე-ბელია.

ინჯი – ყოველთვის სიზმრისეული, უც-ხო ქალი ან კაცი არსებობდა ჩვენ შორის.

არიფი – არ მყოფნიდა და იმიტომ.

ინჯი – სამნი ერთად ერთ საწოლში!

არიფი – ეს სალაპარაკო არაა.

ინჯი – ეს ხომ შეუძლებელია! მიკვირს, აქამდე როგორ არ დავიცალე, როგორ არ გავგიუდი. სინამდვილეში შენ კაცი არ ხარ, ანდა წმინდა წყლის ავადმყოფი ხარ.

არიფი – ყველა ქალს თავისი ქმარი ასე-თი ჰერონია.

ინჯი – შენს საყვარელს რომ ვკითხოთ, ისიც იმავეს იტყვის.

<sup>1</sup> სტამბოლში ბაზრის ის ნაწილი, სადაც ძვირფასეულობა იყიდება.

<sup>2</sup> იდუმალი შეხვედრებისათვის ხაქირავები ბინა.

არიფი – ჩემი საყვარელი, მე რომ მივა-  
ტოვე, ავად გახდა.

ინჯი – რამდენ ხანს გაგრძელდა ოქვენი  
სიყვარული?

არიფი – დაახლოებით ექვს თვეს.

ინჯი – და უცხოები არ აგიყვანიათ, არ  
გყოლიათ?

არიფი – უცხოები და ჩვენ; აი, ასე ვიმ-  
შვიდებდით თავს, ვპოვებდით ნუგეშს!

ინჯი – თუ ნუგეშს პოვებდით, რაღად  
მიატოვე შენი საყვარელი?

არიფი – გბეზრდება, ყველა ქალი გყირ-  
ჭდება. არადა, მშვენიერი დრო ვატარეთ  
ერთად. ჩვენც ვხვდებოდით ერთმანეთს კა-  
ფეში. ოღონდ ტერასის ზემოთ კანდილიზე  
არა, ქალაქის ყველაზე უფრო ურიამულით  
სავსე ადგილას. უზარმაზარ ფანჯრებში ავ-  
ტომობილები და ხალხმრავლობა მოჩანდა.  
როცა თოვს, დღისით-მზისით არყის წრუპ-  
ვა გიყვარს? სემრას უყვარს. თოვდა, ბარ-  
დინდა, თბილ კაფეში ვისხედით ხოლმე და  
ლიმონიან არაყს წრუპავდა. თანდათან  
თბებოდა, ლოყები და თვალები უწითლდე-  
ბოდა. როცა ის ვიტრინებიდან ხალხს შეს-  
ცეროდა, მე მას მივჩერებოდი. მსმელ და  
მერე სმით აღგზნებულ ქალებს ორთქლი  
ასდით. ეს რაღაც სუნია, პირველყოფილი  
სუნი, კაცს რომ კაცობისკენ მოგატრია-  
ლებს.

ინჯი – შენი ცხვირი, ფულის სუნის გარ-  
და, სხვა სუნს ვერ გრძნობს.

არიფი – გამოდის, რომ მდედრის სუნ-  
საც გრძნობს.

ინჯი – სემრაა ეგ?

არიფი – რატომაც არა?

ინჯი – დალზე მარტო ვარ.

არიფი – შენ ყველაფერი იღონე, რომ  
მარტო დარჩენილიყავი.

ინჯი – კიდევ ერთი რამ, ვერ გეკითხები.  
მაგრამ მაინც გკითხავ. ძალიან ქალური  
იყო?

არიფი – ვედათზე ფიქრობ, არა?

ინჯი – შენ უკეთ იცი.

არიფი – გითხარი მე შენ, დიდი კახპაა  
სემრა.

ინჯი – რატომ არ გინდა, რომ ადვილად  
მოვკვდე?

არიფი – ყველაფერს თავისი დრო აქვს...  
კაფეზე გიყვებოდი. ერთ ეგეთ კაფეში ვი-

სურვებდი ახლა წასვლას. მე სახლის კაცი  
არ ვარ. ქუჩები, კაფეები, ოტელები, ბარები  
სახლზე უფრო მიყვარს.

ინჯი – მე შემეძლო, სახლი უფრო მყვა-  
რებოდა.

არიფი – უკვე ძალზე გვიანაა.

ინჯი – ვერ გამოვასწორებ?

არიფი – ვერ გამოასწორებ, ჩადენილი  
კიდეც უნდა ზღო!

ინჯი – მე უკვე ვიწვნიე საწვნევი!

არიფი – ჯერ არ დამთავრებულა.

ინჯი – მართლა?

არიფი – დიდსა თუ პატარას მოვუყები  
თქვენი სიყვარულის დიდ ისტორიას, ყვე-  
ლაფერს – რაც გიქნია და რაც არ გიქნია,  
ძველსა და ახალს. იმიტომ რომ, რაც არ გა-  
გიკეთებია, შეგეძლო, რომ გაგეკეთებინა.  
მინდა, რომ კარზე მომდგარმა მუშტარმა  
იცოდეს, რა ჩიტიცა ხარ. დამადასტურე-  
ბელ საბუთსაც მივაყოლებ..

ინჯი – რა საბუთს?

არიფი – წერილებს. გავამრავლებ წერი-  
ლებს. ნახავ, ქვეყნის როგორი სასაცილოე-  
ბი გახდებით.

ინჯი – პირიქით, ყველა შეიტყობს, რა  
არამზადაც ხარ.

არიფი – გარეთ გამოსაჩენი პირი აღარ  
გექნება.

ინჯი – მაგით რას მოიგებ?

არიფი – ეგ მე ვიცი.

ინჯი – დამიბრუნე ჩემი წერილები.

არიფი – მაგ წერილების ფასი 70 ათასი  
ლირა. 70 ათასი ლირა ახლა კრიჭაში მაქვს  
მოქცეული. შენ მეუბნები, მოუშვი ყბის  
ძვლები, რომ ფულები დაიფანტოსო. რას  
ამბობ, არც იოცნებო.

ინჯი – დამიბრუნე ჩემი წერილები!

არიფი – უსქუდარის სახლს ვითხოვ სა-  
ნაცვლოდ.

ინჯი – აზრადაც არ მომივიდოდა, რომ  
ამხელა უბედურების ფულად ქცევას მოინ-  
დომებდი.

არიფი – კარგი თუ ცუდი, რაც კი რამ  
არსებობს, ყველაფერის ფულად ქცევა შეიძ-  
ლება ამქვეყნად. საკმარისია, რომ...

ინჯი – საკმარისია, ადამიანი აგრერი-  
გად უსინდისო იყოს!

არიფი – შენ სინდისს როგორ ახსენებ?

ინჯი – ჩემს სახლს არ დაგანებებ.

არიფი – ყბის ძვლები წნეხივით მაგარი მაქვს, ერთხელ თუ შევკარი, აღარ გაიხსნება.

ინჯი – თუ საჭირო შეიქნება, რკინის სოლით აგაშვებინებ მაგ კბილებს.

არიფი – სახლი მაინც გაიყიდება, დაგირავებულია.

ინჯი – ვინ თქვა?

არიფი – მე ვამბობ.

ინჯი – არაფერი ვიცი, შეუძლებელია.

არიფი – გავყიდი და დამთვარდება.

ინჯი – ტყუი, ჩემი სახლი როგორ დაგირავდებოდა, მე არაფერი გამიგია!

არიფი – ჩვენი ქორწინების დღეებში ჩემთვის გადმოცემული მინდობილობა გავიწყდება.

ინჯი – პროკურატურას გადაგცემ.

არიფი – (იცინის) სულელი ხარ. შენი სახლის დაგირავებით დანაშაული კი არ ჩამიდენია, პროკურატურაში რომ გარბიხარ! მინდობილობით ჩემთვის მონიჭებული უფლებამოსილება გამოვიყენე.

ინჯი – მე შენთვის ეგ მინდობილობა ჩემი სახლის დასაგირავებლად არ მომიცია.

არიფი – სისულელეს თავი დაანებე! დაგცინებენ პროკურატურაში. თანაც წერილები იმის დამადასტურებელია, რა გაქანებული კახბაცა ხარ! გაყრის სასამართლო პროცესზეც თავი მოგეჭრება. მეტს ველარც გათხოვდები! ეგრე ეთრევი.

ინჯი – ჩემს სახლს არ დაგანებებ. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ! ყველა კარზე დავაკაკუნებ, ყველას მოვუყვები, ვინცა ხარ და როგორი არამზადაც ხარ.

არიფი – ჯოჯოხეთამდეც გზა გქონია, მაგრამ უსქეუდარის სახლზე აღარც იოცნებო! (ჯიბიდან წერილებს იღებს) სიტყვა მომეცი, რომ ხვალ ნოტარიუსთან წახვალ!.. (ინჯი არიფს ეცემა, წერილების წართმევა უნდა. პატარა განევ-გამოწევის შემდეგ გულამოვარდნილი ისევ თავის ადგილს უბრუნდება.)

ინჯი – გველივით შხამიანი ხარ!

არიფი – ხვალ, როცა ნოტარიუსთან საჭირო ქალალდებზე ხელს მოაწერ, ჩათვალე, რომ წერილები ჯიბეში გექნება.

ინჯი – მეყრები?

არიფი – დიახ!

ინჯი – ჩვენი გაყრის დრო დადგა?

არიფი – დიახ!

ინჯი – არ მჯერა!

არიფი – ვერ ხედავ, ჩენწოს დაემსგავსე!

ინჯი – ჩენწოს დავემსგავსე.

(მუსიკა მსუბუქად პირველი მოქმედების თემებს იმეორებს. ინჯი თავს ხელებში ჩარგავს. ძალაგამოცლილია. აშკარაა, რომ უიმედობამ მოიცვა. ამას იქით მის თამაშში სრული სასოწარკვეთილება ჩანს. არიფი გადის და ხელში შარვლით ბრუნდება)

არიფი – (შარვალს ესვრის) გამიუთოვე ეს!

ინჯი – ახლა?

არიფი – ახლავე, ამ საღამოს ამ შარვალს ვიცვამ.

ინჯი – (მკლავზე ხელს გადაისვამს) ოჟ, მარცხენა მკლავი.

არიფი – მარჯვენათი დააუთოვე!

ინჯი – არაქათგამოცლილი ვარ!

არიფი – საღამოსთვის სხვა ჩასაცმელი შარვალი არ მაქვს.

ინჯი – ქვეყნის ტანსაცმელი გაქვს!

არიფი – მე ამის ჩაცმა მინდა.

ინჯი – უსულო ტომარასავით ვარ!

არიფი – არ მოგისმენ, ეს შარვალი უნდა გაუთოვდეს!

(ინჯი კარადიდან უთოს და საუთოო ქსოვილს იღებს. საუზმის მაგიდას საუთოოდ ანყობს. უთოს შეაერთებს. სკამზე დაეშვება. მუსიკა ჩქარდება.)

ინჯი – ძალზე უბედური ვარ. ძალიან სწრაფად დავიცალე!

არიფი – შენ დაიცალე, მაგრამ მე ვერ გავძეხი. რაც გამიკეთე, ჯერ იმისი სამაგიეროც არ მიგიღია.

ინჯი – მოსაცემი რაღა დამრჩა?

არიფი – ხვალ ნამოხვალ ნოტარიუსთან, სახლს გადმომცემ, გავიყრებით. იქნება კიდეც მოიკეთო, თავიდან დაიწყო ცხოვრება. ცოტაა, ცოტა! ეს შენთვის ცოტაა!

ინჯი – შენი გაძლომა ძნელია! (ინყებს უთოობას) თავი მიზუის. თავი თავში აღარ მეტევა,

არიფი – ეგ არა კმარა. (არიფი ტელეფონისაკენ მიდის, მუსიკა გრძელდება. არიფი ტელეფონში) ალო! ქალბატონი სემრა მინდოდა. სემრა, შენ ხარ?!.. არიფი ვარ.... არ ვარ კარგად... არა, არ ვარ... მერე მოგიყ

ვები... სამწუხაროა, მაგრამ საღამოს ვერ ვიკრიბებით... ინჯი გაციებულია, ავად არის... შენ ყველას დაურეკე, შეატყობინე! მე ვერ ვრეკავ... იმიტომ, რომ ვერ ვრეკავ... დიახ, შენ დაურეკავ... სერვეთ ბათმაზის ოფისში დარეკე, ჩემი სახელით უთხარი, მოვიტევოს! ცოტა მოეპირფერე!.. კარგი, ვინც უნდა მოსულიყო ამ საღამოს, ხომ იცი... კარგი. ახლო მომავალში. არა, არა... მნიშვნელოვანი არაფერია. (ინჯისთან ბრუნდება. მუსიკა ჩერდება)

ინჯი – ვის დაურეკე?

არიფი – ვერ გაიგონე?

ინჯი – ვერ გავიგონე, ჭკუა აღარ შემრჩა.

არიფი – ვედათს დაურეკე.

ინჯი – რა გინდა ვედათისგან?

არიფი – ვუთხარი, რომ აქ მოსულიყო.

ინჯი – მგონია, ახალი ეტაპის ზღურბლზე ვდგავართ.

არიფი – დიახ.

ინჯი – სახიფათოა?

არიფი – დიახ.

ინჯი – ვედათთან შეხვედრა არ მინდა.

არიფი – მე კი ზუსტად მაგისთვის დავიბარე.

ინჯი – ამას არ იზამ!

არიფი – უკვე ვქენი!

ინჯი – რას ფიქრობ?

არიფი – ეს შენი საქმე არ არის!

ინჯი – შეუძლებელია.

არიფი – მე ვთქვი, შესაძლებელია-მეთქი, ესე იგი, შესაძლებელია.

ინჯი – მე მივდივარ, პირისპირ ვერ შევხვდები ვედათს.

არიფი – (წინ გადაუდგება) ვერსად ვერ წახვალ!

ინჯი – ვინ იცის, რა გაქვს ჩაფიქრებული.

არიფი – ეს მე ვიცი.

ინჯი – ნუ მათამაშებ! რასაც აპირებ, შეასრულე და დამთავრდეს.

არიფი – ქუჩაში ვეღარ გახვალ! ხალხში თავს ვეღარ გამოყოფ!

ინჯი – ამით რას მოიგებ? თავი გამანებე! (დამფრთხალი) მართლა მოვა?

არიფი – ახლა არ დაურეკე?!

ინჯი – ვედათმა ყველაფერი იცის.

არიფი – არ იცის. რა ჩიტიც ბრძანდები, ჯერ არ იცის. შენს საყვარელს მოვუყვები უსქუდარში შენი ცხოვრების უცნობ წვრილმანებს.

ინჯი – ეს ჩემზე არ იმოქმედებს.

არიფი – მე შენ წუმპიდან ამოგიყვანე.

ინჯი – შენ მე სიღარიბიდან ამომიყვანე. მაგრამ დოვლათი არ დამხვედრია. ტრაბა-ხის ჭაობში ჩამაგდე.

არიფი – არ დაგავიწყდეს, შემწვარი ხორცის ძვლებს რომ ხრავდით! სუფრაზე ხორცი რომ შემოჰქონდათ, თვალები გიელ-მდებოდა!

ინჯი – სირცხვილო!

არიფი – უსქუდარში ორი ნაწნავითა და სანდლებით დარბოდი, დღესაც ახსოვს ხალხს.

ინჯი – სანდლებით სიარული სირცხვი-ლი არ არის.

არიფი – ბაყლის ხელის ბიჭებს რომ ეკეკლუცებოდი, იმაზე რას იტყვი?

ინჯი – ბაყლის ხელის ბიჭებს?!

არიფი – რა მალე დაგავიწყდა ის მალალი, მსუქანი დახლიდარი!

ინჯი – იგონებ!

არიფი – მაპმუდი არ ერქვა?

ინჯი – იტყუები! იგონებ!

არიფი – ვიგონებ. რა, გამოგონება აკ-რძალულია?!?

ინჯი – ხელებს ვწევ!

არიფი – გახსოვს, წვინტლიანის ერთი იყო მაპმუდა, რომ ეხვეოდი, ცხვირში ქაშარის ყველის სუნი გილიტინებდა. მაგრამ ყურადღებას არ აქცევდი, იმიტომ, რომ გიყვარდა.

ინჯი – სულმდაბალო!

არიფი – არ გახსოვს, კისიკლიში<sup>1</sup> ტერა-სის ზემოთ კაფეში ხვდებოდით ერთმანეთს!

ინჯი – საზიზღარო, თაღლითო!

არიფი – მაპმუდის უცოლო ამხანაგის ბინაში ხვდებოდით ერთმანეთს. იქ კოტრი-ალობდით, ტყუილია? დედაშენმა, უსქუდარის ბებიაქალმა მემწუნემ, არ წაგასწროთ ლოგინში? თმებით გათრია ტრამვაის ხაზზე.

<sup>1</sup> კისიკლი – სტამბოლის უბანი

ინჯი – ამას მე ვერ გავუძლებ.

არიფი – ქოში იყო თუ მაჰმუდ ფაშას ნახელავი ფეხსაცმელი, რელსსა და ასფალტს შორის გაგეჩირია და გადაიხარე იმის ამოსაძრობად. ჩამოფასებულში ნაყიდი ნეილონის ნიფხავი და მაქმანიანი ქვედაბოლოს...

ინჯი – (აღმოხდა) მე ამას ვერ გადავიტან.

არიფი – უნამუსო! ვინ იცის, კიდევ რამდენთან იწექი! ვინ იცის, კიდევ რამდენი შოფერი, რამდენი ყასბის ხელზე მოსამსახურე ბიჭი გყავს დავთარში! იცოდეს ეს ყველაფერი ბატონმა ვედათმა.

ინჯი – (უსუსურად) ამას არ იზამ! ცილს ვერ დამწამებ!

არიფი – პაი გიდი, უსქუდარელი ბებიაქალის მემნუნეს ქალიშვილო. პაი გიდი, კვარტლის ლამაზმანო!

ინიჯ – (იმავენაირად) დავურეკავ ვედათს, არ მოვიდეს!

არიფი – (წინ გადაუდგება) ისე იქნება, როგორც მე ვთქვი!

ინჯი – (თანდათან უფრო ძალაგამოცლილი) თავს მოვიკლავ! (ჯიბიდან ძილის ნამალს ამოილებს)

არიფი – ეგენი მაგიდაზე დატოვე! (უთოს გამორთავს)

ინჯი (ძილის აბებს მაგიდაზე ტოვებს) – დაურეკე ვედათს, არ მოვიდეს.

არიფი – (სილას გააწის) ავად ხარ შენ!

ინიჯ – (რეაქცია არ აქვს, სკამზე ჩაჯდება) შენ გამო დავავადდი.

არიფი – სიყვარულმა გადაგრია!

ინჯი – შეიძლება!

არიფი – მოკვდები!

ინჯი – ნეტავ, მოვავდე!

არიფი – შენს სიკვდილს მოვესწრები!

ინჯი – მე ძალა აღარ შემრჩა. შენ ჯერ ვერ გაძეხი.

არიფი – ვერ გავძეხი!

ინჯი – დალიე ჩემი სისხლი და დაამთავრე!

არიფი – საინტერესო აზრია.

ინჯი – რას მოიგებ?

არიფი – შენი ნოტარიუსთან წაყვანით ყველაფერს ვიგებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსქუდარის იმ მინგრეულ-მონგრეულ ხის სახლს. არ დაგავინყდეს, ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ.

ინიჯი – სულ ეს არის?

არიფი – გგონია, შენი ჩაძალლება სულ არ იმოქმედებს ჩემზე?! (მუსიკა)

ინჯი – სიკვდილზე გულს ნუ ამაყრევინებ!

არიფი – რისი თქმა ვინდა?

ინჯი – შენ რომ ვერც გაიგო, მაინც მოხდება. (ტელეფონი რეკავს, არიფი ტელეფონისკენ წავა)

არიფი – (ტელეფონში) მე ვარ... რა გნებავთ?.. რა ბრძანეთ, ვინ?.. ბაირამ გუნდუზის მეულლე?.. გიცანით... დიახ... რა მომხდარა... თურმე უნდა დააპატიმრონ?!.. ვინ?.. მე?.. ასე ადვილი არ არის!.. ვიცი, ცხიმის საქმე, ჰაჯი ნეზირის ზეთები... მე არ ვარ დამნაშავე... მე სიყალბე არ ჩამიდენია... ბაირამ გუნდუზი სად არის?.. დაიმალა?... კარგი, ეგ თუ დაიმალა, საქმეები ვინ გამოასწოროს?... აა, ეგ სხვა საქმეა... კარგი... კარგი... ესე იგი, მეც ერთი კვირა, ასე ათი დღე არ გამოვჩინდე, დავიმალო. გასაგებია... წვენც არ გამოვჩინდებით ამ არემარეზე... (ყურმილს კიდებს)

ინჯი – (უკვე სულ სხვა სამყაროშია) ვედათს დაურეკე?

არიფი – დავურეკე!

ინჯი – რას ამბობს?

არიფი – შენი სახის დანახვა აღარ უნდა.

ინჯი – ეს უკეთესია!

არიფი – გიშე! (არიფი ოთახებში გადიგამოდის, იცვამს. მუსიკა ჩერდება)

ინჯი – რამდენიმე დღეა, წამლები არ დამილევია.

არიფი – წამლები წინ გიდევს.

ინჯი – ესენი საძილე აბებია!

არიფი – დალიე ეგენი!

ინჯი – ეს ჩემი წამლები არ არის, ჩემი წამლები კარადაშია.

არიფი – ეგენი უკეთესია. ეგენი დალიე! დალიე და ჩაძალლდი!

ინჯი – ვედათი რომ მოვიდეს?

არიფი – ვედათი არ მოვა.

ინჯი – შენ დაურეკე, არა? ერთ ჭიქა წყალს მომიტან? ადგომის თავი აღარ მაქვს!

არიფი – როგორც იქნა, ბოლოში ხარ გასული. ეს წამლები დალიე და კარგად გახდები! მთლიანად, მთლიანად, სულ!

ინჯი – რა მალე! როგორ მოხდა და ასე

მალე! (არიფს ჩაცმა დაუმთავრებია. გასას-ვლელად მზად არის. გამოპრანჭულია.)

არიფი – ტერასის ზემოთ კაფე ისევ თვალწინ გიდგას?!

ინჯი – წაბლის ხეების ქვეშ ვზივარ. (არიფი გასვლის წინ ინჯის ხელის გულს გა-აშლევინებს, ორ შუშა საძილე აბებს ხელში ჩაუცლის)

არიფი – სულ დალიე! თუ სულ არ და-ლევ, არ გიშველის. თუ სულ არ დალევ, ცუ-დად იქნები. (გადის. ისმის გასასვლელი კა-რის დაკეტვის ხმა. ინჯი კერპივით გახევე-ბულია. მუსიკა ახალ თემაზე გადადის. საკ-მაოდ ხანგრძლივი პაუზა.)

ინჯი – ეს წვიმის სევდაა. წვიმის მოლო-დინი.

კაცის ხმა – რომ გაწვიმდეს, გადავრჩე-ბით! გადარჩები!

ინჯი – სინამდვილეში, შენი გულის-თვის, შენ გამო...

კაცის ხმა – ყველა ზღაპარს თავისი და-სასრული აქვს.

ინჯი – ნაწყენი ვარ შენზე! (წყალს აი-ლებს და ფეხზე წამოდგება. გაივლის. უკან მობრუნდება. მთელ აბებს გადაყლაპავს. ოთახის კართან მივა) იქნებ გაწვიმდეს და გულზე მომეშვას! გაწვიმდება!

თურქულიდან თარგმნა  
ნანა კაჭარავამ

## აბდულაშვილებიოლლუ (ჩელებაძე) (დაიბ. 1958 წ.)

აბდულაშვილებიოლლუ (ჩელებაძე) დაიბადა გირესუნის ვილაიეთის სოფელ ანბარალანში. მის წინაპრებს ქედის რაიონის სოფ. წონიარიდან მოუხდათ ოსმალეთში გადასახლება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს. პროფესიით ისტორიის მასწავლებელია. მისი ლექსები, წერილები თუ ინტერვიუები წლების მანძილზე იბეჭდებოდა სხვადასხვა გაზეთებსა და ჟურნალებში.

### შენ იცი, რაა მუჰაჯირობა?

შენ იცი, რაა მუჰაჯირობა?  
კლდის ჩამოშლაა,  
წყლის დენა ალმა,  
გაოგნებაა,  
დალონებაა,  
მიტოვებაა ყველაფრის,

მწუხარებაა, უსაზღვრო  
ნატვრა,  
ბებოს სითბოა, ძალა ბაბუის,  
დედაშვილობის გვერდის  
ვერავლა.

შენ იცი, რაა მუჰაჯირობა?  
გაციებული კერის ტირილი,  
უბედურების თავი და ბოლო,  
დაბნეულობა და სიმძიმილი,  
როცა არ იცი – სად მოხნა,  
თესო,  
როგორ მოთიბო, გალენო  
როგორ,  
წინაპრის წყაროს ვით  
დაეწაფო,  
ვით შეელიო მამულის  
მომგონს?!


შენ იცი, რაა მუჰაჯირობა?  
ტვირთია, ყველა საზიდზე  
მძიმე,  
ყინულზე ფორთხვის განცდაა,  
მწარედ  
რომ შემოგიტევს და  
შეგაციებს.

დაღონებაა, უმწეობაა, დაბრუნებაზე ნატვრაა,  
 როცა იცი, ეს მხოლოდ ნატვრადვე  
 რჩება,  
 როცა იმედებს არა აქვს  
 მოცლა.  
 როცა მარტო ხარ, ვით  
 შემოქმედი,  
 როცა მშობლიურს ნელ-ნელა  
 კარგავ,  
 ველარ იხსენებ ცეკვა-  
 სიმღერას  
 წინაპრის ენის ღვთაებრივ  
 ქარგას.

და რაც შორდები, მეტია შიში უსასოობის,  
 წარსულის  
 წაშლის,  
 ვერმიგნებაა მუჟავირობა  
 ოდესლაც შენში მცხოვრები  
 ბავშვის.  
 ეს იგივეა, გემს მინდობილი დაიხრჩო,  
 დარჩე მიწას  
 ჭრილობად,  
 ჩანაცრებაა, მინავლებაა,  
 არად ყოფნაა მუჟავირობა.

შენ იცი, რაა მუჟავირობა?  
 ეს ბათუმია, აჭარის მთები,  
 ჭირთათმენაა, სიძნელის  
 ძლევა,  
 ეცემი, მაგრამ კვლავ ფეხზე  
 დგები.  
 გრძნობ წინაპრების ხელების  
 სითბოს,  
 ბებიის, ბაბუს, დედის  
 ხატებას  
 ეთაყვანები, ვერ ეგუები მოდგმის და სისხლის გარდაცვალებას.  
 სული იქ გრჩება, სადაც  
 სხეული  
 კვლავ მიბრუნების დებდა  
 პირობას,  
 რარიგ ძნელია,  
 რარიგ მწველია,  
 ჰო, სიკვდილია მუჟავირობა!

თურქულიდან თარგმნეს  
 ნანა კაჭარავამ და ხათუნა როგავამ



სომხური ლიტერატურა

სომხური ხალხური ზღაპრები, გადამუშავებული ჰოვანეს თუმანიანის მიერ

## ჰოვანეს თუმანიანი (1869-1923)

ჰოვანეს თუმანიანი დაიბადა ლორეს მაზრის სოფელ დსეღში. სოფელში პირველ-დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ჯერ ჯალალოღლის ოთხელასიან სასწავლებელში სწავლობდა, შემდგომ კი – თბილისის ნერსესის სემინარიაში, რომელიც უსახსრობის გამო ვერ დაამთავრა.

თუმანიანი წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხოვებებს, ზღაპრებს, იგავებს, ბალადებს. ფართოდაა ცნობილი მის მიერ სომხური და აღმოსავლური ლეგენდების სიუჟეტებზე შექმნილი ბალადები და ზღაპარები. მან ქართველი და სომები ხალხების მეგობრობის თემას მრავალი ლექსი მიუძღვნა: „შერიგება“, „საქართველოს შესახებ“, „საქართველოს სული“, „საქართველოს პოეტებს“...

ჰოვანეს თუმანიანი გარდაიცვალა მოსკოვში.

## უზკურ კაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. რაც არ უნდა ემუშავა, რაც არ უნდა ეწვალა, მაინც ღარიბი იყო და ღარიბი.

იმედი რომ გადაეწურა, ერთ დღეს თქვა: „ღმერთი უნდა მოვძებნო, მივიდე და ვკითხო, როდის დავიხსნი თავს ამ გაჭირებიდან. რამე უნდა ვთხოვო“. გაუდგა გზას. შეხვდა მგელი.

– გამარჯობა, ძმაო, საით გაგინევია? – ჰკითხა მგელმა.

– ღმერთან, – უპასუხა ღარიბმა, – ჩემი დარდი უნდა გავუმხილო.

– ღმერთან რომ მიხვალ, ჰკითხე, ერთი მშერი მგელი ტყე-ღრეში დაეხეტება და საკბილო ვერ უშოვია. როდემდე უნდა იაროს ასე, თუკი გააჩინე, საჭმელს რატომ არ აშოვნინებ-თქო?

– კარგი, ვკითხავ, – დაპეირდა კაცი და გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გზაზე ერთი ღამაზი გოგონა შემოხვდა.

– სად მიდიხარ, ძმაო? – ჰკითხა გოგონამ.

– ღმერთან მივდივარ.

– როცა ღმერთს შეხვდები, უთხარი,

ერთი გოგოა, ახალგაზრდა, ჯანმრთელი და მდიდარი, მაგრამ მხიარული და ბედნიერი არ არის, რა საშველი აქვს-თქო? – შეეხვენა გოგონა.

ვეტყვიო, დაპეირდა კაცი და გზა განაგრძო. მალე ერთი ხე დაინახა, თუმცა წყლის პირას იდგა, ერთიანად გამხმარიყო.

– საით გაგინევია, მგზავრო? – ჰკითხა გამხმარმა ხემ.

ღმერთთან, მიუგო კაცმა.

– მაშ, მომისმინე, ორი სიტყვა მინდა, დაგაბარო, – სთხოვა ხემ, – ღმერთს უთხარი, რომ ანკარა წყლის პირას ვდგავარ, მაგრამ ზამთარ-ზაფხულ ხმელი ვარ. ჰკითხე, როდის მელირსება ამწვანება?

მოუსმინა კაცმა ხესაც და გზა განაგრძო. იარა, იარა და ღმერთს მიადგა. ერთი დიდი კლდის ძირას ჭალარა ადამიანივით იჯდა ღმერთი, კლდეს ზურგით მიყრდნობოდა.

– შუადღე მშვიდობისა, – მიესალმა ღარიბი და ღმერთს წინ დაუდგა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, რა გაგჭირვებიაო? – ჰკითხა ღმერთმა.

– მინდა გთხოვო, რომ ყველა ადამიანს ერთნაირად მოექცე. რატომ აძლევ ერთს

ყველაფერს და მეორეს – არაფერს? მე დღედაღამ ვმუშაობ და ვწვალობ, მაგრამ მუცელი ვერ გამომიძლია. სხვა კი არაფერს აკეთებს და ქონებაც აქვს და მშვიდი ცხოვ-რებაც.

– მაშ, ნადი, – უთხრა ღმერთმა, – ნურა-ფერზე იდარდებ, ბედ-ილბალი მოგეცი, ნა-დი და დატკბი.

– კიდევ მაქვს სათქმელი, – უთხრა ღა-რიბმა და მშიერი მგლის, ლამაზი გოგონასა და გამხმარი ხის დანაბარები გადასცა.

ღმერთი ყველაფერს დაპირდა. ღარიბ-მა მადლობა გადაუხადა და გაშორდა. უკა-ნა გზაზე გამხმარ ხეს შეხვდა. ხემ ჰკითხა:

– ღმერთმა ჩემთან რა დაგაბარა?

– დამაბარა, რომ შენს ძირში ოქროა ჩაფლული და, სანამ იმ ოქროს არ ამოთ-ხრიან, შენი ფესვები მიწას ვერ მიაღწევენ და ვერ ამწვანდები.

– მაშ, ამოთხარე ოქრო, შენც სარგე-ბელს ნახავ და მეც მეშველება. შენც გამ-დიდრდები და მეც ავმწვანდები.

– არა, არ მცალია, მეჩეარება, ღმერთმა ბედ-ილბალი მომცა, დროზე უნდა ვიპოვო და დავტკბე, – უთხრა კაცმა და გაეცალა ხეს.

მალე ლამაზმა გოგონამ გადაუჭრა გზა:

– აბა, რა ამბავი მომიტანე?

– ღმერთმა შემოგითვალა, რომ ცხოვ-რების ერთგული მეგობარი უნდა იპოვო, ალარ მოგწყინდება და მხიარულად და ბედ-ნიერად იცხოვრებო.

– თუ ეგრეა, შენ გახდი ჩემი ცხოვრების ერთგული მეგობარი, – შეეხვენა გოგონა.

– არა, სად მცალია შენთან სამეგობ-როდ, ღმერთმა ბედ-ილბალი მომცა, უნდა ვიპოვო და დავტკბე, – უთხრა ღარიბმა და გაშორდა.

გზად მშიერი მგელი ელოდა. როგორც კი შორიდან მოჰკრა მგზავრს თვალი, გამო-იქცა და გზა გადაუჭრა:

– აბა, რა თქვა ღმერთმა?

– ღმერთთან რომ მივდიოდი, შენ შემ-დეგ ერთი ლამაზი გოგო და ერთიც გამხმა-რი ხე შემხვდენენ. გოგოს უნდოდა გაეგო, რატომ არ არის ბედნიერი, ხეს კი – რატო-მაა ზამთარ-ზაფხულ ხმელი. ღმერთს გა-დავეცი ეს ყველაფერი. მითხრა, გოგომ ცხოვრების მეგობარი იპოვოს და გაბედნი-ერდება, ხემ კი, მის ძირას რომ ოქრო მარ-ხია, ის ამოათხრევინოს ვინმეს, მისი ფესვე-ბი მიწას მიაღწევენ და ხეც ამწვანდებაო. რომ მოვბრუნდი, ღმერთის დანაბარები გა-დავეცი ხეს. მითხრა, ამოთხარე ოქრო და შენი იყოსო. გოგომ მითხრა, შენ იყავი ჩემი ცხოვრების მეგობარიო. მე ვუთხარი, არ შემიძლია, მე ღმერთმა ჩემი ბედ-ილბალი მომცა, ის უნდა მოვძებნო და იმით დავ-ტკბე-მეთქი.

– ჩემთან კი რა დაგაბარა ღმერთმა? – ჰკითხა მგელმა.

– შენთან დამაბარა, ასე მშიერი ივლი, სანამ ერთ უჭკუო კაცს არ გადაეყრები და იმას არ შეჭამო.

– შენზე უჭკუო კაცს სადლა უნდა გადა-ვეყაროო, – უთხრა მგელმა და გადასანსლა უჭკუო ღარიბი.

## პარეკენდანი<sup>1</sup>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ერთმანე-თით უკამაყოფილო ცოლ-ქმარი. ქმარი ცოლს ეძახდა სულელს, ცოლი – ქმარს და ასე დაუსრულებლად ჩხუბობდნენ.

ერთ დღეს ქმარმა ერთი ფუთი ერბო და ბრინჯი იყიდა, მუშას ზურგზე აპკიდა და სახლში მოატანია.

ცოლი გაბრაზდა:

– ხომ გეუბნები, სულელი ხარ-მეთქი და არ გჯერა. ამდენი ერბო და ბრინჯი რომ

მოიტანე, მამის ქელეხი გაქვს თუ შვილის ქორწილი?

– რა ქელეხი, რის ქორწილი, ქალო, რას მიედ-მოედები. წაიღე და შეინახე, ბარეკენ-დანისთვისაა.

ცოლი დამშვიდდა და ყველაფერი შეი-ნახა.

გავიდა ხანი. ქალი ელოდება და ელო-დება, ბარეკენდანი კი არა და არ ჩანს. ერთ დღეს სახლის ნინ იჯდა. დაინახა, ვიღაც კა-

<sup>1</sup> ბარეკენდანი – რელიგიური დღესასწაული, რომელიც დიდმარხვის წინა კვირას აღინიშნება.

ცი აჩქარებით გადადის ქუჩაზე. შუბლი ხელით მოიჩრდილა და დაუძახა:

– ძმაო, ძმაო, ერთი წამით შეჩერდი.

კაცი შეჩერდა.

– ბარეკენდანი შენ ხომ არა ხარ?

კაცი მიხვდა, ქალი ცოტა ალაოდ არის.

თავისთვის თქვა, ერთი ვნახავ, რა უნდაო და უპასუხა:

– კი, დაიკო, ბარეკენდანი ვარ, რატომ მეკითხები?

– იმიტომ გეკითხები, რომ შენი მოსამსახურები ხომ არ გგონივართ, ბრინჯი და ერბო შეგინახოთ. გეყო, რაც გინახეთ. ალარ კმარა? არა გრცხვენია? რატომ ალარ მიგაქვს შენი საქონელი?

– რატომ ბრაზობ, დაიკო? მეც სწორედ მავისთვის ვარ მოსული. თქვენს სახლს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი.

– ჰოდა, მოდი, ხაიღე.

შევიდა კაცი, ამათი ერბო და ბრინჯი აიკიდა და თავისი სოფლისკენ ქნა პირი.

ქმარი რომ დაბრუნდა, ცოლმა უთხრა:

– ის ბარეკენდანი იყო მოსული. თავისი რაღაცები მივუყარე და წაიღო.

– რა ბარეკენდანი, რა რაღაცები?

– აი, ის ერბო და ბრინჯი. დავინახე, რომ ჩვენს სახლს ეძებდა. დავუძახე, ერთი კარგად შევარცხვინე, ზურგზე ავეკიდე და გავატანე.

– ვაი, შენ დაგექცეს სახლ-კარი, შე უტვინო! ხომ გეუბნები, სულელი ხარ-მეთქი. საით წავიდა?

– აი, იქით!

კაცი ცხენზე შეჯდა და ბარეკენდანს დაედევნა.

გზაში ბარეკენდანმა უკან მიიხედა. დაინახა, მისკენ მხედარი მოდის. მიხვდა, რომ იმ ქალის ქმარია.

მოვიდა და მიესალმა:

– მუადლე მშვიდობისა!

– გაგიმარჯოს.

– ამ გზაზე კაცს ხომ არ ჩაუვლია?

– ჩაიარა.

– ზურგზე რა ეკიდა?

– ერბო და ბრინჯი.

– ჰო, სწორედ მაგას ვეძებ. რამდენი ხანი იქნება?

– საკმაოდ დიდი ხანია.

– ცხენით რომ დავედევნო, დავეწევი?

– აბა, რას დაეწევი, შენ ცხენით ხარ, ის – ფეხით. სანამ შენი ცხენი ოთხ ფეხს გადადგამს – ერთი, ორი, სამი, ოთხი, ის ორი ფეხით – ერთი, ორი – ჩქარ-ჩქარა წავა და გაგასწრებს.

– მაშ, რა ვქნა?

– როგორ თუ რა ქნა? გინდა, ცხენი მე დამიტოვე, შენ კი მასავით ფეხით გაიქეცი, იქნებ დაეწიო.

– ჰო, მართალი ხარ.

ადგა კაცი, ცხენი დატოვა, თვითონ კი ფეხით დაადგა გზას. როგორც კი კაცი გაიგულა, ბარეკენდანმა ტვირთი ცხენს აპკიდა, გზიდან გადაუხვია და წავიდა.

იარა კაცმა ფეხით, იარა და ვერაფერს ეწია. დაბრუნდა უკან და ალარც ცხენი დახვდა. წავიდა შინ. ისევ ჩხუბი დაიწყეს. ქმარმა – ერბოსთვის და ბრინჯისთვის, ცოლმა – ცხენისთვის.

დღემდე ჩხუბობენ. ცოლი ქმარს ეძახის უტვინოს, ქმარი – ცოლს. ბარეკენდანი კი ისმენს და იცინის.

## მოლაპარაკე თევზი

### 1

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. წავიდა და ერთ მეთევზეს მტვირთავად დაუდგა. ყოველდღიურად რამდენიმე თევზს იღებდა საზღაურად, სახლში მოპქონდა და ცოლ-ქმარს ამით გაჰქონდა თავი.

ერთ დღეს მეთევზემ ღამაზი თევზი დაიჭირა, მტვირთავს მიაბარა და თვითონ ისევ წყალში შევიდა.

ზის მდინარის პირას მტვირთავი, უყუ-

რებს ღამაზ თევზს და ფიქრობს: „ღმერთო, ესეც ხომ ჩვენსავით სულლერია. ნეტა ჩვენსავით თუ ჰყავს მშობლები, მეგობრები? ამ სამყაროსი რამე თუ ესმის, ტკივილს და სიხარულს გრძნობს თუ არა?“

ამ დროს თევზი ალაპარაკდა:

– მისმინე, ძმაო, ადამიანო, მეგობრებთან ერთად მდინარის ტალღებში ვთამაშობდი. სიხარულმა დამათრო, ყურადღება მომიღუნდა და მეთევზის ბადეში ჩავვარ-

დი. ვინ იცის, ჩემი მშობლები ტირიან და მექებენ, მეგობრებმა კი მოიწყინეს უჩემოდ. მეც, ხედავ, როგორ ვიტანჯები? უნილოდ სუნთქვა მიჭირს. უკან დაბრუნება მინდა, მათთან ერთად ნავარდი იმ ცივ და ანვარა წყალში. ისე მინდა, ისე... მოდი, საწყალო კაცო, გამათავისუფლე. გამიშვი, ნავიდე, გამიშვი, — ამბობდა თევზი ჩუმად, ძალიან ჩუმად. ძლივს აღებდა გამშრალ პირს.

შეეცოდა მტვირთავს თევზი, ადგა და წყალში გაუშვა: „წადი, ლამაზო თევზო, ნუ იტირებენ შენი მშობლები, ნუ მოიწყენენ შენი მეგობრები. წადი, მათთან იცხოვრე და ითამაშე.“

მეთევზე სასტიკად გაბრაზდა:

— შე სულელო, წყალში ვდგავარ, ვსველდები, ვთევზაობ, შენ კი მთელ შრომას წყალში მიყრი? წადი, დამეკარგე, აღარ დამენახო, დღეიდან აღარ ხარ ჩემი მტვირთავი. წადი და შიმშილით მოკვდი.

ხელიდან ჩანთა გამოსტაცა და გააგდო მტვირთავი.

— ახლა სადღა წავიდე, რა გზას ვენიო, როგორ გავიტანო თავი, — სასონარკვეთილი ფიქრებით და ცარიელი ხელებით წავიდა შინ მტვირთავი.

## 2

სევდიან, მნარე ფიქრებში ჩაფლულს გზად ადამიანის მსგავსი ურჩხული შემოეყარა. წინ ლამაზი ძრობა მოუძღვდა.

— გამარჯობა, ძმაო, დაბნეული ჩანხარ, რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ურჩხულმა.

ლარიბმა უამბო, რაც თავს გადახდენოდა. თუ როგორ დარჩა უმუშევარი, უმწეო და არ იცოდა, რით ერჩინა ცოლი და საკუთარი თავი.

— მისმინე, მეგობარო, — უთხრა ურჩხულმა, — ამ მეწველ ძრობას დაგითმობ სამი წლის ვადით. ყოველდღე იმდენ რძეს მოგცემს, რომ შენ და შენს ცოლს კარგად გეყოფათ. სამი წლის თავზე მოვალ, შეკითხებს დაგისვამთ და, თუ მიპასუხებთ, ძრობა თქვენ დაგრჩებათ. თუ არადა, ორივენი ჩემი გახდებით, წაგიყვანთ და, რასაც მინდა, იმას გიზამთ. თანახმა ხარ? — ჰკითხა ურჩხულმა.

კაცმა იფიქრა, ისედაც შიმშილით უნდა მოვკვდე, წავიყვან ძრობას, სამი წელი ხომ

გვაცხოვრებს, სამი წლის მერე კი... ღმერთი მოწყალეა. რომელიმე კარი გაგვეღება. სულაც, ვინ იცის, კითხვებზე პასუხიც გავცეთო.

— თანახმა ვარ, — უთხრა, ძრობა წაიყვანა და შინ დაბრუნდა.

## 3

სამი წელი წველეს ძრობა, კარგად ჭამეს და კარგად იცხოვრეს. ვერც შეამჩნიეს, სამი წელი ისე გავიდა. და, აი, დათქმული დღეც დადგა — ლამით ურჩხული უნდა მოვიდეს.

მზის ჩასვლისას ცოლ-ქმარი კარის წინ ნალვლიანად ჩამოჯდა. ფიქრობენ, რა პასუხი გასცენ ურჩხულს. ვინ იცის, რას შეეკითხება, ვინ გაიგებს, ურჩხული რას ფიქრობს?

— აი, ასეა, როცა ადამიანი ურჩხულთან დაიჭერს საქმეს, მასთან ანგარიშები ექნება და მისგან დახმარებას მიიღებს, — ოხვრით ინანიებს ცოლ-ქმარი, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ვეღარაფერს შეცვლიან, საზარელი დღე უკვე დადგა.

მათ ერთი უცნობი, ლამაზი ჭაბუკი მიუახლოვდა:

— საღამო მშვიდობისა, მგზავრი ვარ, ძალიან დავიქანცე. ლამეს ვერ გამათევინებთ?

— რატომაც არა, სტუმარი ლვთისაა, მაგრამ ჩვენთან დარჩენა საშიშია. ჩვენ ურჩხულისგან სამი წლით ძრობა წამოვიყვანეთ. იმ პირობით, რომ ამ სამი წლის განმავლობაში მოვწველიდით და ასე ვიცხოვრებდით. სამი წლის მერე ურჩხული მოვიდოდა, შეკითხვებს დაგვისვამდა და, თუ ვუპასუხებდით, ძრობა ჩვენ დაგვრჩებოდა, თუ არა და, ჩვენც ურჩხულის მონებად ვიქცეოდით. ეს დრო გავიდა, ურჩხული ამაღამ მოვა. არ ვიცით, რა პასუხს გავცემთ. ჩვენ თუ ვიზარალებთ, ჩვენივე ბრალია, მაგრამ ვაითუ შენც ხიფათს გადაგყაროთ! — უთხრა ცოლ-ქმარმა.

— ეგ არაფერი, — თქვა სტუმარმა, — სადაც — თქვენ, იქაც — მეო.

სტუმარი მათთან დარჩა.

შუალამეზე კარზე ბრახუნი ატყდა.

— ვინ არის?

- ურჩხული. მოვედი, რომ თქვენი პასუხი მოვისმინო.
- რა პასუხი? – თავზარდაცემულ ცოლ-ქმარს ენა დაება, ადგილზე გაქვავდა.
- ნუ გეშინიათ, თქვენ მაგივრად მე გავცემ პასუხს, – უთხრა ჭაბუკმა და კართან მივიდა.
- მოვედი, – ყვირის ურჩხული.
- მეც მოვედი, – პასუხობს შიგნიდან სტუმარი.
- საიდან მოხვედი?
- ზღვის გაღმიდან.
- რით მოხვედი?
- კოჭლი კოლო შევკაზმე, შევაჯექი და მოვედი.
- მაში, ზღვა პატარა ყოფილა.
- რა პატარა, არწივი ვერ გადაიფრენს.
- მაში, არწივის მართვე ყოფილა.
- რა მართვე, მისი ფრთების ჩრდილი ქალაქს ერთიანად ფარავს.
- მაში, ქალაქი ძალიან პატარა ყოფილა.
- რა პატარა, კურდლელი ვერ შემოურბენს.
- მაში, კურდლელი ბაჭია ყოფილა.
- რა ბაჭია, მისი ტყავისგან კაცის ქურქიც გამოვა, ქუდიც და ქალამანიც, კიდევაც მორჩება.
- მაში, ეგ კაცი ჯუჯა იქნება.

– რა ჯუჯა, მამალმა მის მუხლზე რომ იყივლოს, ყურებამდე ხმა ვერ მიაღწევს.

– მაში, ყრუ ყოფილა.

– რა ყრუ, მთაში ირემმა ბალახი რომ მოძოვოს, იმას გაიგონებს.

ურჩხულს ენა დაება. დაიბნა. იგრძნო, რომ კარს შიგნით რაღაც გონივრული, მამაცი, უძლეველი ძალა იყო. ველარაფერი მოიფიქრა და ლამის სიბნელეში გაუჩინარდა.

ცოლ-ქმარი თითქოს გაცოცხლდა. თითქოს მთელი ქვეყნიერება მათ ეკუთვნიდათ. ამასობაში გათენდა კიდეც. ჭაბუკი წამოდგა, დაემშვიდობა და წასვლა დააპირა. ცოლ-ქმარი წინ გადაუდგა.

– ვერ გაგიშვებთ, – უთხრეს, – შენ ჩვენი მხსნელი ხარ, გვითხარი, სიკეთე რით გადაგიხადოთ?

– არ არის საჭირო, უნდა წავიდე.

– სახელი მაინც გვითხარი შენი, გვეცოდინება, ვინ დავლოცოთ, – უთხრა ცოლ-ქმარმა.

– „კარგი ქენი, ქვაზე დადე, გამოივლი, წინ დაგხვდებაო“. მე ის მოლაპარაკე თევზი ვარ, რომლის სიცოცხლეც შენ დაინდე, – უთხრა ჭაბუკმა გაოცებულ მასპინძლებს და გაშორდა მათ.

**სომხურიდან თარგმნა  
ვერონიკა სითარიანმა**



სპარსელი ლიტერატურა

## მოჰამად ებნ მაჰმუდ თუსი ჰამედანი (XII ს)

მოჰამად ებნ მაჰმუდ თუსი ჰამედანის თხზულება „საოცრებათა წიგნი“ დაწერილია დაახლოებით მეთორმეტე საუკუნის 50-60-იან წლებში. მისი სრული სახელწოდებაა „აჯაიებ ალ-მახლუფათ ვა ღარაიებ ალ-მოუჯუდათ“ („ქმნილებათა საოცრებანი და არსებათა იშვიათობანი“). თხზულება შეიცავს იმ დროისათვის არსებულ რელიგიურ, მისტიკურ, გეოგრაფიულ, ზოოლოგიურ, ბოტანიკურ... ცოდნასა და შეხედულებებს და, ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად, გაჯერებულია მრავალფეროვანი არაკებით. ქვემოთ მოყვანილი არაკები ამოკრებილია დევების თავისებურებებისადმი მიძღვნილი ქვეთავიდან, თუმცა არანაკლებ ეხება ქალების ზნეს.

### საოცრებათა წიგნი

#### არაპი პირველი

მაგალითად, ჰყვებიან, რომ ერთ კაცს კაპასი და უზნეო ცოლი ჰყავდა. ერთხელაც იგი უდაბნოში წაიყვანა, ჭაში ჩააგდო და ზედ ქვა დაადო. ორმოცი დღე რომ გავიდა, მიაკითხა, ნეტავ, როგორ არისო. ჭას თავი ახადა. იქიდან დევი ამოხტა. იმ ქალისაგან გამნარებული ყვიროდა და მოთქვამდა. ქმარს შესჩიოდა, მტარვალო, ასეთი ავი ვინ მომიგზავნე, განცხომა წამებით რომ შემიცვალაო.

ეს ამბავი იმას გვამცნობს, რომ ზოგჯერ ქალი შეიძლება დევზე უარესი იყოს.

#### არაპი მეორე

ჰყვებიან, რომ ერთი ფადიშაპი თავის ბალში სეირნობდა. დევი დაინახა, რომელიც დედალ ვირთან სცოდავდა. მეფემ დევი შეიპყრო. დევმა სთხოვა, გამიშვი და ისეთ რამეს გასწავლი, რომ ცხოველთა ენას გაიგებო. პირში რაღაც სითხე ჩააწვეთა და წასვლის წინ დაუბარა, არავის უთხრა, რაც გასწავლე და რაც ნახე, თორემ მოკვდებიო.

მეფე სასახლეში დაბრუნდა. გაახსენდა, დევი დედალ ვირთან რა დღეში იყო და სიცილი აუტყდა.

ცოლმა დააფიცა, მითხარი, რატომ იცინიო.

არაფერი უთხრა.

ცოლი მაინც არ ეშვებოდა.

ბოლოს უთხრა, კარგი, ხვალ გეტყვიო.

გარეთ გავიდა.

დაინახა, ბალში მისი ძროხა ბალახს

პირს არ აკარებდა.

მამალმა ძროხას ჰკითხა, რატომ არ ძოვო.

ძროხამ უპასუხა, რა მებალახება, ხვალ ჩემი პატრონი უნდა მოკვდესო.

მამალმა მიუგო, ბალახი ჭამე და ნუ იდარდებ, აგერ, ხომ ხედავ, მე მარცვალს გეახლებიო.

ძროხამ უთხრა:

- მამალო, მუდამ უტვინო იყავი. არ გადარდებს, რომ ხვალ ჩვენი პატრონი მოკვდება?

მამალმა უპასუხა:

- ასეთ სიცოცხლეს ისევ სიკვდილი ჯობს და აი, რატომ: მე ათი დედალი მყავს, ყველას ვუვლი და ყველა მემორჩილება. ჩვენს პატრონს კი იმის შენო არ გააჩინია,

რომ იმ ერთადერთი ცოლის ჭკუაზე არ იაროს. დაე, თქვას, რისი თქმაც არ შეიძლება, და მოკვდეს.

ძროხა ჩაეკითხა:

- აბა, არაფერი ეშველება?
- როგორ არა, სახრე აიღოს და ცოლს სცემოს. შეაგნებინოს, რომ ის ამბავი მას არ ეხება.

ქმარმა ეს რომ მოისმინა, შინ შევიდა და ცოლი იქამდე სცემა, სანამ ხმა არ ჩააწყვეტინა.

ამ ამბის არსი კი იმაშია, რომ დევებზე ბევრს ლაპარაკობენ, ზოგს – გადაკვრით, ზოგსაც – სიმართლეს. ზოგს – შეფარვით, ზოგს – შეუფარავად.

**სპარსულიდან თარგმნა  
ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა**

## საადი შირაზელი (XIII ს.)

საადი დაიბადა ფარსის პროვინციაში, ქალაქ შირაზში. ყრმობისას მომავალი პოეტი ბალდადში – იმდროინდელ უმაღლეს მუსლიმანურ სასწავლებელში – ნეზამიები გაუმნესებიათ სასწავლებლად. აქ მას ახალგაზრდული წლებიც გაუტარებია და არსებობს ისეთი ინფორმაციაც, რომ ბალდადიდან არაერთხელ უმოგზაურია ისლამის წმინდა ქალაქ მექაში.

1226 წელს საადის მშობლიურ ქალაქს, შირაზს, მონღოლები შეესივნენ და პოეტი იძულებული გახდა, გასცლოდა იქაურობას და ხანგრძლივი მოგზაურობა დაეწყო. ეს იძულებითი მოგზაურობა ოცდაათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და საადიმ თითქმის მთელი აღმოსავლეთი მოიარა, 1256 წელს დაბრუნდა შირაზში და შთაბეჭდილებები თავის ორ უმთავრეს ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახა: „ბუსთანში“ (ლექსად დაწერილ იგავების კრებულში) და „გოლესთანში“ (ლექსარევ პროზაში). მან დატოვა, აგრეთვე, ლირიკის მდიდარი მემკვიდრეობა ყაზალების, რობაიების თუ სხვა სალექსო ფორმით შექმნილი ნაწარმოებების სახით.

### პუსტანი

#### მეექვსე კარი

(გელით კმაყოფილებისათვის)

#### შესავალი

უფლის სახელის ხსენება კაცმა სულ ფუჭად ინება,  
მას ბედით კმაყოფილების თუ არ სურს ნარმოჩინება.

კმაყოფილებით იმატებს მოკვდავში შნო და უნარი,  
ისმინე, ხარბო, ეს სიტყვა, ზე რომ გაქვს დასაწუნარი.

ბედს ენდე, რასაც გიბოძებს; სიმშვიდით სძლიე სიხარბეს,  
თუ ბედი არ გაქვს, ნუ იბრძვი, ქვაზე ვარდი ვერ იხარებს.

სხეულზე ფიქრით თუ ცხოვრობ, თავში ჭკუა არ გქონია,  
სხეულზე ზრუნვა ჩაკვლა სულისა – გამიგონია.

ბრძენი იგია, საკუთარ თავში ნიჭი ვინც მონახა,  
თუ მოძიება ვერ შეძელ, მარტოდენ კუჭის მონა ხარ.

ადამიანურ ცხოვრებას იგი ვერ შეძლებს, ცხადია,  
ვის სულსაც სხეულსა შინა ძალლივით ყეფა სწადია.

მხოლოდ ძილზე და ჭამაზე ზრუნვა პირუტყვის წესია,  
თუ კაციც ამაზე ზრუნავს, პირუტყვზე უარესია.

ნეტარ არს, ვისაც სიკეთის შეცნობით სული შესძვრია  
და ცოდნა-განათლებაში სულის საკვები ეძია.

ვისთვისაც გზა ჭეშმარიტი ნათელია და აშკარა,  
განგებამ სულის სიმდაბლე მას არსად არ გააკარა.

ვინაც არ იცის, სინათლე რა არსის და რა ფერია,  
მისთვის ღამურა ის არის, რაც სამოთხისთვის – ფერია.

ასეც ხდება, რომ კაცმა გზას თუ გონივრულად არ სდია,  
თვისი ტყვეობის დილეგს რომ თვით მიადგება, ცხადია.

შევარდნის ზეცად აფრენას შენ ფუჭად დაელოდები,  
როცა ხედავ, რომ აბია ფეხზე სიხარბის ლოდები.

თუ წუთისოფლად ვერ დაძლევს ანგარებათა ტყვეობას,  
ვერც ცათა შინა შეიძლებს სული სიმშვიდით ზეობას.

ვინც იცის, ჟინის დაძლევა ამქვეყნად კარგი რად არი,  
სიცოცხლეშივე იქნება ის ანგელოზთა სადარი.

თუმც ჯერ ის იყავ, ადამის ძეს ქვეყნად რაც ავალია,  
ანგელოზობა იქ მოვა, სადაც ცის ასავალია.

ნადირს კი ხვედრი ის აქვს სულ, რაც განგებისგან ერგება,  
მინიერს ზეციერების სიკეთე არ გაეგება.

სიცოცხლე ბედაურსა ჰგავს... მას შენც აჭენებ ერთხანს როს,  
ფრთხილად იყავი! – უფსკრულში უცებ არ გადაექანოს.

მას თუ სადავე მიუშვი, ის, თავის ნებას ჩვეული,  
გაგექცევა და დარჩები კლდე-ღრეში სისხლდათხეული.

შენ, ადამიანს რომ ჰგავხარ გარეგნობით და არსებით,  
ჭამა-სმას თუ გადაჰყევი, ტიკჭორას დაემსგავსები.

სხეული ვერ იცოცხლებდა, სულის იქ ყოფნა რომ არა...  
ზოგს კი სხეული ჰგონია პურის შენახვის ტომარა.

გუდა თუ ჰქვია იმ კაცის არსა და სხეულს სახელად,  
ვისაც მარტოდენ ჭამისთვის სჩვევია თვალის ახელა.

მაძღარი ბრიყვის იერი სულ თან სდევს ისეთ არსებას,  
ვინც ცარიელი გონებით სულ ცდილობს კუჭის გავსებას.

თვალსა და მუცელს რაკიდა სულ უძღებობა აწვალებს, მაში, გონიერაზე იფიქრე!... საჭმლით ნუ ტენი ნაწლავებს.

თვით ჯოჯოხეთის ცეცხლიც ხომ, შეშა რაც უნდა აყარო, საწვავის მოლოდინიშია სულ, რომ გადაწვას სამყარო.

იესოს სრულყოფილებას მიბაძე სულით და ტანით. მის სახედარს კი ნუ ჰგავხარ ძლომის ვერგრძნობის ატანით.

შენც გეტყვი, ნადირ-ფრინველზე რაც გამახსენდა აი, მე: სიხარბე აბამს ხაფანგში მათაც, განა სხვა რაიმე.

ვეფხვიც კი, სხვებზე ამაყად თავი მაღლა რომ ასწია, ბევრჯერ გაბმულა ხაფანგში, როგორც თავუნა პანია.

კაცი, რომელიც სიხარბით თაგვივით ეძებს პურს და ყველს, უცებ ხაფანგში ვარდება და კარგავს ქვეყნად ყველაფერს.

## იგავი

ძვლის სავარცხელი მაჩუქა ჰაჯიმ<sup>1</sup>, ყოველდღე სახმარად (დე, ყველა ჰაჯი უფალმა ადლეგრძელა და ახარა).

ერთხელ მითხრეს, რომ იმ ჰაჯიმ თურმე მე ძალლი მიწოდა, არ ვიცი, გული იმისი ჩემ გამო რატომ იწვოდა?!

მიველ, მივუგდე ის ძვალი, ვეღარ დავმალე სიბრაზე, ვუთხარ: „ძალლი რომ მიწოდე, მიტომ გექცევი ჯინაზე.

მე თუ ძმარი მაქვს საჭმელად, არც ვცდილობ ამის მაღვასა, არც ვინმეს ვთხოვ და არც უფალს შევთხოვ თაფლსა და ჰალვასა“.

დაკმაყოფილდი მცირედით და ბედს მაღლობა უთხარი, ყველას თანაბრად მოეპყარ – დერვიშია თუ სულთანი.

ნუ ცდილობ, მეფეს ასმინო შენ მათხოვრული ფიქრები, სიხარბე განიშორე და მეფე თავად შენ იქნები.

თუ მხოლოდ მუცლის მონა ხარ, ვერაფერს შეგედავები, იჯექ თაგვივით სახლში და იქ გქონდეს სალოცავები.

<sup>1</sup> ჰაჯი – საპატიო წოდება, რომელიც ენიჭება მექაში ნამყოფ მუსლიმანს.

## იგავი

გამიგონია: ერთ დილას განვლო დარაჯთა მწკრივი და  
ხვარაზმის შაპთან სიხარბით აღსავსე კაცი მივიდა.

შესვლისთანავე დაეცა წელში ორკეცად მოხრილი  
და ვედრების ხმა მოისმა იმისგან ამოოხვრილი.

მას შვილიც ახლდა იქვე და მამას შესძახა: „რა ხდება?  
კითხვა გამიჩნდა და სადაც წავალ, მამავ, იქ დამხვდება.

შენ ხომ თქვი, მხოლოდ ყიბლისკენ<sup>1</sup> ლოცვისას რომ გვავალია  
ჩვენ წელში მოხრა... მაშ, რას იქმ?! – განა ეს სამართალია?!”

სიხარბეს ნუ ემონები, ვნებათა უინით პყრობილო  
და ანგარებით ყოველწუთს ყიბლას ნუ იცვლი, ძმობილო.

ბედით კმაყოფილს ამაყად ძალუძს აწიოს თავი და  
ხარბი კი თავაწეული ქალაქში ვერსად გავიდა.

გაუმაძლრისთვის სურვილთა საწყაული არ ივსება,  
ორი მარცვალი ხორბლისთვის კარგავენ ყველა ღირსებას.

შენ წყაროს წყალის ძებნისას სჯობს მოთმინებით იარო,  
ვიდრე ხარბს თოვლის ჭამაში მიბაძვით შეეზიარო.

მშვიდი ცხოვრება თუ გინდა, იკმარე, რაც გაბადია,  
სიხარბეს აყოლილები მუდამ კარდაკარ დადიან.

ხელმოკლე თუ ხარ, ღირსებით დაძლიე ყველა სიძნელე,  
რას ჰპოვებ ისეთს, სახელო ზედმეტად თუ დაიგრძელე?!

ვისაც თავისი ღირსებით ნამუსის ქუდი ახურავს,  
არსად ისურვებს, რომ ვინმე ჰყავდეს მონად და მსახურად.

სიხარბის გამო თავისგან, ვინ იცის, გდევნის რამდენი,  
ყველა ზურგს გაქცევს, სიხარბეს შენსას თვით თუ არ განდევნი.

---

<sup>1</sup> ყიბლა – მიმართულება წმინდა ქალაქ მექისაკენ, საითაც უნდა იყურებოდეს მუსლიმანი ლოცვისას.

## იგავი

მავანმა ერთ ბრძენს ურჩია (მას სჭირდა ციებ-ცხელება):  
„წადი, მეზობელს შაქარი სთხოვე და შენც გეშველება“.

ბრძენმა თქვა: „მიჯობს სიკვდილი უმნარეს ხილად ვიხილო,  
ვიდრე მეზობლის მუავე და უუმური სახე ვიხილო“.

ჭკვიანი მის წინ შაქრისთვის თავს არც დახრის და არც ხრიდა,  
ვინც სიამაყის ჩვენებით ძმარს არ იშორებს სახიდან.

ვნებას წუ ჰემონებ! – ეს იყო და კვლავაც არის სათქმელი –  
სხეულის განებივრებამ სულში ჩააქრო სანთელი.

ის ახირებულ სურვილებს არასდროს დაემონება,  
განგებისაგან ამქვეყნად ვინც ჰპოვა ჭკუა-გონება.

უინის დაცხრომას თუ ცდილობ, რაც გაქვს ძალა და უნარი,  
შენ ცხოვრების გზა გექნება ყველასგან დასაწუნარი.

მუცლის თონეში შენ პურის ჩაკვრას თუ სულ ხარ ჩვეული,  
ჩასაკრავს რომ ვეღარ ნახავ, გახდები ყველგან წყეული

და აღარავინ მიგიღებს ძალადაცლილს და ფერმიხდილს,  
რადგან ამქვეყნად რად ცოცხლობ, ვერ გაიგე და ვერ მიხვდი.

თუ კაცს ამქვეყნად წადილი ერთი აქვს – მუცლის ავსება,  
როცა ვერ ივსებს, წუზილით ივსება მისი არსება.

მუცლის მონამაც გაიგოს ეს აზრი ბრძენთა თქმულისა:  
სჯობს გქონდეს მუცლის ტკივილი, ვიდრე ტკივილი გულისა.

## იგავი

ბასრაში თავს რომ გადამხდა, იმ ამბავს გეტყვით საოცარს,  
ტკბილია მოსასმენად და გაუძლებს დროის გამოცდას.

დერვიშთა ჯგუფთან მგზავრობა მე ერთხელ გავიზიარე,  
ხურმის ხეების ბალებშიც სულ მათთან ერთად ვიარე.

შემოგვიერთდა იქ კაცი, იმ ბალებამდე მოგვყვა და  
ვამბობდით მასზე, რომ მუცლით ის საჭმლის საწყობს მოჰვავდა.

ის ხურმის ხეზე აცოცდა, სიხარბემ სძლია ძალიან,  
მოუტყვდა ტოტი და ისე დაეცა, სული დალია.

სოფლის თავკაცი დაგვადგა თავზე და გვკითხა: „ვინ მოკლა?“  
ვუთხარი: „იმან სიხარბით სიცოცხლე თვით დაიმოკლა.“

ხურმის მოწყვეტის სურვილმა ის ტოტებს შუა ატარა  
და მოკლა დიდმა მუცელმა იმისი გული პატარა.

ბევრს არ შეჭამდა აქ ხურმას, მისი სიხარბე რომ არა,  
მოკვდა და შერჩა მუცელი ისე, ვით სავსე ტომარა“.

მუცელი არის ფეხის და ხელისთვის მძიმე კირთები,  
სულის ტვირთს კარგავ, თუ კუჭის სიხარბით დაიტვირთები.

კალია მუცელს ივსებდა, არავინ იცის, რად და რით, –  
მოკვდა და ის ჭიანჭველამ შეჭამა მუცლით პატარით.

## იგავი

სუფიმ<sup>1</sup> ერთ ავხორცუობასა და ხარბად საჭმლის ჭამაში  
დრო ატარა და დახარჯა ორი დინარი ამაში.

ვიღაცამ ჰკითხა: „შენ რაში დახარჯე ორი დინარი“?  
უთხრა: „ჩემსავით ბრიყვი და სულელი არავინ არი;

ერთით სხეულმა ავხორცულ ვნებათა ცნობა ისწავლა,  
ხოლო მეორით მუცელმა ღორმუცელობით იწვალა.

ორივემ ცოდვით აღავსო მთელი ეს ჩემი არსება,  
ერთს გრძნობის დაცლა მოჰყვა და მეორეს – საჭმლით ავსება.

საჭმელი სიამეს გგვრის თუ გიჭერს უამურ მარწუხებს,  
ის მხოლოდ მაშინ შეჭამე, როცა შიმშილი გაწუხებს.

ბალიშზე თავის დადებას მაშინ სდევს სიამტკბილობა,  
როცა ძალიან დაგტანჯავს ან დაღლა, ან უძილობა.

შენ უადგილოდ თუ სიტყვას წარმოთქვამ, ძმაო, შეცდები,  
მოედანი თუ არსად ჩანს, ბურთის თამაშს ნუ ეცდები.

ქალთან სტუმრად თუ მიგიყვანს მხოლოდ ავხორცი ზრახვები,  
ან გელის გაღატაკება, ან ცოდვით დაილახვრები.

უგნურებამდე მიგიყვანს შენ ვნებიანი წადილი,  
ვნება თუ საზღვარს გადასცდა, სისხლისმსმელია ნამდვილი.

გიჯობს, სიწმინდის ძიებას შესწირო შენი არსება,  
მუცელს კი მიწა ჰქვია და მიწითვე ელის ავსება.

<sup>1</sup> სუფი – სუფიზმის მიმდევარი.

## იგავი

ხონჩით დაჰქონდა ქალაქში კაცს გასაყიდი შაქარი,  
მუშტრის ძებნაში ხან იქ და, იტყოდი, უკვე აქ არი?!

გზად ბრძენკაცს შეხვდა და ტკბილი ენით ევაჭრა იქამდე,  
უთხრა – „ნისიად წაიღე და მერე გადამიხადე“.

მაგრამ ჭკვიანმა მუშტარმა პასუხი გასცა ისეთი,  
რომ ვაჭარს არ დასჭირდება ამქვეყნად სიბრძნე მის მეტი:

„ვაჭრისთვის მძიმე მოლოდინს ნიშნავს, რაც არის ნისია  
და მეგობრობის კი არა, ეს მტრობის დასაწყისია“.

ალალ კაცს სიტკბოება და სიამე ძალისძალად აქვს  
და სიმწარედაც ექცევა ზოგჯერ, როცა რამ ვალად აქვს.

## იგავი

ხოთანის<sup>1</sup> ემირს ესტუმრა კაცი ბრძენი და მხცოვანი...  
ემირმა ბრძანა – უბოძეთ ხალათი ფერადოვანი.

ბრძენს სახე აუელვარდა, რანამს ბრძანება გაიცა,  
ემირს აკოცა ხელზე და ხალათი კი არ ჩაიცვა.

თქვა: „მახარებსო მოსმენა სიტყვის – ტკბილის და ამოსი,  
მაგრამ ჩემებრ კაცს, სჯობს, ეცვას თვისი ძველმანი სამოსი“.

მიწაზე მძინარს თუ ვინმემ ნოხი გაჩუქა შემთხვევით,  
ბორკილებს ჰპოვებ, მადლობის ნიშნად მიწას თუ ემთხვევი..

## იგავი

ერთ კაცს არარა გააჩნდა საკვებად, გარდა ხახვისა,  
არც თავი ჰქონდა, სხვებივით, სხვა საჭმლის გამონახვისა.

ვიღაცამ უთხრა: „შიმშილით რომ დაგკარგვია იერი,  
წადი და მდიდრებს მოჰპარე, ნუ იარები მშიერი.

ნურც შიშობ, ნურც ერიდები ვინმეს სთხოვო ან წაართვა,  
თუ გინდა, სიღუხჭირეში შენ შიმშილს თავი გაართვა“.

მანაც მოირგო მათხოვრის სამოსი – ძონძი და ძველი,  
მაგრამ ტანთ შემოახიეს, მოსტეხეს გაწვდილი ხელი.

---

<sup>1</sup> ხოთანი – უძველესი სახანო, რომელიც თანამედროვე ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა, ირანიდან ჩინეთისკენ მიმავალ აბრეშუმის გზაზე.

ჰოდა, ატირდა ის კაცი: „რად ვარ ასეთი შტერიო?!  
თურმე უტვინო ვყოფილვარ – ჩემივე თავის მტერიო.

ვიღაცის სიტყვის აყოლით თვით შევეყარე განსაცდელს...  
პურის და ხახვის შინ ჭამა მე ყველა ხიფათს ამაცდენს.

სჯობს, კუტი პური შემერგოს, ჩემი ნაშრომი, ტკბილიო,  
ვიდრე მდიდართა ნასუფრალს ვითხოვდე ხელგაწვდილიო“.

## იგავი

ერთ ლარიბ-ლატაკ დედაბერს ოჯახში კატა ჰყავდა და  
ორივეს მთელი ცხოვრება სულ შიმშილობით გაჰყავდა.

ერთხელ საჭმელად ფისო რომ მეფესთან სტუმრად წავიდა,  
მცველებმა სულ აწყევლინეს იმას ბედი და თავი და

ჯერ დაპერეს, მერე ისარიც ესროლეს... სისხლი ადინეს...  
ეს არ აკმარეს და კატის მოკვლაც კი მოიწადინეს.

თქვა კატამ: „დღეს თუ გადავრჩი, პატრონს არ მოვშორდებიო,  
სულ იმის თაგვებს დავიჭერ... ზოგჯერ ხომ მაინც ვძლებიო“.

თაფლისთვის თავს ნუ გაწირავ... იგავის სიბრძნე აქ არი,  
რომ თაფლს გერჩიოს სიმშვიდე და ერთი ციცქა შაქარი.

ღმერთმა რაც მოგცა, დასჯერდი, ნურას ჩივი და წუწუნებ,  
ნუ განარისხებ მით უფალს, ბოძებულ ბედს თუ უწუნებ.

## იგავი

ერთხელ მავან ჩვილს პირველი კბილი რომ ამოუვიდა,  
მამამისს მძიმე ფიქრები თავში მის გამო უვლიდა:

„რა ვქნა და რა ვაჭამოო? – ამ დარდის ანაბარა ვარ...  
ბავშვს მშიერს ხომ არ ვამყოფებ, არაკაცი ხომ არა ვარ?!“

ეს დარდი ცოლსაც გაანდო (მას ცოლი ჰყავდა ჭკვიანი)  
და ნახეთ, ქალმა რაგვარი უთხრა გამოთქმა ფრთიანი:

„დარდს იჩენ, ამით სცოდავ და წინ უსწრებ უფლის ზრახვასო –  
ვინც კბილს გიბოძებს, საკბილოს ის თავად მოგინახავსო.

დიდება უფალს! მან ისე შექმნა დრო დღის და ღამისა,  
საკვების შოვნაც რომ შევძლოთ... ნუ გაქვს წუხილი ამისა.

დედის საშოში როგორც კი ჩასახავს ღმერთი არსებას,  
მას შუბლზე აწერს, რა ბედი ებას მას და თვით რას ებას.

მონის კვებაც ხომ აქვთ ვალად მონების ბატონ-პატრონებს,  
მაში, ღმერთი თავის შექმნილ ხალხს პურის გარეშე დატოვებს?!

მონა მიტომაც ენდობა ბატონს და ეთაყვანება  
და შენ რომ უფალს არ ენდო, რა ჭკუა გაქვს და რა ნება?!“

ძველ წიგნში ერთხელ, კითხვისას, აი, ამბავი დამხვდა რა:  
თურმე ქვა წმინდანთა ხელში ოქრო-ვერცხლიც კი გამხდარა,

გჯეროდეს, რომ ეს ამბავი უბრალო ჭორი როდია,  
ვინც ბედის მადლიერია, მისთვის ქვაც ოქროს ზოდია.

ვით ჩვილში, მასშიც არ ბუდობს არც შური, არც ანგარება,  
ოქროს ძიებით სხვის კარზე მონურად არსად არ ება.

უძლები სულთნის ცხოვრება შენსას არა სჯობს, დერვიშო,  
მას ისე სტანჯავს სიხარბე, თვალზე ცრემლი ვერ შეიშრო.

ერთი დირჰემი თუ შვებას ჰეგვრის ღატაკებად შობილებს,  
ფერიდუნს<sup>1</sup> მთელი ირანის ფლობაც არ აკმაყოფილებს.

ლალი და თავისუფალი ჯერ მეფე არ შემხვედრია,  
თავისუფლების შეცნობა მხოლოდ გლახაკის ხვედრია.

გლახაკს თავისი ცხოვრება უფრო მეტ შვებას მიაგებს,  
ვიდრე შაჰს, ვისაც ქონების ძიება აფორიაქებს.

ქოხში ხომ სულ მშვიდად სძინავთ გლეხსა და თავის მეუღლეს.  
მეფეს კი მისი ფიქრები თვით ძილშიაც კი შეუღრენს.

გინდ იყოს ფადიშაპი და გინდ ძველმანების მკერავი,  
დღისა და ღამის მსვლელობას ვერ შეცვლის მათგან ვერავინ.

თუ უცებ დროის დინება, ვით ნიალვარი, მოვარდა,  
სულთნების შარაც მოსპო და წალეკა გზაც მათხოვართა.

იმ მდიდარს უთხარ, ამაყად რომ მბრძანებლობს და თარეშობს,  
უფალს შესწიროს მადლობა, – ქვეყნად ის მისგან არსებობს.

შენც დაიჯერე, რომ ღმერთმა თვით განაწესა ის ნება,  
კაცმა სხვა კაცი რომ ჩაგროს, კარგი არასდროს იქნება.

<sup>1</sup> ფერიდუნი – ირანის მითიური მეფე, რომელსაც მრავალი გმირობა მიეწერება.

## 0გავი

მსმენია, ერთმა ბრძენმა რომ – ისე იყო თუ რომ ასე –  
თავისთვის სახლი აიგო თვისი სიმაღლის ზომაზე.

მავანს კი უთქვამს: „ამ ბრძენმა ჭკუა ვერ მოიხმარაო,  
უფრო დიდი რომ აეგო?!” ბრძენმა თქვა: „ჩემთვის კმარაო“

და დააყოლა: „რად მინდა, ვეება სახლი ავაგო?!  
მალე მოვკვდები და ფუჭი მერომით თავი რად წავაგო?“

სახლს ვინც აშენებს იქ, სადაც ქროლა გრიგალებს სჩვევიათ,  
იმ სახლისაგან სულ მალე აგურიც არ შერჩენიათ.

ვინც შეძლო ამ წუთისოფლის არსის და აზრის გაგება,  
იცის, რომ არ ლირს ქარავნის გზაზე შენობის აგება.

## 0გავი

იყო სულთანი ძლიერი და როს წაერთვა მას შვება,  
მისმა მზემ საწუთროს მთების მიღმა დაიწყო ჩაშვება.

ჰოდა, ერთ შეიხს<sup>1</sup> გადასცა მან თვისი საბრძანებელი,  
რადგან არ ჰყავდა მას შვილი, მემკვიდრედ მასთან მხლებელი.

შეიხმა როცა შეიტყო დიდი სულთანის ბრძანება,  
ლოცვას და ლვთისმსახურებას უმალვე თავი ანება.

მარცხნივ თუ მარჯვნივ ჯარს კრებდა, ბრძოლისთვის იწყო მზადება,  
სხვათა დარბევით ისურვა მან თვისი გადიადება.

გადიდგულდა და იმის წინ ყველა კრთოდა და საპყრობდა,  
გარშემო ყოველი ქვეყნის მან განიზრახა დაპყრობა.

და შეკრბა იქ ჯამაათი სავაჭო და სარაინდო,  
მიუხტნენ ერთად... იმ სულთნის სატახტო არვინ დაინდო.

მტარვალის განადგურება მათ ალყით მოიწადინეს  
და ჩადენილი სიავე ცხვირიდან სულ ძმრად ადინეს.

გაჭირვებულმა სულთანმა ძველ ნაცნობ დერვიშს მიმართა:  
„დამეხმარეო, ცხოვრებამ ამჯერად არ გამიმართლა;

ილოცე ჩემთვის... საშველად ესლა მაქვს... მხსნელიც ის არის –  
არ უნდა გვქონდეს იმედი თურმე სულ ხმლის და ისარის“.

---

<sup>1</sup> შეიხი – ლვთისმსახურთა საპატიო წოდება ისლამში.

დერვიშმა ეს რომ გაიგო, თქვა: „ომმა მას რა შესძინა?  
ნახევარ პურს რად არ ჭამდა და მშვიდად რად არ ეძინა?“

თვით მრავლისმნახველ ყარუნსაც<sup>1</sup> სულ არ ესმოდა იქნებ ეს,  
რომ განძითა და ქონებით ვერასდროს ჰპოვებ სიკეთეს“.

\* \* \*

სრულყოფილება ყოველი ადამის ძისა ის არის  
თუ, დაგროვების კი არა, სურვილი გაცემის არის.

არ შეეცვლება გარეწარს საძრახი ზნე და გონება,  
ძუნნი ძუნნადვე დარჩება, თუნდ ჰქონდეს დიდი ქონება.

ალალი კაცი არვის ვნებს სინამდვილით თუ ოცნებით,  
თუნდ შიმშილობდეს, ცხოვრებას მაინც სდევს პატიოსნებით.

სიკეთის თესვა სჩვევიათ სულით უხვებს და ძლიერებს,  
გაცემა ნიშნავს ავსებას და არა – სიცარიელეს.

ადამიანის არსებას უფალი ქმნის და განკარგავს,  
ჭკვადმყოფი ადამიანურ სახეს არასდროს დაკარგავს.

სახელს ვერ გმატებს ქონების დაგროვება და შენახვა,  
მყრალ დამდგარ წყალს რომ იხილავ, იტყვი – ნეტავ არ მენახა.

წყალივით დენას თუ ცდილობ, ვით ეს განგებამ ინება,  
ღვთიური მადლით აგავსებს თავად ცხოვრების დინება.

ის, ვინც სიმდიდრეს აგროვებს დიდი დროით და დროებით,  
როცა მას კარგავს, კარგავენ თვით მას მლიქვნელთა ბრძოები.

თუ საკუთარ თავს შეჰმატე ზნეობის მარგალიტები,  
დარდს მადლად გიქცევს საწუთრო, სულში სიმწრით რომ იტევდი.

ვისაც ქვასავით სჩვევია უქმად და უშნოდ დაგდება,  
ის არც არავის ახსოვს და არც არვის გამოადგება.

მაგრამ თუ ოქროს ფასს იძენს შენი საქმე თუ ფიქრები,  
სულ სანთლით საძებარი და სათაყვანები იქნები.

კლდეების ნგრევა სჭირდება სარკისთვის მინის ძიებას,  
ჰოდა, იმ სარკის დაუანგვა არავის ეპატიება.

ქონებას ხანგრძლივ ვერვინ ფლობს, ის სადმე ერთხანს იდება,  
ცოდნას და განათლებას კი თან სდევს მარადის დიდება.

<sup>1</sup> ყარუნი – ლეგენდარული მდიდარი კაცი, იხსენიება ბიბლიასა და ყურანში; ენინაალმდეგებოდა მოსე წინასწარმეტყველს, რის გამოც იგი მთელი თავისი ქონებით მიწამ შთანთქა.

## 0გავი

მსმენია ხანდაზმულთაგან საამო ამბად თხრობილი,  
რომ ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა ერთი მოხუცი ცნობილი.

ბევრი ენახა დროება, შაპთა საქმეთა მხილება...  
დაჰგროვებოდა ჩვენს მოხუცს ცხოვრების გამოცდილება.

დე ჰყავდა უფლის წყალობად, – გულსავსე, ჭკუანათელი,  
არ ელეოდა ქვეყანას მის სიკეთეზე სათქმელი.

ვინც კი ნახავდა, ვერავინ გაექცეოდა მის იერს...  
ამგვარი სახე, ტუჩ-კბილი არავის ჰქონდა მიწიერს.

ჭორებსაც ყრიდნენ... ჭაბუკის მამა ბრაზით რომ აივსო,  
იფიქრა – „თმას გადავპარსავ – საშველი ესლა არისო!“

ჯერ მაკრატელმა ვაუის თმა რომ ჭრა და ძირში გაკვეთა,  
სამართებელმაც თავისი საქმე კარგად რომ აკეთა,

მთლად გადაპარსა ყმაწვილკაცს თავი იქ გულქვა დალაქმა...  
ახლად შეთხზული ჭორებიც კვლავ აიტაცა ქალაქმა.

სირცხვილითა და სიმწარით ყმაწვილმა თავი დახარა,  
თმები, გულდაგულ ნაპარსი, მიწად დაყრილი ნახა რა.

ერთ ქალს უყვარდა ქალაქში ძლიერ თურმე ის ყმაწვილი,  
გრძნობის სიმძაფრე მას თვისი თვალებით ჰქონდა განცდილი.

ქალს უთხრეს: „ბევრი გინახავს ტრფობის სევდა და დარდები,  
იქმარე და მთლად გრძნობათა ზღვაში ნუ გადავარდები.“

ზურგი აქციე სიყვარულს, ფარვანავ, ზრდილო აზიზად,  
მაკრატლით გაქრა დღეს კვალი იმ ვაუის სილამაზისა“.

კვნესა აღმოხდა საწყალ ქალს: „რას ერჩით ჩემს გულს უმზეოს?! –  
განდგომა სიყვარულისგან სჩვევია ავს და უზნეოს.

მე, გარეგნობით კი არა, მიყვარს ის მისი ბუნებით,  
მამამ თუნდ აჭრას მას თმები ბევრჯერ ეშმაკის ცდუნებით.

ჩემი სული და არსება სულ მის სიყვარულს ჰმონებდა...  
განა მის თმებზე ეკიდა ჩემი ჭკუა და გონება?!

ადამიანის სიკეთე განა თმაში თუ თმაზეა –  
უთმობა დროებითია, მუდმივი სილამაზეა!

ვაზიც შიშვლდება ხანდახან, უფოთლოდ განა ნაზია?!  
თუნდაც არ ესხას მტევნები, ვაზი ხომ მუდამ ვაზია!

\* \* \*

კარგ კაცს, როგორ მზეს ღრუბლები ფარავენ, ძვირფას თვალივით,  
ავის კაშკაშს კი წყლის დასხმით აქრობენ ნაკვერჩხალივით.

მზე ღრუბლებიდან გამოვა და ვნახავთ, ვინც და რაც არი,  
ნაკვერჩხლებისგან კი რჩება მხოლოდ მტვერი და ნაცარი.

სიბნელის ნუ გეშინია, – თითქოს წყაროა ვნებისა,  
ზოგჯერ წყვდიადში იმალვის თვით წყარო უკვდავებისა.

მიწისძვრას უძრაობა სდევს, მიწყივ ზანზარი კი არა,  
საა დი სიბრძნეს ეწია, ქვეყნად დიდხანს რომ იარა.

გულს უსაფუძვლო ეჭვებით არ მიაყენო ზიანი –  
ღამე ორსულად მიტომ არს, რომ შობოს დილა მზიანი.

სპარსულიდან თარგმნა  
ალექსანდრე ელერდაშვილმა

## ჰაფეზი (1325 – 1389/1390)

შამს ედ-დინ მოპამად ჰაფეზ შირაზელი კლასიკური ხანის სპარსული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. იგი ქალაქ შირაზში დაიბადა და იქვე გაატარა მთელი ცხოვრება. მას თანამედროვეებმა „ჰაფეზი“ შეარქვეს და ეს ნიშნავს ადამიანს, რომელიც მეხსიერებაში იცავს (ინახავს) ანუ ზეპირად იცის ესა თუ ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ამ შემთხვევაში კი მუსლიმანთა წმინდა წიგნი – ყურანი. ჰაფეზის დივანი დღეს ირანელთა უსაყვარლესი წიგნია, იმდენად სათაყვანო, რომ მას სამკითხაო-წინასწარმეტყველური დანიშნულებაც კი გააჩნია.

ჰაფეზის დივანის მოცემული ოცი საწყისი ყაზალიდან ექვსი (№3, №5, №8, №10, №13, №19) ქართველი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, დანარჩენი თოთხმეტი კი პირველად ითარგმნა.

### საცყისი ოცი ყაზალი დივანიდან

001

ლვინო დამისხი – მერიქიფევ! – სიცოცხლის შვება...  
ჩემს ლალ სიყვარულს დღეს მსახვრალი ეწვია ნება.

თუ ცისკრის ნიავს ჩემთან სატრფოს სურნელი მოაქვს,  
ალბათ, ეს არის გულში სისხლად მჩქეფარე ვნება.

სატრფოსთან ყოფნით ვეღარ ვხარობ... ზანზალაკების  
ულარუნი მამცნობს, განშორების უამი რომ დგება.

„ლოცვის ნოხს ლვინო აპკუროსო გზად მიმავალმა“ –  
ბრძანა მოძღვარმა, ვისი სიტყვაც სარწმუნო ხდება.

ბობოქარ ზღვაში ბნელმა ღამემ რაც ჩვენ დაგვმართა,  
ამას ნაპირზე მშვიდად მყოფი ვერასდროს ხვდება.

დიდთა პატივთა ძიებამ რომ სირცხვილს შემყარა,  
როგორ დავმალო?! ამას ყველა მეჭორე ყვება.

ჰაფეზი, სატრფოსთან ყოფნა თუ გსურს, ეახელ მას და  
გადაივიწყე წუთისოფლის დარდი და სნება.

002

ჩემი საშველი საით დარჩა და  
 მე უსაშველოდ სადა ვარ ნეტავ?!  
 რომელი გზიდან საით მოველ და  
 მავალი რომელ გზადა ვარ ნეტავ?!  
 დავთმე დერვიშის ძონის სამოსი  
 და ლოცვა დღისა და საღამოსი,  
 მაგრამ ვერც სარდაფს, ვერ ღვინოს ვხედავ...  
 თავად მეც ალარსადა ვარ ნეტავ?!  
 განა მოკვდავი მისთვის იშობა,  
 სასჯელად ექცეს ღვთისმოშიშობა?!  
 ქადაგს ვუსმინო თუ რუბაბის<sup>1</sup> ხმას?!  
 სიტყვად შემქმნეს თუ ხმადა ვარ ნეტავ?!  
 ის, რაც ანათებს მეგობრის სახეს,  
 მტრებმა ვერსად და ვერასდროს ნახეს...  
 ვით ჩამქრალ სანთელს, სიბნელე მელის,  
 თუ მზის ძიებით ცად ავალ ნეტავ?!  
 ჩემი ყოველი ზნე და იერი  
 შენ დაიმონე, ვით მიწიერი...  
 საით წავიდე?! – ის მაინც ბრძანე,  
 აქ თავად ვარ თუ სხვადა ვარ ნეტავ?!  
 ლაწვთა ტრფობაში გადაკარგულო,  
 ფრთხილად! – შენს გზა-კვალს არ უერთგულო...  
 საით მიდიხარ?! სად ჩქარობ, გულო?!  
 ალსასრულისთვის მზადა ვარ ნეტავ?!  
 წავიდა სატრფო და იქცა ხსოვნად,  
 ამ წუთისოფლის ლამაზ სახსოვრად,  
 რომელ ზღვარს გასცდა ის ლამაზმანი?!  
 მე იმ ზღვარს სადმე გადავალ ნეტავ?!  
 ძილს და სიმშვიდეს მიიჩნევს არად,  
 ვინც ქვეყნად ცხოვრობს ჴ ა ფ ე ზ ი ს დარად....  
 სად არის ძილი და სად – სიმშვიდე?! –  
 ცოცხალი რომ ვარ, რადა ვარ ნეტავ?!

003

ჩემს გულს ტრფობა თუ ეწვია შირაზელი თურქი ქალის,  
 ბუხარა და სამარყანდი იყოს ძლვენი მისი ხალის.

მასვით ღვინო, აქ ვილხინო... სამოთხეში ვერ ვიხილო  
 მე მუსალის<sup>2</sup> ბალნარი და რუქნაბადთან<sup>3</sup> ჩქეფა წყალის.

<sup>1</sup> რუბაბი – ალმოსავლური სიმებიანი საკრავი.

<sup>2</sup> მუსალა – სიტყვასიტყვით ეს არის „საყოველთაო ლოცვის ალსავლენი ადგილი“ (ბალები), რომელიც მდებარეობდა ქალაქების და ასეთი ადგილები იყო ბალდადმიც და შირაზშიც.

<sup>3</sup> რუქნაბადი – სახელი მდინარისა, რომელიც შუაზე კვეთს „მოსალის ბალებს“.

ლამაზმანთა სიკეკლუცემ გულს წარსტაცა თმენა უცებ,  
და ვარ მსგავსი ამ ქალაქის, ნაძარცვის და ნათურქალის.

ჩემი ტრფობის სივაგლახემ რით შეამკოს სატრფოს სახე?!

რა ფერი და რა ხაზია ღირსი მისი წამნამ-თვალის?!

იოსების<sup>1</sup> ეშნის გარდა, ვერ ჩამოხსნას ვერვინ ფარდა  
ზოლეიხას<sup>2</sup> ვნებისა და უბინობის ცოდვა-ბრალის.

რაგინდ რისხვით გამაოცო, მინდა, რომ ეს რისხვაც ვლოცო...  
მწარე სიტყვაც ტკბილად მესმის, თუ მას ამბობს ბაგე ლალის.

სათქმელს გეტყვი, სულო ჩემო! – შენც გაუგე რჩევას გემო:  
ის ყრმა ხარობს, ვისაც სჯერა მოხუცების სიბრძნის ძალის.

ღვინის ბანგით, ჩანგის პანგით ფლანგე ეს დრო გასაფლანგი,  
ჭკუით ვერვინ პპოვოს აზრი ამ ცხოვრების გზის და კვალის.

ყაზალს ამბობ ტკბილი ენით... ზეცა გამკობს ვარსკვლავთცენით...  
ჰა ფ ე ზ, კვლავაც თქვი ამბავი წუთისოფლის სამართალის.

## 004

დილის ნიავო, გთხოვ – შენ უამბო  
მას, უტურფესი რომ აქვს იერი,  
რომ მოვიარე უდაბნოს გზათა  
დასაბამი და დასალიერი,  
რომ ვერსად ვპოვე... რომ ბაგე ტკბილი,  
უკვდავებისთვის რომ არის ქმნილი,  
აღარ მიხმობს და არ ვახსენდები –  
ვინ ვარ, ვისი ვარ და ვისმიერი.  
ვარდო, სიტურფით ამაყობ, მგონი,  
იქნებ წაგერთვა შენ მისგან გონი,  
რომ არ იკითხავ ბულბულის ამბავს –  
ის ბედკრულია თუ ბედნიერი?  
უგონოდ მზირალს ისე, ვით მახე,  
ატყვევებს, თუა ლამაზი სახე,  
მაგრამ ეს მახე ვერაფერს ავნებს,  
ვინც ჭკვიანია და გონიერი.  
ასე ტანადი, ასე თვალადი,  
მე ვის ტრფობასაც გულში ვმალავდი,  
რად არის ასე უკარება და  
ხან ციერი და ხან მიწიერი?!

როს გულისსწორთან ღვინოს სვამ ლხენით,  
მეც გამიხსენე, რომ ვცოცხლობ შენით,

<sup>1</sup> იოსები – ბიბლიური იაკობის ვაჟი, რომელიც ძმებმა განირეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს.

<sup>2</sup> ზოლეიხა (ზილიხა, ზელიხა) – ირანული რომანტიკული ეპოსის გმირი; ის იოსებზე იყო უიმედოდ გამიჯნურებული.

რომ ქარებს შევთხოვ – კვალდაკვალ მდიონ  
და გამინელონ გრძნობა ძლიერი.  
ჩემი ერთგული, ვიცი, არ ხარ და  
სხვა ნაკლს ვერ ვხედავ მე, ამის გარდა,  
რომ ერთგულება არა სჩვევია  
მას, ვინც ტურფაა და მშვენიერი.  
ჰა ფ ე ზ ს რაც ლექსად დაუკვნესია,  
ზუპრას<sup>1</sup> ამღერებს, ხოლო მესია<sup>2</sup>  
როკავს ცაში და ამ წუთისოფელს  
ეფრქვევა მადლი უფლისმიერი.

## 005

კეთილო ხალხო, ღმერთია მოწმე,  
გული ხელიდან მეცლება ლამის,  
ჩემს გულისტკივილს დიდხანს ვმალავდი,  
ახლა აშკარად მომინდა თქმა მის.  
ჩვენს გემს ჩაძირვას უქადის ყველა,  
თუმცა ზურგის ქარს შევთხოვეთ შველა,  
რომ გაგვაქანოს, სადაც კვლავ მოჩანს  
ოცნება ჩვენი დღისა და ლამის.  
ეს ათი დღეა<sup>3</sup>, გაგვეხსნა ბედი,  
მოწყალედ გვიმზერს ჩვენ შემოქმედი,  
მაშ, მოვიძიოთ, ჩვენც გზა და კვალი  
სიკეთის აზრის და დასაბამის.  
გუშინ რომ ვპოვეთ ღვინო და ბანგი,  
იქვე გაისმა ბულბულის ჰანგი:  
„მწდეო, სიცოცხლე გვაგრძნობინეო, –  
გვალირსე ღვინით ავსება ჯამის“.  
მოწყალების და მადლის მეუფევ,  
ჩემს ფიქრს და ხსოვნას რომ დაეუფლე,  
შენს ერთგულ დერვიშს რად არ იკითხავ?!  
არ გესმის სევდა მისი ნათქვამის?!  
მას, რაც ორივე ქვეყნის წესია,  
შენც რომ მისდიო, უკეთესია:  
მოყვასს სიკეთით და მტერს პატივით  
დახვდი... ზნე გქონდეს ამ ორი რამის.  
ვისაც სახელი აქვს კარგი კაცის,  
ჩვენ მათთან მისვლას არავინ გვაცლის,  
მაშ, ბედისწერას, თუ გსურს, გაექცე,  
იგრძენ დადგომა გაქცევის წამის.  
„მწარე ღვინოო – ამბობს მავანი –

<sup>1</sup> ზუპრა – პლანეტა ვენერა (მისი სამყოფელი მესამე ცაა); მუსლიმანური სამყაროს ტრადიციით, „ციურ მუსიკოსად“ არის მიჩნეული.

<sup>2</sup> მესია (მასიპა) – ძვ.ებრაული „მაშიაპ“ (მხსნელი, გადამრჩენი), იესოს მოსახსენიებელი მეტაფორა მუსლიმანურ სამყაროში.

<sup>3</sup> ათი დღე – მთვარის მუსლიმანური კალენდრის მე-12 თვის „ზიპაჯეს/ზელპაჯეს“ პირველი ათი დღე, როცა მუსლიმანთა ღვთისმსახურება მეტი მადლითაა მოსილი და ალაპისგანაც მეტ წყალობას იმსახურებენ.

არის სიავის ავან-ჩავანი...“  
 ჩვენ კი კოცნაზე ტკბილად ვიგრძენით  
 ხმა მისი ჯამში ჩქეფის და ჩქამის.  
 უნუგეშოდ და უსასოდ წანწალს  
 ვივიწყებთ, ღვინით დავთვრებით რაწამს,  
 გლახაკს ყარუნი<sup>1</sup> ჰგონია თავი,  
 თუ იხმო ღვინის ჩამოსხმის ხმამ ის.  
 შენ რომ ამაყობ შენი ღირსებით,  
 შენს მიჯნურს ტანჯავ გასაძლისებით,  
 ქვას სანთელივით გრეხს იგი, მაგრამ  
 სანთელს ამსგავსა ტრფიალით წვამ ის.  
 ისკანდერს სარკე<sup>2</sup> რომ ჰქონდა, მისი  
 მსგავსია ჩვენი ღვინის სასმისი,  
 მის ფსკერზე მეფე დარიოსს<sup>3</sup> ვხედავთ,  
 როს გვაქვს სილალე სიბრუვის უამის.  
 ტკბილი სპარსულით თავს მისცეს წება  
 ენის ამოდგმის ლამაზმანებმა,  
 მწდეო, უთხარი რინდებს<sup>4</sup> ეს კარგი  
 ამბავი.... იყავ მთხრობელი ამის.  
 ჰ ა ფ ე ზ ი ცოდვას თავად არ შეიქმს,  
 ეს ჩვენს ღირსეულს აცნობეთ შეიხს,  
 ღვინით გაჟღენთილ ძონძების სურნელს  
 სდია და ცოდვას მიჰვარა გზამ ის.

## 006

ჩემმა ვედრებამ სულთნისკენ თუ ჰპოვა გზა-კვალი,  
 შევთხოვ, გლახაკებს მოწყალედ რომ შეავლოს თვალი.  
 ავსულ რაყიფებს განვშორდი, რომ საშველის ძებნით  
 უფლის სინათლემ გააპრწყინოს ჩემი სავალი.  
 შენ, ლამაზმანო, თუ გსურს ჩემი სისხლის ცრემლები,  
 წარბთა ქამანდით მე ცდუნება მტყყორცნე მრავალი.  
 ყველას რომ გულზე ცეცხლს უკიდებ, რას გარგებს შენ ეს?!  
 ან ის განაღვლებს, მე აღმიგზნო გულში რამ ალი?!  
 განთიადამდე იმ იმედით ვფხიზლობ, რომ იქნებ  
 სატრფოს სურნელით მომეფეროს სიო ფრთამალი.  
 ჩემს სულს და სხეულს გწირავ, სატრფოვ, რომ ერთხელ ვნახო  
 ეგ სახე, ჩვენთვის საუკუნოდ გადასამალი.  
 ჰ ა ფ ე ზ, განთიადს სევდიანი რომ ელი მუდამ,  
 ილოცე... იქნებ ლოცვა არის სევდის წამალი!

<sup>1</sup> ყარუნი – ლეგენდარული მდიდარი კაცი, იხსენიება ბიბლიასა და ყურანში; ეწინააღმდეგებოდა მოსე წინასწარმეტყველს, რის გამოც იგი მთელი თავისი ქონებით მიწამ შთანთქა.

<sup>2</sup> ისკანდერის სარკე – ზღაპრული სარკე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს ჩინეთში ლაშქრობისას მიართვეს.

<sup>3</sup> დარიოსი – აქემენიდთა დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მეფე.

<sup>4</sup> რინდი – უდარდელი, მოქეიფე ადამიანი, როგორც წესი, სუფიების ორდენის წევრი.

007

სუფი! ჯამი მომაწოდე,  
 ლაპლაპით რომ მოჰვავს სარკეს  
 და შიგ ღვინო ასხია თუ  
 ლალი, ამას ვერვინ არკვევს.  
 იდუმალს რას ფარავს ფარდა,  
 ამას, მთვრალი რინდის გარდა,  
 ვერვინ გეტყვის... ვინმე ბერი  
 იდუმალზე ფიქრობს ნაკლებს.  
 ფასკუნჯს მახე ვინც დაუგო,  
 მან საქმე ქმნა სააუგო,  
 იმ მახეში მხოლოდ ქარი  
 გაივლის და გაივაკებს.  
 ლხენა ერთი-ორი ჯამით  
 იკმარე და მორჩი ამით...  
 არ ემსგავსო სიხარბით და  
 ხანგრძლივ ყოფნით სოფლის ამკლებს.  
 გულო, დაგრჩა ერთი დარდი,  
 ვერ მოწყვიტე ჯერ ის ვარდი,  
 რასაც შენი ლირსება და  
 საგანძურო გუნდრუკს აკმევს.  
 იქ იყავ და იქ გალალდი,  
 თუა სადმე ლხინი ნალდი,  
 სადაც წყალიც ნისიაა,  
 იქ სამოთხე სულშიც ჩაკლეს.  
 ო, ბატონო, ჩვენ შენს კართან  
 ვდგავართ, ვით თავშესაფართან,  
 სიბრალულით გადმოგვხედე!...  
 ვუმზერთ ჩვენ შენს კარს და სარკმელს.  
 ჰა ფ ე ზ, შენს თავს ღვინის მონად  
 რომ თვლი, ყველას გასაგონად  
 უთხრას სიომ ჩვენს მეუფეს  
 და სიმთვრალის გზათა გამკვლევს.

008

მერიქიფევ! მომაწოდე ღვინო – სავსე ჯამით,  
 მიწამც ქმნილა ეს ცხოვრება თავის დრო-და-უამით.

ხელში სასმისს დავიჭერ და ლურჯ სამოსელს ტანზე  
 შემოვიხევ, რომ არ ვგავდე მე განდეგილს რამით.

რადგან ბრძენს და ჭკვიანს ყველა იხსენიებს ავად,  
 სახელსა და განდიდებას ჩვენც არ ვნატრობთ წამით.

ღვინო გვასვით, სიამაყე გავატანოთ ქარებს,  
 მიწამც ქმნილა ყველა დარდი სიმწრითა და შხამით.

ჩემს მკვნესარე მკერდს კვამლი სდის და ეხვევა ყველა  
მასში გრძნობით ჩვეულით ან უჩვევით და ხამით.

ჩემი გულის ფარულ სევდას ვერ გავანდობ ვერვის....  
ვერც მდაბიოს და ვერც რჩეულს ვერ ვენდობი ამით.

სიმშვიდეში მოვიძიე შთაგონება ჩემი  
და სიმშვიდე ვინც წარმტაცა, შეიძინა რა მით?!

ვეღარც საროს ვხედავთ სადმე... მონარნარე სხეულს  
არსად აჩენს მოკრძალებით და არც სითამამით...

ჰა ფ ე ზ! გწამდეს, აგიხდება ბოლოს ყველა ნატვრა,  
დღეს კი თმენა გმართებს დარდის... დღისითა და ღამით.

009

სიჭაბუკის ხანა კვლავაც  
ბალნარებში დანავარდობს...  
კვლავ უგალობს ვარდს ბულბული –  
განა ვარდი აღარ ვარდობს?!  
ჰე, ნიავო, ვხარობთ ერთხანს,  
ვუძღვნით სალამს ვარდს თუ რეპანს,  
ყრმა თუ ბერი ამ წალკოტში  
საწუთროზე აღარ დარდობს.  
ჩემთა თვალთა წამჩამები,  
უძილობით წანამები,  
ცოცხად ექცეს ღვინის სარდაფს,  
იქ ფიალას მწდე თუ მანდობს.  
ამბრის წარბთა ჩოგნით მთვარეს  
მზერას სტყორცნი უნარნარესს,  
ჩემი შმაგი ცხოვრება კი  
კვლავ უშენოდ ლანდად ლანდობს.  
გრძნობით სნეულს ხალხი ბრიყვი  
თუ დასცინებს, ასე ვიტყვი:  
უგრძნობ ხალხს ხომ რწმენაც არ აქვს,  
ვერვის წახავ მათში სანდოს.  
ნოეს მსგავს კაცს ვენდოთ უნდა, –  
კიდობანში მცირე თუნდა  
თუა მინა, ვით იმედი,  
მაშინ წარლვნაც წვეთად ფასობს.  
გასცდი ამ ხარბ წუთისოფელს,  
შავ-ტატნობ-ქვეშ სტუმართ მპყრობელს...  
პურსაც წუ სთხოვ მას, ვინც ბოლოს  
სიკვდილის კლანჭს გულზე გვასობს.  
საძინებლად მუჭა მინის,  
ვისაც ელის, რად არ იცის,

რომ მის ცამდე აწვდილ კოშკებს  
წარმავლობა არსად არ სცნობს?!  
ქანაანის<sup>1</sup> მთვარე რომ ხარ,  
მისრეთს ტახტის მფლობლად მოხვალ...  
გასცდი დილეგს და იქ იყავ,  
სადაც ლალთა დასი დასობს.  
ასეთი აქვს ზოგს ბუნება –  
ვითომ რწმენით სხვის ცდუნება...  
შენ კი, ჰა ფ ე ზ, ღვინო სვი და  
ის არსი სცან, რაც სულ არსობს.

## 010

მეჩეთიდან რომ მეიხანისკენ<sup>2</sup>  
წავიდა გუშინ მოძღვარი ჩვენი,  
ჩვენ აწ სრულყოფის რა გზას დავადგეთ,  
სად არის სივრცე და ზღვარი ჩვენი?!  
ჩვენ, მურიდები<sup>3</sup>, ყიბლას ვეძებთ და  
ნეტავ მის პოვნას ვინ სად შევძლებთ და  
თრობის სახლისკენ მიდის და მივდევთ,  
სადაც წაგვიყვანს მოძღვარი ჩვენი.  
იქნებ გზა მისთვის ჩანს და ახლდება,  
მოგვთა მახლობლად ვინც დასახლდება....  
იქნებ ეს არის ბედისწერისგან  
განჩინებული სახლ-კარი ჩვენი?  
გულის სიამეს რომ სცნობდეს გონი,  
ზილფთა ტყვეობას ისურვებს, მგონი,  
ჩვენსავით ბორკილს დაიდებს ბრძენიც,  
უგნურად ლამის მთევარი ჩვენი.  
თუ რამ სიკეთე და მადლი ვნახეთ,  
შენს მშვენებაში ვისახეთ სახედ,  
მას შემდეგ გვავსებს ყველა დღე მადლით,  
ყველა ლამაზი დღე არის ჩვენი.  
შენს უკარება გულს და გონებას  
ნუთუ არსაით გაეგონება  
ჩვენი კვნესა და განთიადამდე  
გულისთქმა დაუდეგარი ჩვენი?!  
ზეცის შეუცნობ ბრუნვას რომ ისარს  
ვტყორცნით ჩვენ ოხვრით, მით ვხვდებით სისხამს,  
ჰა ფ ე ზ, დადუმდი, რომ შენც არ მოგწვდეს  
ისარი, ბედის მდევარი ჩვენი.

<sup>1</sup> ქანაანი – ბიბლიური მხარე, ძველი პალესტინის, სირიისა და ფინიკიის აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება.

<sup>2</sup> მეიხანა – მეი (ღვინო) + ხანა (სახლი).

<sup>3</sup> მურიდი (მიურიდი) – მოწაფე, სასულიერო ხელმძღვანელის (მურშიდის) მიმდევარი.

011

მწდეო, ღვინის ელვარებით გააბრნებინე ჯამი ჩვენთვის  
 და მუტრიბმაც თქვას, რომ დადგა ნეტარების უამი ჩვენთვის.  
 ვერ გაიგებ, სატრფოს სახე ფიალაში თუ არ ნახე,  
 რომელ მარადისობას ჰგავს ღვინის დასხმის ჩქამი ჩვენთვის.  
 „არ მოკვდება გული მაინც, სიყვარულით ცოცხლობს რაიც“ –  
 ამ სიტყვებით დაიწერა ქვეყნის დასაბამი ჩვენთვის.  
 ბევრს იხილავთ კენარს ტანით, მაგრამ მაინც სინარნარით  
 არვინ არის სატრფოს მსგავსი, სარო და ლერწამი ჩვენთვის.  
 შენ მოყვასი, სიოვ, თუ ხარ, ბალნარებში სატრფოს უთხარ,  
 რომ უმისოდ არ დაძრულა სიტყვა და სალამი ჩვენთვის.  
 დავიწყების ქსელს რომ თავად აბამ ჩვენთვის, მას იქმ ავად?!  
 გნამდეს, მოვა შენთან სხვა დროც, ხსოვნით გასაბამი ჩვენთვის.  
 სიმთვრალით და მიწყივ თრობით, იქნებ სატრფოს არ ვეთმობით  
 და მიტომაც მოიმარჯვა თრობა, ვით ლაგამი, ჩვენთვის.  
 განკითხვის დღეს თვისი არსით ყველა ფასობს ერთი ფასით,  
 იქ ალალი პურია თუ წყალი რამ არამი ჩვენთვის.  
 ჰა ფ ე ზ, ცრემლთა ბადეს ეგებ ხაფანგივით შეაგებებ  
 ფრინველს, რომლის მოლოდინმა წლად აქცია წამი ჩვენთვის.

012

მთვარე სინათლით ივსება მაშინ,  
 როცა ანათებს შენი მშვენება....  
 ყველა ლამაზმანს სახის მობანა  
 შენი ნიკაპის ჭიდან ენება.  
 შენს სანახავად სული ჩემს ბაგეს  
 მოადგა, მაგრამ გზას ველარ აგნებს...  
 ბრძანე – დარჩეს აქ თუ უწერია  
 გადაკარგვა და გადაშენება?!  
 მას, ვინც არ ეტრფის თვალთა ნარგიზებს,  
 ბედი სიკეთეს არსად ალირსებს...  
 შენთა ნარგიზთა ტრფობა სჯობს, ვიდრე  
 ღვთისნიერობის ყალბი ჩვენება.  
 მიწყივ მძინარე ჩვენს ბედს და იღბალს  
 ვერსად ვაშორებთ მთვლემარე ნიღაბს,  
 მაგრამ ოდესმე გამოგვაფხიზლებს  
 მარადიული შენი მშვენება.  
 ნიავს სურნელთა შენთა კონები  
 მიანდე, რათა თავმომწონები  
 გვეახლოს კვლავ და შენთა ბალნართა  
 შევძლოთ შეგრძნება და გახსენება.  
 იღხინეთ დიდხანს, წადილს ენიეთ,  
 მწდენო, და მადლით ჩვენც შეგვენიეთ,  
 ჩვენს ჯამებში კი არ არის ღვინო  
 და არ გვაქვს შვება და მოსვენება.  
 მოყვასნო, ვფიცავ ჩვენს ლამაზ სულებს,

გული, ლამის არს, ყოფნას ასრულებს...  
 მაშ, ღვთის გულისთვის, აცნობეთ სატრფოს –  
 მზე ჩვენთვის მალე ჩაესვენება.  
 შენ, მოფარფატე ქარში ზილფებით,  
 ჩვენ, უსაშველოდ მძიმე ფიქრებით,  
 როგორ ვიქნებით ერთად?! – ო, ღმერთო!  
 ან ვის ანალვლებს ჩვენი ხსენება?!  
 ფრთხილად, თუ ჩვენკენ გიჭირავს თვალი,  
 გზად შენ დაგხვდება სისხლი და ძვალი  
 მრავალთა მსხვერპლთა, შენს მოლოდინში  
 ვისაც ლამეთა სურდა თენება.  
 ჰა ფე ზ ი ს ლოცვას გაიგებ მაშინ,  
 თუ ყურს მიუგდებ და იტყვი – ამინ!..  
 შენს ლალის ბაგეს ჩვენც ვნახავთ ერთხელ,  
 განა ზმანებად მოგვეჩვენება.

## 013

თენდება!.. ზეცას ეფინება ლრუბლების ფარდა,  
 ფიალის გარდა, ნურას ნატრობთ, ფიალის გარდა!  
 ტიტებს ცვარ-ნამი ავსებს დილით... შენც ჯამი ღვინით,  
 აგვივსე, მწდეო, სანამ ჯერაც ჩვენ გვერდით ხარ და  
 სანამ ყოველ წამს მოაქვს თრობის სურვილი.... სანამ  
 სამოთხის სურნელს ბალნარებში ვგრძნობთ ქარდაქარ და  
 სანამ წალკოტში ზურმუხტოვან ტახტზე ზის ვარდი,  
 სანამ ლალისფერ ღვინოს ვეძებთ ჩვენც კარდაკარ და  
 ვედრებით ვუმზერთ მეიხანის დაგმანულ ჭიშკარს  
 და არ გაიღო ჩვენთვის არსად, არა და არ და...·  
 სად გაგონილა, რომ ასეთ დროს ჩარაზონ კარი?!  
 ნუთუ ვინმესთვის დრო შეყოვნდა ანდა აჩქარდა?!  
 ჰა ფე ზ ი ს დროის სვლას ვერაფერი გადაგავინყებს,  
 ფერიის მსგავსი მერიქიფის და ღვინის გარდა.

014

ვუთხარ – „სულთანი ხარ ლამაზმანთა  
და შენგან ველი შვებას, ყარიბი!...“  
მითხრა – „დაკარგავს გზას და სიმშვიდეს,  
თუ მისდევს გულის ვნებას ყარიბი“.  
ვთხოვე – „იქნებ შენც ჩვენთან იარო!“  
მითხრა – „თხოვნა ვით გავიზიარო?! –  
მე, სასახლეში ნებივრად გაზრდილს,  
რად მთხოვს ტყე-ღრეში ხლებას ყარიბი?!“  
ვინც მიეჩვია მეფურ ფარდაგებს,  
მას სხვისი ბედი ალარ ადარდებს,  
არ ნაღვლობს – რატომ არის ჩვეული  
ლოდებზე თავის დებას ყარიბი.  
შენთა დალალთა ტყვეა მრავალი,  
შენკენ ტრფიალის გზებით მავალი...  
ჩემსავით ყარიბ ხალს შენს სახეზე  
მოვალ და ვუძღვნი ქებას, ყარიბი.  
ვით არღავანის ფოთოლთა შორის  
ჩანს უცხოობა სხვა ფოთლის ქროლის,  
ღვინის კამკამშიც ასე ანაზდად  
შენ, სახემთვარეს, გხედავს ყარიბი.  
ნეტავ სხვაობა ხაზთა და ფერთა  
ერთ სილამაზედ რამ შეაერთა?!  
შენს მშვენებაში ვხედავ ჩემსავით  
უცხო რამ არსს და ცნებას, ყარიბი.  
ვუთხარ – „ყარიბთა წყვდიადი ლამის  
მფარველი რომ ხარ, შიში მაქვს ამის,  
რომ ვერ გაიგებ – რად ელის კვნესით  
ცისკრით მოვლენილ გზებას ყარიბი“.  
მითხრა – „ვინც მოდის ჩემთან ყოველი,  
მისგან სიმშვიდეს არსად მოველი...“  
ჰა ფ ე ზ, არც შენ ხარ შორს იმ ყოფისგან.  
რომ ვერსად ჰპოვებ შვებას ყარიბი.

015

ღვთაებრივო ლამაზმანო, ვინ იხილა შენი სახე?  
შენ, ფრინველო სამოთხისა, საბუდარი ვისთან ნახე?!

მთლად დაკარგა ძილი თვალმა, რა ვქნა ასე ძილგამკრთალმა?!  
შენ ძილი და მოსვენება ვის უბეში გამონახე?

არც კი მკითხავ მე, საბრალოს, შიშს რას ვებრძვი სავალალოს, –  
რისხვით მიხმე, თუ შენდობის საამებლად დამიძახე?

ჩემს გულს შენთა თვალთა ვნება, როგორც თრობა, ეპარება,  
შენ დაათრობ თავად ღვინოს, თუ ეს მიზნად დაისახე.

შენ რომ მტყორცნე, იმ ისარის კვალიდა მაქვს ნაისრალის,  
ტრფობის ისრის კვლავაც ტყორცნა ნეტავ რად არ განიზრახე?!

ეს ძახილი და ეს კვნესა ჩემგან შენს ყურს არსად ესმა,  
ისე შორს ხარ, გზა-და-კვალი შენკენ ვერსად გადმოვლახე.

შენც იფრთხილე! სადღაც გზა-კვალს რომ მიჰყვები, ძნელს და მზაკვარს,  
უდაბნოთა ავსულებმა არ დაგიგონ სადმე მახე.

არას გარგებს დროსთან დავა, სიჭაბუკე მალე წავა,  
შორს არ არის, გულო, შენი სიბერე და სივაგლახე.

გულო, დროით დადაგულო, სჯობს, სიკეთეს უერთგულო,  
ღმერთმა არ ქნას, სევდა იყოს შენი თანამეინახე!

ჩემში მონას შენ ვერ ნახავ, არც გაქცევას განვიზრახავ...  
თანაგრძნობას გთხოვს ჴ ა ფ ე ზ ი! – ის აკმარე, რაც დაძრახე.

## 016

შენ რომ წარბები გაქვს მოშვილდული,  
სულ რომ სწადიათ ტყორცნა ისარის,  
ჩემი სიცოცხლის ვაი-ვაგლახის  
მაუწყებელი სწორედ ის არის.  
ზესკნელ-ქვესკნელიც არ იყო, სანამ  
ტრფიალი არ შვა ღვთიურმა ხანამ,  
ვაი, რომ ჩვენთვის ტრფობას გაუხდა  
ზე ნაგვემის და ნათილისმარის.  
ნარგიზის ხიბლმა მხოლოდ ეს იცის –  
ზოგჯერ სიმთვრალით მზერას შეიცვლის,  
შენს ათასობით მაცდურ მზერას კი  
ვერვინ გაუგო – რაისთვის არის.  
მებრუდ და მეტრფედ რომ იარები,  
შენს კაეშანთან ნაზიარები  
წალკოტი ცეცხლის ფერებით ელავა,  
ვით არღავანის, ნაივნისარის.  
წუხელ ბაღნარში ვიარე მთვრალმა,  
დამწვა ტრფობის და ტრფიალის ალმა...  
ვარდს რომ ვუმზერდი, შენ დაგინახე  
და მივხვდი – თრობა ამისთვის არის.  
ვიხილე ია, დაწნული ზილფით  
და კვლავ შენ მოგწვდი ხსოვნით და ფიქრით...  
ნიავმა მითხრა – „ეს შენი ხსოვნაც  
სატრფოს ზილფის და ნაწნავის არის“.  
„ჩემს სატრფოს ჴგავხართ?“ – ვკითხე ვედრებით  
ვარდებს და მითხრეს – „ვერ შევედრებით“.  
და კვლავ ნიავმა გამკიცხა: „სატრფო

მსგავსი ამქვეყნად არაფრის არის“.  
 ღვთისნიერობის ნიშნით და აზრით  
 ღვინოს და მუტრიბს ვუმზერდი ბრაზით,  
 დღეს ვხვდები – გული ორივეს ვანდე:  
 ხან იმისია... ხან ამის არის...  
 ის მიჯობს, არვის არ ვემსახურო  
 და მწირის სამოსას ღვინო ვასხურო,  
 ადამის ძე ხომ ქვეყნად შემცვლელი  
 არაფრისა და არავის არის.  
 ღვინის სარდაფში დათრობის ნება  
 მიეცა ჴ ა ფ ე ზ ს და, როცა თვრება,  
 მაშინდა ხვდება, რომ მისი შვება  
 წყალობა ღვინის სარდაფის არის.  
 ზნედაცემული მე ეს ქვეყანა  
 რადგან ამ სახით შემომეყარა,  
 დავლევ და მეფედ ვიქცევი მონა...  
 მაშ, ჩამომისხით – რაც არის, არის!

017

სიყვარულით იწვის გული!...  
 ნახეთ, მკერდში რა ალია!  
 ჩემს სიცოცხლეს მთლად გადაწვავს...  
 განა სხვა რამ ავალია?!  
 ვით სანთელი, სულიც დნება!...  
 განშორებამ ჩაკლა ვნება...  
 სამსალაა მონატრება,  
 განა სულის წამალია?!  
 გული ებრძვის ცეცხლის ენას,  
 თუმცა არ წყვეტს მისკენ ფრენას,  
 სატრფოს ძებნით ის ფარვანის  
 მსგავსია და ბადალია.  
 ბოგანო თუ ვინმე მსხემი  
 თანამგრძნობი არის ჩემი,  
 მაშ, ნუ გიკვირთ, მოყვრის გულში  
 ჩემთვის სულ რომ ვალალია.  
 ღვთისმოსავის სამოსელი  
 მე ღვინით მაქვს მუდამ სველი,  
 ჭკუას ვკარგავ – საშველს ველი  
 და სატრფოსთვის ალალია!  
 ყველა აღთქმა, ლოცვით თქმული,  
 შემომემსხვრა, როგორც გული,  
 გზა-კვალი მაქვს დაკარგული...  
 აღარც სადმე სავალია.  
 თვალი მაქვს თუ თვალთა გუგა  
 ცრემლთა ცეცხლმა გადაბუგა...  
 დაბრუნდი, რომ გვეთქვას – კარგი  
 ქვეყნად ცუდზე მრავალია!

ჰ ა ფ ე ზ, ზღაპარის თხრობას ეხსენ,  
დვინით თრობის კარი შეხსენ,  
ჩქარა, თორემ ეს სიცოცხლე,  
ვაი, რარიგ ფრთამალია!

## 018

მერიქიფევ, შენც გალალდი! – სიხარულის ჟამი დგება!  
რომ დაგვპირდი – მოგალენთო, ნეტავ, ხომ არ გავიწყდება?!  
ტრფიალი რომ არ გახსოვდა, სული სულ რომ მარხვას გთხოვდა,  
ვიცი... მაგრამ როგორ მოგცა ნეტავ გულმა ამის ნება?!  
ჩვენგან უთხარ ვაზის ასულს, რომ უმისოდ ყოფნა არ გვსურს,  
რომ მას ქვევრის ტყვეობიდან იხსნის მალე თრობის გზნება.  
მომლენი და მომეჯლისე, შენ ფიალას გაწვდის ისე,  
რომ ჩვენს ყველა ავის მსურველს ჩვენი ლენა ეკლად ხვდება.  
შემოდგომა სულს ვერ ხუთავს და მადლობას ვუძღვნით უფალს,  
რომ ბალნარში ვარდთან კვლავაც როკავს სარო ნება-ნება.  
სჯობს, გაგვშორდეს ავი თვალი, სხვაგან ძებნოს გზა და კვალი, –  
ჩვენს ბედს ვარსკვლავეთი წყვეტს და სიყვარულიც მისგან ჩნდება!  
ჰ ა ფ ე ზ, ბრძანებს დღეს განგება – გული ტრფობით გებანგება,  
მაშ, ნუ ეტყვი უარს მას და მოხდეს ისე, როგორც ხდება.

## 019

დილის ნიავო, ჩემი სატრფო, მითხარ, სად არის?  
მთვარე მიწაზე დაგოგმანობს თუ კვლავ ცად არის?

წყვდიად ლამეში უდაბნო გვაქვს გასავლელი და  
ვინც ჩვენ მოგველის, ცეცხლად ჩანს თუ ისევ მთად არის?

ამქვეყნად შობილს დამღასავით აზის სიმთვრალე...  
ფხიზელი, ალბათ, სადღაც თითზე სათვლელად არის.

იგია ბრძენი, ვისაც ესმის დუმილის ენა,  
მაგრამ ვაი, რომ ეს ადვილი სათქმელად არის.

ჩემი ყოველი თმის ლერიც კი შენ მოგდახის და  
სხვები ხარობენ... შველა არ ჩანს ჩემი სადარის.

ნეტავ შენს ზილფებს ჩემი გული რად შეეხიზნა,  
იქ უიმედოდ ჩაკარგული, მითხარ, რად არის?!

გონი წამერთვა შენთა ზილფთა კვალდაკვალ დევნით,  
გულსაც ვეღარ ვგრძნობ, საგულეში აღარსად არის.

სატრფო არსად ჩანს! მოსალხენად, ო, რა ამაოდ  
ჩანგიც მზად არის, მუტრიბიც და ღვინოც მზად არის.

ჰ ა ფ ე ზ ი, ნუ წუხხარ ქართა გამო ბედის ბალნარში,  
ვარდი უეკლოდ მოსაკრეფი, აბა, სად არის?!

020

მარხვა დასრულდა... გულმა ლხენით დაიწყო ძერა,  
დროა, დოქიდან ვნახოთ ღვინის ჩქეფა და ჩქერა!

ფარისეველთა თვალთმაქცობის დრო გავიდა და  
რინდმა რინდისკენ მოსალხენად დაიწყო ცქერა.

ახლა ღვინის სმა საძრახისი ნეტავ რად არის?! –  
სიმთვრალეში რომ ცოდვა არის, დღეს არვის სჯერა.

ათას თვალთმაქცს რომ ერთი ნალდი ლოთი სჯობია,  
ვერ დავაჯერე ეს ქვეყანა, ვერა და ვერა.

ჩვენ რომ ალალი და მართალი რინდები გვქვია,  
დაგვემოწმება თვით განგება და ბედისწერა.

ღვთის განჩინებას მივდევთ ყველგან და ცუდს არსად ვიქმთ,  
აკრძალულისკენ არასოდეს გაგვირბის მზერა.

ვაზის სისხლია ღვინო, განა სისხლი კაცისა,  
ვაზის სისხლის სმით დავაშავე ნეტავი მე რა?!

ნეტავ ცოდვილი რატომ მქვია?! რა არის ცოდვა?! –  
მთლად უცოდველი ვერვინ ნახა ამქვეყნად ჯერა.

სპარსულიდან თარგმნა  
ალექსანდრე ელერდაშვილმა

## აბუ-ლ ყასემ აბდოლაჰ ქაშანი (XIII-XIV სა.)

ირანის ილხანთა კარის ისტორიკოსისა და მეცნიერის აბუ-ლ ყასემ აბდოლაჰ ქაშანის ტრაქტატი „ძვირფას ქვათა და სურნელ ნივთიერებათა შესახებ“ (‘Arāyes al-Javāher va Nafāyes al-Atāyeb) შუასაუკუნეების არაბულ-სპარსული საბუნებისმეტყველო მეცნიერების და, ამასთან, კლასიკური სპარსული პროზის მნიშვნელოვანი ძეგლია. ტრაქტატი დაწერილია 1300 წელს. აյ წარმოდგენილი „შესავალი“ წინ უძღვის თხზულების პირველ ნაწილს, რომელიც წიაღისეულ ძვირფას ქვებს, მათ საბადოებს, თვისებებსა და ფასებს შეეხება.

ძვირფას ქვათა და სურნელ ნივთიერებათა შესახებ

### შესავალი

ქვემო სამყაროს რაოდენობრიობისა და შედგენილობის შესახებ, რომელიც საბადოთა და სხვათაგან [შედგება] და რომელიც შერეულნი არიან, ბუნებრივ ნაერთს, ელემნეტებს და მთის [წარმოქმნის] მიზეზებს და მადნეულს წარმოადგენენ მისი სრული სახითა და თვისებებით

უნმინდესმა და უმაღლესმა გარდაუვლად-არსებულმა მარადიული სრულყოფილი ყოვლისშემძლეობით, მას შემდეგ, რაც შექმნა (განახორციელა) სამყარო სულთა და ანგელოზ(ნ)ი და ცანი და მათი მოძრაობა, მთვარის ცის სიცარიელეში, რომელიც ქვემო სამყაროა, ოთხი ელემენტი (საწყისი – ‘ონსორ, მრ. ‘ანასერ;’) შექმნა, რომელიც მარტივ და შედგენილ [ნივთიერებათა] საფუძველია და მათი სფერო წარმავალი სამყაროა; ეს არის მინა და წყალი და ჰაერი და ცეცხლი, და თითოეულ მათგანს (რაიმე) განსაკუთრებული ბუნება მისცა, იმგვარად, რომ ვიდრე საკუთარ საზღვრებში არიან, უძრავად (მშვიდად) არიან, და როდესაც ძალდატანებით და შევიწროებით იმ სფეროს დაშორდებიან, თითოეული მათგანის ბუნება იმას მოითხოვს, რაც მისი ბუნებრივი სფეროსათვის აუცილებელია.

მინის ბუნებრივი სფერო სამყაროს ცენტრია, წყლის ბუნებრივი სფერო – მინის უმაღლესი ზედაპირი, ჰაერის ბუნებრივი სფერო – წყლის უმაღლესი ზედაპირი, და ცეცხლის ბუნებრივი სფერო – ჰაერის უმაღლესი ზედაპირი ვიდრე ეთერის ცის

ჩაზნექილ ზედაპირამდე.

ანუ ცეცხლის ამოზნექილი ზედაპირი ეხება მთვარის ცის ჩაზნექილ ზედაპირს და გარშემორტყმულია ეთერით, ცეცხლის ჩაზნექილი ზედაპირი ჰაერის ამოზნექილ ზედაპირს მოიცავს, და სწორედ ასევე, ჰაერი – წყალს, და წყალი დედამიწას გარს არტყია, რადგანაც ყველა ელემენტის (საწყისის) ფორმა სფეროსებურია ნაწილაკთა განუყოფელობისა და ერთგვაროვნების (მსგავსების) ძალით; და სამყაროს სიმრგვლის მიზეზი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და „ალ-მაგესტ“-ში დასაბუთებული და დამტკიცებულია.

რადგან ქვემო სამყაროს ყველა შედგენილი ნივთიერება ოთხი მარტივი საფუძვლისგან (ასლ) შედგება, აუცილებლად ხამს მათში რაიმე ძალა იყოს, რომელიც საუკეთესოდ შეძლებს მიაღწიოს სასურველ ნაერთს.

ამრიგად, თითოეული საყრდენი (მრ. არქან) ორი ძალის მატარებელი შეიქნა: ერთი – აქტიური (მოქმედი, აღმგზნები), მეორე – ჰასიური (აღგზნებული).

აქტიური ძალა ან განმაცალკევებელია, ან – შემაერთებელი (შემკრები); და მაცალკევებელი ძალა სიმხურვალეა (სითბოა), რადგან სხეულის ნაწილებს აშორებს (ჰყოფს); და შემკრები ძალა სიგრილეა (სიცივეა), რადგან გაფანტულ (გაყოფილ) სხეულის ნაწილებს აერთებს.

პასიური ძალა ან ადვილად აღმგზნება-

დია და ის სინოტივეა, ან – ძნელად აღგზნებადი, და ის სიხმელეა (სიმშრალეა).

უწმინდესმა და უმაღლესმა შემოქმედმა ცეცხლის ბუნება მხურვალე და ხმელი შექმნა, ჰაერის ბუნება – მხურვალე და ნოტიო (ნედლი), წყლის ბუნება – გრილი და ნოტიო, და მინის ბუნება – გრილი და ხმელი.

რადგან თითოეულ ელემენტს ორი თვისება გააჩნია, რომელთაგან ერთი (თვისება) საერთოა ორი ელემენტისათვის, რომელიც ერთიმეორის მოსაზღვრენი არიან; ისე რომ, ჰაერი და ცეცხლი სიმხურვალეში თანამოზიარენი არიან, (ხოლო) სინედლითა და სიხმელით – შეუსაბამონი.

ყოველთვის, როცა ცეცხლის სხეულის ერთი ნაწილის სიხმელე რაიმე მიზეზით სინედლით შეიცვლება, ის ნაწილი ჰაერად იქცევა, რადგან ჰაერი ბუნებით მხურვალე და ნედლი სხეულია (ჯერმ), და ამ ნაწილშიც ეს არსი მიიღწევა.

სწორედ ასევე, ყოველთვის, როცა ჰაერის ნაწილის სინედლე სიხმელედ შეიცვლება, ის ნაწილი ცეცხლად იქცევა, რადგანაც ცეცხლის სხეულის ბუნება მხურვალე და ხმელია, და ამ ნაწილმა ეს ბუნება (თაბი'ათ) შეიძინა.

ჰაერსა და წყალს შორის ზიარია სინედლის თვისება და შეუსაბამობაა სიმხურვალისა და სიგრილის თვალსაზრისით.

მუდამ, როცა სიმხურვალე ჰაერის ნაწილია სიგრილით შეიცვლება გარეგანი ან შინაგანი მიზეზებით, ის ნაწილი წყლად იქცევა, რადგანაც წყლის ბუნება გრილი და ნოტიოა, და იმ ნაწილმა ეს ბუნება შეიძინა.

და პირიქით, ყოველთვის, როცა წყლის ნაწილის სიგრილეს სიმხურვალე შეცვლის, ის ნაწილი ჰაერად იქცევა თვისების (თვისებრიობის – ქედფიდათ) შეცვლის გამო.

სწორედ ასევე, მიწასა და წყალს შორის საზიაროა სიგრილის თვისება და განსხვავებაა სინედლისა და სიხმელის თვისებათა მიხედვით.

ყოველთვის, როცა წყლის ერთი ნაწილის სინედლე სიხმელით შეიცვლება, ის წყალი მიწად იქცევა თვისების შეცვლის გამო.

და პირიქით, ყოველთვის, როცა სიხმელე მიწის ერთი ნაწილისა სინედლით შეიცვლება, ის ნაწილი წყლად იქცევა, წყლის სა-

ხეს იცვლის და ჰაერის სახეს მიიღებს, და ჰაერი წყლად იქცევა, და ცეცხლი ჰაერად, და სწორედ ასევე – პირიქით.

ელემენტთა სახეცვლილება აშკარაა და შეგრძნებადი, როგორც ხელოვნური გზით, ისე გარეშე მიზეზების შედეგად, იმგვარად, როგორც მთებში ხდება.

წყალი რაიმე გარეშე მიზეზით ჰაერის გარკვეულ რაოდენობას მოერევა და მას ჯერ ორთქლად აქცევს; მას [წყალს] ძალა მოემატება, რათა ის [ორთქლი] წყლად აქციოს, და წყლის ბუნებისადმი მიღრეკილების (ლტოლვის) გამო თავისი სფეროსაკენ მიიზიდავს.

წყლები, რომლებიც ქვებისა და სხვათა ღრუებში ჩამდგარა ისე, რომ გამოჟონვის საშუალება არ აქვთ, როდესაც სიმხურვალე მათ გარედან მოიცავს, (წყალი) ჰაერად იქცევა.

სწორედ ასევე – ყოველი ორი ელემენტის მდგომარეობის [მიმართ], რომლებიც ერთიმეორის მოსაზღვრეა, ეს ზემოხსენებული წესი შეინიშნება.

თუ ხელოვნურად, წყლით სავსე ქოთანს ძლიერ ცეცხლზე შედგამენ, მთელი წყალი ჰაერად იქცევა.

თუ ჭურჭელი, რომლიდანაც წყლის გაჟუნვის საშუალება არ არის, ყინულით გაივსება, ჰაერი, რომელიც იმ ჭურჭელს ესაზღვრება, შესქელების (შემჭიდროების) გზით წყლად იქცევა.

თუ პირიქით, ყინულს იმ ჭურჭელს გარს შემოუწყობენ, სიცივე მოერევა და ჰაერი ჭურჭელში წყლად იქცევა.

თუ ღუმელში ძლიერ ცეცხლს დაანთებენ, მას შემდეგ, რაც ცეცხლის ალი დაიკლებს, ჰაერში, რომელიც იმ ალს ესაზღვრებოდა, თუ პატრუქს, ან მის ნაცვლად, ნაკუნს ან რაიმეს, რაც ადვილად დაიწვება, მოათავსებენ, მაშინვე აინთება იმის გამო, რომ ის ჰაერი ცეცხლადაა ქცეული.

დანარჩენ ელემენტებშიც იგივე წესი მუდმივია. ისე, როგორც ალქიმიკოსები მყარ (მაგარი მიწის) სხეულებს ხელოვნური გზით წყალივით გაალლობენ, და პირიქით, სითხეებს (ამა თუ იმ) საშუალებით გაამყარებენ და გააქვავებენ.

თითოეულ ამ ელემენტს საფუძველი და არსი (მადლენ) აქვს მათ შორის მუდმივად

საერთო (საზიარო), რომელთაგან თითოეული სახეს იცვლის და სხვა (უცხო) სახის სამოსელს იძენს, ისე, როგორც საბუნების-მეტყველო მეცნიერებებშია ახსნილი და დასაბუთებული.

ღვთის უნაკლო სიბრძნემ ისე ისურვა (მიზანშეწონილად სცნო), რომ ელემენტებს გარდაქმნისა და სახეცვლილების უნარი გააჩნიათ. რადგან ყოველთვის, როცა ამა თუ იმ მიზეზით, განსაზღვრული ნაწილი და გარკვეული რაოდენობა თითოეული ელემენტისა დანაწევრდება და ერთმანეთს შეერევა, ნაერთი, რომელშიც ელემენტთა ცალკეული ნაწილების ერთიმეორისგან გარჩევა და გამოყოფა შეუძლებელია და მათი თვისებები ერთიმეორებული გავლენას მოახდენენ, ზემოქმედებასა და დაქვემდებარებაში (აქტიურობასა და პასიურობაში) იქამდე მიაღწევენ, რომ მეხუთე მუდმივი თვისება ჩამოყალიბდება, და მას მეზაჯს (მეზაჯ – მიზაჯი, ხასიათი, ტემპერამენტი) უწოდებენ.

მარადიული (ღვთიური) ძალა ამ მეზაჯის (ხასიათის) შესაბამისი ზომისა (სიდიდის, ხარისხის) და უნარის (მქონე) შედგენილ ქმნილებათა (არსებათა) ერთ-ერთ სახეს შექმნის. დიდება უფალს, ღირსეულსა და უზენაესს.

შემდგომ ყოველი მეზაჯი (ხასიათი), იმ სრულყოფილებისა და ნაკლისა და უნარის შესაბამისად, რომელიც გააჩნია, ქმნილებათა სახეობისგან ერთ-ერთ სახეს (ფორმას) მიიღებს.

ანუ, რომელსაც ადამიანის სახის მიღების უნარი გააჩნია – ადამიანის სახეს, და რომელსაც ცხოველის სახის (მიღების) უნარი გააჩნია – ცხოველის სახეს იღებს, მსგავსად შესაბამისი სხვადასხვა მეზაჯებისა (ხასიათების).

სწორედ ასევე, მეზაჯი (ხასიათი), რომელშიც მცენარის სახის მიღების უნარია, მისი განსხვავებულობის შესაბამისად სხვა-

დასხვა მცენარეულის სახეს მიიღებს.

ის მეზაჯი (ხასიათი), რომელსაც საბადოთა (მადანთა, მინერალთა) სახის მიღების უნარი აქვს, შესაბამისი მეზაჯების (ხასიათების) განსხვავების მიხედვით სხვადასხვა მადანთა (მინერალთა) სახეს იღებს, როგორიცაა ვერცხლისწყალი, გოგირდი და ლითონთა ნაირსახეობები, ძვირფასი ქვები, მარილთა და არჯასპთა (ზაფ) სახეობები და სხვანი, ყოვლისშემძლისა და მცოდნის განგებით.

ამ შედგენილი ნივთიერებების გაჩენა რაოდენობისა და თვისებების მიხედვით ნათელი რომ გახდეს, ზემოხსენებული ოთხი საფუძვლისაგან (ელემენტისგან) სხვადასხვა შედგენილი ნივთიერებების წარმოქმნის ანალოგით განვიხილავთ:

თუკი წინასწარ განსაზღვრულ, ოთხი ფერის მქონე ოთხ სხეულს, ერთს – ყვითელს, მეორეს – წითელს, მესამეს – მწვანეს და მეოთხეს – შავს, ტოლი რაოდენობით აიღებენ, დაფხვნიან და შეურევენ, თითოეული ფერისგან განსხვავებული ფერი მიიღება.

და თუ კვლავ შეურევენ არათანაბრად, ისე, რომ მის შემადგენლობაში ერთ-ერთი ფერი სჭარბობდეს, იმ ნაერთს რაიმე სხვა ფერი ექნება, და ასე უსასრულოდ.

თუ ერთეულთა რიცხვი ოთხზე მეტი იქნება, მიღებული ფერების რაოდენობაც გაიზრდება.

მაგალითად, თუ აიღებენ ერთ წილ ფქვილს, ერთ წილ შაქარს და ერთ წილ ზეთს, და მოხარშავენ, ნახარში ჰალვის განსაკუთრებული სახეობა გამოვა.

თუ შაქარს წყალში გახსნიან, ჰალვა სხვანაირად მომზადდება, და თუ ფქვილის ნაცვლად სახამებელს იხმარენ, სხვა სახეობა იქნება.

სწორედ ასევე, ყოველი ცვლილება, რომელსაც ერთეულები განიცდიან, მიზეზია მათი ნაერთის ცვლილებისა (განსხვავებისა).

## მთების გაჩენისა და ქვათა წარმოშობის შესახებ

ბლანტი მინა (თიხა), როდესაც მასზე სიმხურვალე იმოქმედებს, ნაერთის სახით რაც უფრო სრულყოფილად გამაგრდება

სინოტივესა და სიხმელეს შორის, გაქვავდება ლუდის დოქის მსგავსად.

მეორე მიზეზი ისაა, რომ, როდესაც სიმ-

ხურვალე უხვად აცხუნებს და ხვდება თი-ხებს, მზის სხივი (მათ) აქვავებს დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო ერთბაშად ან გარკვეული დროის შემდეგ გაამაგრებს და ქვად აქცევეს.

მთების სიმაღლის მიზეზი ის არის, რომ თიხა, რომელიც ქვავდება, ალაგ მაგარია, ალაგ კი – რბილი (ფხვიერი), და, როდესაც წყლის ძლიერი დინება (ნიაღვარი) მას მის-წვდება, რბილს წაიღებს და მაგარს დატოვებს.

ერთხელაც, (ზესაძლოა) საკუთარი თვალითაც იხილო, რომ მინის არსი (ჯოუპარ), რომელიც ქვისა და სოდისგან შედგება, მზის სიმხურვალისგან დროთა განმავლობაში ქვავდება.

ხოლო მა'დან (საბადო) 'ადან-იდან არის მიღებული, და 'ადან ადგილმდებარეობაა, და ნივთიერების თავმოყრის [ადგილს] ამ სიტყვის მიხედვით იმ რაღაცის [ნივთიერების] მადანს (საბადოს) უწოდებენ.

ზოგი მადანი დაფარულია და ზოგი ღიაა, და საბადოთა უმეტესობა იმ მთებში ჩნდება, რომლებშიც წონასწორობა დარღვეულია და ორ ურთიერთსანინააღმდეგო უკიდურესობას – სიმხურვალეს ან სიგრილეს მიესწრაფვიან; და ან იმ მიწებსა და მთებში სრული სიმყარე და სიმხურვალეა, და მათ ღრუებში მომწოლი ორთქლია (ორთქლის წევაა), ძვირფასი ქვების მადანთა-გან ერთ-ერთი მადანი გვხვდება.

და მადნეულთა უმეტესობის არსებობის მიზეზი უმთავრესად მზეა, და ნაწილობრივ – მნათობები (ვარსკვლავები).

როდესაც მზის სხივი დიდხანს შეჩერდება ზენიტში ერთ ადგილზე და იმ ადგილს სწორი კუთხით ეცემა, მზის მწვევი სიმხურვალე იმ ადგილის ღრუებს გააფართოებს, და სიცივე, რომელიც იმ ღრუებშია, შეიკუმშება და რომელიმე ქვა ნარმოიშობა.

თუ მზის სხივი ხანმოკლედ შეჩერდება, იმ სიცივეს დამხმარე ძალა ექნება, მაშინ ორთქლი მიაწვება, გამაგრების და გაქვავების არსს (მადდე – არსი, ნივთიერება, მატერია) მიაღწევს, და საბადოებში სხვადასხვა მინერალთა (მადანთა) დაბადება და გარეგნული ფორმის (არაარსებითი თვისების) შექმნა და სხეულთა შეფერილობა ამ ორი მიზეზითაა; და შესაძლოა, რომ საბადოები

მდინარეთა კალაპოტში იყოს, და შესაძლოა, რომ იმ მთებიდან, სადაც საბადოებია, დინება ჩამოვიდეს და რაიმე ადგილი ამა თუ იმ ძვირფასეულობის საბადოდ აქციოს – ბუნებრივად, ან იმ ძვირფასი ქვის შეკავებით; და ზემოხსენებული მიზეზებისა და უამთა სვლის გამო იმ კალაპოტში რაიმე საბადო გაჩნდება და [მადნის რაოდენობა] იმატებს.

მადანთა უმეტესობის წარმოქმნის მიზეზი ისაა, რომ მიწათა ღრუებში წყლიანი ნოტიო ორთქლი ან კვამლიანი მშრალი ორთქლია, სიმხურვალისა და სიცივის (უშუალოდ) ერთიმეორის თანმიმდევრობით მრავალზის განახლების (მონაცვლეობის) გამო, და მზის სხივებისა და მნათობთა ზენიტში ყოფნის გამო, და იმ ღრუებში გაჩენილი სიმხურვალისა და სიცივის (ყინვის) გამო; ამინდის ცვლილება ან სხვა მიზეზები, როგორიცაა ნისლი მაღალ მთებში, რომელიც მზის სხივის ხელისშემშლელია, ან ადგილი, რომელიც მეტისმეტად დამრეცია და მზის სხივი რომ მოხვდება, ზედმეტად გადახურდება.

ან პირიქით, ზედმეტი ყინვა და ჩრდილოეთის ან სამხრეთის ქარების ქროლა რაიმე ადგილს აღნევს, ან (რაღაც) შეაკავებს, რომ ვერ მიაღწიოს; ან ზღვა იქნება იმ ქართა პირქარი მხარე, რათა ორთქლს იმ ადგილამდე მიაღწევინოს, და ამ ცვლილებების გამო მიწის ღრუებშიც ცვლილებები ხდება.

მადნეული უმეტესად ზამთარში წარმოიშობა; ხოლო ძვირფასი ქვები, რომლებიც სიმხურვალის გამო ჩნდებიან, უფრო მეტად ზაფხულში წარმოიშობიან ორთქლის შეკავების გამო, რადგან სიცივისგან ჰაერი არ დაიშლება, და ზაფხულის სიცხეში – დაიშლება.

მადნეულთა წარმოშობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ზოგს – წვა (აალება), როგორც მარილებს (ნამაქ), არჯასპებს (ზაჯ), ნურებსა (ნურე) და მათ მსგავსთ, აგრეთვე ზოგ [სხვას], როგორიცაა მინერალური (ქვისული) ძვირფასი ქვების სახეობები.

ალქიმიკოსები მარილებს ხელოვნური გზით აკეთებენ და ყოველში, რასაც კალცინაციას (თაქლის) გაუკეთებენ, აუცილებლად მარილიანობა გაჩნდება.

ყოველი ქვა გაქვავებული თიხაა, და ნა-

თელი საბუთი ისაა, რომ ცეცხლი ბევრ თიხას გამომწვარ თიხად (სოფალ) აქცევს, და თუ უფრო მეტად გამოწვავენ, მას „დაშე-ალ“-ს უწოდებენ, და მისგან ლუდის დოქებს ამზადებენ.

იმ ქალაქებში, სადაც ნისქვილის ქვა არ არის, ხელოვნურად გამომწვარი თიხისგან ნისქვილის ქვებს ამზადებენ, როგორიცაა სიჯისტანის ქვეყანა და სხვანი.

ერთი სიტყვით, მადნეულთა არსი (მანდდე) ორთქლებია, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ერთ ადგილზე რჩება, და როდესაც ნივთიერებას (მანდდე) სიმ-ხურვალე მოერევა, გამაგრდება და გამომწვარ თიხად (სოფლ) იქცევა; როდესაც სიმ-ხურვალე უფრო მეტ ზემოქმედებას მოახდენს, მისი სხეული უფრო მტკიცე გახდება, ვიღრე არ გაქვავდება.

თუ იმ თიხის შედედებასთან (შესქელება, შეკვრა) ერთად ჰაერის ნაწილები შეერევა, ის ქვა რბილი იქნება ჰაერის ნაწილაკთა შერევის შესაბამისად.

თუ უფრო მჭიდროდ შესქელდება და ნასვრეტები არ ექნება, ის ქვა უფრო მაგარი იქნება, როგორიცაა ალმასი, ფრცხილი (ონიქსი – ჯაზ’), და თეთრი იაგუნდი.

ყოველი გამჭვირვალე ქვის არსი წყლიანი ყოფილა, როგორიცაა ბროლი და ლალი, ზოგი ზურმუხტი, იაგუნდი და სხვანი.

და ყოველი გაქვავებული ძვირფასი თვლის შენახვა და მოფრთხილება ხამს ამ ქვათა სიძვირის (სიძვირფასის) გამო.

ყოველი გაუმჭვირვალის არსში (მატერიაში) მინა მეტია, [ისეთებში] როგორიცაა ფირუზი, ფრცხილი, დაპნაგი (მალაქიტი), ლაქვარდი და მარჯანი (ბოსსად), და შვიდი ლითონი (ფელლეზათ-ე საბ’ე).

მეორე მხრივ, ძვირფასეულობათა დაყოფა იმის მიხედვითაა, მაგარი ნაერთია თუ არა. და, პირველ რიგში – ჭედვადია თუ არა.

თუ ჭედვადია – შვიდი სხეულია (შვიდ ლითონთაგანია – ჯასად, მრ. აჯსად); და თუ ჭედვადი არ არის – ან ძალიან რბილია, როგორც ვერცხლისწყალი (სიმაბ), ან ძალიან მაგარი, როგორც იაგუნდი (აბყუთ).

რაც ჭედვადი არ არის და იხსნება (დნება) სინესტისაგან, ეს სხეულები მარილებია, როგორიცაა ზაჯი და ნიშადური, და არჯასპები – მწვანე არჯასპი (ყალაყანდ) და ყვითელი არჯასპი (ყალაყანთარ) და თეთრი არჯასპი (ყალაყანდის).

თუ არ იხსნება (არ დნება), ის ცხიმიან (ზეთოვან) სხეულთაგანია, მსგავსად დარიშხანისა (ზარნიხ) და გოგირდისა.

ჭედვად სხეულთა შვიდეული ცეცხლში გადნობის მიმართ გამდლეა, და ეს გამდლეობა მას ცალკე გამოყოფს იმ [ნივთიერებათა] საზღვრებიდან, რომლებიც აორთქლებადია, მსგავსად ცვილისა (შამ’) და ფისისა (კუპრისა – ყირ).

ამათ გარდა, ჭედვადია (დრეკადია, დნობადია) მინა (შუშა – ზოჯანჯ) და მინაქარი (ემალი – მინა).

## შვიდი სხეულის [ლითონის] ნარმოშობის გარემოებები

ამ ჭედვადი ელემენტ(ებ)ის საფუძვლად ვერცხლისწყალია (ზებაყ) მიჩნეული, და ვერცხლისწყლის (სიმაბ) ნარმოშობის ჭემ-მარიტებისა და იმის ახსნა, რომ ვერცხლის-წყალი (ზებაყ) ჭედვადი ელემენტია, ის არის, რომ მასში თხელი (წყალნარევი) სიხ-მელეა შერეული იმდენად, რომ იმ სიხმელის თხელ მშრალ ნაწილაკებს ეს თხევადი (წყალწყალა) ზედაპირი მთლიანად მოუკავს.

მეორე ახსნა იმისა, რომ ვერცხლისწყალი ჭედვადია, შემდეგი სამი ნიშნით (თავისებურებით) აიხსნება:

პირველი ნიშანი (თავისებურება) ის არის, რომ ესენი [ლითონები] გალლობისას ვერცხლისწყლის მსგავსი არიან, ხოლო ტყვიასთან (დაკავშირებით) არავითარი ეჭვი არ არის; ტყვიის გარდა, გამდნარნი წითელი ვერცხლისწყალივით არიან;

მეორე ნიშანი (საფუძველი) ისაა, რომ ვერცხლისწყალი მას [ლითონებს] განეკუთვნება;

მესამე ნიშანი (საფუძველი) ისაა, რომ როდესაც ვერცხლინწყალი შესქელდება, გოგირდის (ქებრით) სუნზე ტყვიასავით ხდება. და როდესაც ეს საფუძვლ(ებ)ი ნა-

თელი გახდა, ვამბობთ, რომ სხეულები (ლი-თონები – აჯსად) წარმოიქმნებიან ვერცხლინებულის გოგირდთან შერევით. ამიტომ, მათ შორის განსხვავება ან ვერცხლის-წყლის მდგომარეობის განსხვავების, ან გოგირდის მდგომარეობის განსხვავების, ან ორივეს განსხვავების გამო იქნება.

ასე რომ, თუ ვერცხლისწყალი და გოგირდი ორივე წმინდაა, და ორივეს ნახარშე (უკვე მოხარშულს) ერთად (კულავ მთლიანად) მოხარშავენ, თუ ეს გოგირდი თეთრია, ვერცხლი (ნოყრე) წარმოიშობა;

თუ წითელია და მასში ოდნავი შეღებვის ძალაა, წვის გარეშე ოქრო (ზარ) წარმოიშობა;

თუ ორივე სუფთაა და გოგირდში შეღებვის ძალა ძლიერია და მომწიფების დასრულებამდე სიცივე მოუსწრებს, თუთია (ხარიჩინი – ხარსინი) წარმოიშობა;

თუ ვერცხლისწყალი სუფთაა, ხოლო გოგირდი – უვარგისია და მასში წვის ძალაა, სპილენძი (ნოჭას) წარმოიშობა;

თუ გოგირდი კარგ ვერცხლისწყალთან არ არის შერეული, კალა (რასას) წარმოიშობა;

თუ გოგირდი და ვერცხლისწყალი – ორივე ამღვრეულია, ანუ ვერცხლინებული ფორებიანი და მიწიანია, ხოლო გოგირდი – უვარგისი და დამწვარი, რკინა (აპან) წარმოიშობა;

თუ ისინი უვარგისია ნაერთის სისუსტის გამო, ტყვია (ოსრობ) წარმოიშობა.

ხოლო თუ გამჭვირვალე ქვების მსგავსად, მდგრადი ნაერთია და ჭედვადი არ არის, მისი არსი წყლიანობაა და მხოლოდ სიცივისგან არ მაგრდება, არამედ სიმშრალეც უწყობს ხელს, რომელიც სითხეს (თხევადს) მიწად (მყარ სხეულად) აქცევს; და მასში ცხიმიანი სინოტივე არ არის, ამიტომაც არ არის ჭედვადი (დრეკადი).

ხოლო ის, რომელიც სუსტი ნაერთია და ადვილად იხსნება (დნება), მარილის სახეობაა, რადგანაც ნიშადურს (ნუშადორ/ნუშადერ) წყლიანობა მიწიანობაზე

უფრო მეტი აქვს, ამიტომ მთლიანად აქროლდება (სუბლიმირდება).

ამრიგად, ნიშადური ისაა, რომლის თხელი მხურვალე ორთქლი სიმშრალითაა შესქელებული (კოაგულირებული).

და სულფატები (გოგირდმჟავას მარილები – ქებრიიათ) ისინია, რომელთა წყლიანობა მიწიანობასთან არის შენივთებული და მიწიანობა – წყლიანობასთან; მტკიცე ნაერთია იქამდე, რომ ცხიმიანად (არჯასპოვნად) იქცევა და სიცივისგან შესქელდება.

ხოლო არჯასპები (ზაჯანთ) შედგება მარილიანობის, გოგირდოვანი და ქვისებრი (თვისებებისაგან), და ზოგიერთ მათგანს გალლობის უნარი აქვს, როგორიცაა ყალაყანდი და ყალაყანთარი.

ყველა ეს წესი სავარაუდოა (თვალსაზრისია) და დამაჯერებელი მოწმობითა და უთუო ახსნა-განმარტებით დამტკიცებული არ არის! და არავის გონებას (აზრს) ამის ცოდნის სიღრმისათვის არ მიუღწევია.

ამ დავის დამატებიცებელი და ამ აზრის დამდგენი ისაა, რომ თეთრი თიხა (ლუბან-ე ‘აზარ’ „ქალწულთა საკმეველი“), რომელსაც ალქიმიკოსები იყენებენ, ამგვარად მიიღება: დაფხვნილ მურდასანგს (მორდასანგ – ტყვიის უანგი) კარგ ღვინის ძმარში მოხარშავენ, იმდენად, რომ წყალი აორთქლდება, და სუფთა წყალში გახსნიან (გაადნობენ); წყალში დასველებულ სოდის მარილს [ისე] მოხარშავენ, რომ ორჯერ-სამჯერ წამოდუღდეს; [ამ] ორივე სითხეს გაფილტრავენ და ჭურჭელში მაშინვე ერთიმეორეს შეურევენ.

შემდეგ, თუ ტყვიის უანგს (მართაქ) ტუტეზე (ყალი – პოტაში, კალაქვა) დაასხამენ, ყვითელი სითხე გამოვა, და თუ ტუტეს ტყვიის უანგზე დაასხამენ, შავი სითხე გამოვა, და თუ ორივეს ერთად თანაბარი რაოდენობით ჩაასხამენ, რძესავით გათერდება.

აქედან შესაძლოა შევიტყოთ, რომ მადნეულთა ფერების მიზეზი არავინ უწყის, გარდა უმაღლესი შემოქმედისა.

## ავტორული ეკიპის შესახებ

ყველა ფერს თავდაპირველად სითეთრე ჰქონდა ან მეტისმეტი სიშავე, და დანარჩენი ფერები საშუალოა სითეთრესა და სიშავეს შორის. სითეთრიდან თანდათან მატულობს, ვიდრე სიშავის ხარისხს მიაღწევდეს, რომელიც ფერთა ზღვარია.

სითეთრისა (ბაიაზ) და სიშავის (სავანდ) შეჯვარებით სხვადასხვა ფერები მიიღება, და ყოველ ფერს ორი უკდურესი მხარე ექნება. ისე რომ, მაგალითად, ყვითელი ფერი როდესაც ლურჯს შეერევა, მწვანე ფერი მიიღება, რომელიც ორ უკიდურეს მხარეს მიიღების.

და სიმწვანეში ბევრი განსხვავებაა, როგორიცაა ფისტისფერი (ლია მწვანე – ფოს-თოყი), და ზურმუხტისფერი და მოყვითალო-მწვანე (ზანგარი), და ნავთისფერი (ნაფთი) და სხვა. როდესაც თითოეული მათგანი რომელიმე სხვა ფერს შეერევა, რაიმე სხვა ფერი მიიღება. და ამდენად, ფერთა განსხვავება უსასრულოა (ამოუნურავია).

ძვირფასი ქვების (ჯავაპერ) ფერთაგან ზოგი იმ მინიანი ნაერთის გამოა (შეესაბამება), რომელიც იმ ძვირფასი ქვის (ჯოუპარ) არსთანაა შერეული. ისე რომ, მაგალითად, ფრცხილის (ჯაზ') ერთ ნატეხში ბევრი ფერია.

ყოველთვის, როცა რომელიმე ქვას (საწერ), ამა თუ იმ მიზეზით, მზის სხივი

დიდხანს დააცხუნებს, და ამის გამო იმ ქვის ნაწილ(აკ)თა ძალა შესუსტდება, იმ ნაწილაკებში სინოტივე გაიმარჯვებს (დაიმორჩილებს, მოერევა), და თიხის (მიწის – გელ) სახეს მიიღებს (თიხად იქცევა).

ამის შემდეგ, [თუკი] რაიმე სხვა მიზეზით, იმ თიხას ცხელი ჰაერი გარს შემოერტყმება, იმ სინოტივეს მიიზიდავს და გაშრობს, სხვადასხვა ფერის თიხათა სახეობები წარმოიშობა, როგორიცაა წითელი, თეთრი, ყვითელი, ლურჯი და შავი თიხა.

მას შემდეგ, რაც მიწები (გელპა) მზის სიმხურვალის გამო გამოშრება და დაიფშვნება, და მათი ნაწილაკების სიმტკიცე დაირღვევა (მოისპობა), და ფერებს შორის რადგანაც შერევა და შეჯვარება მოხდება, რაიმე სხვა ფერი წარმოიშობა. მაგალითად, ყვითელსა და ლურჯ მიწას (ხა) შორის რომელიმე მწვანე ფერი (განსაკუთრებული სიმწვანე) მიიღება.

თუ სიყვითლე სილურჯეს სჭარბობს, მესამე ფერი ხასხასა მწვანე იქნება.

თუ სილურჯე სჭარბობს – მუქი მწვანე იქნება.

და სწორედ ასევე, თუ სითეთრე და სიშავე (სეფიდი ვა სიღაპი) შეერევა ერთიმეორეს, მათგან მოშავონ ნაცრისფერი (აქპაბ-ე 'უდი) მიიღება, და ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის.

## ავტორული ეკიპის შესახებ, რომლებიც ყოველგვარ მინერალთაგან (ჰავაპერ) არიან

მინერალთაგან ზოგიერთია, რომელიც ღმერთმა... იმისთვის შექმნა, ...რათა ადამიანებმა მასში სარგებელი ნახონ, როგორიცაა ოქრო და ვერცხლი... ყიდვა-გაყიდვას (ვაჭრობას)... მათი მეშვეობით ანარმოებენ... მას ღვთაებრივად მიიჩნევენ ....(\*ფურცლის და ზიანების გამო ტექსტი არ იკითხება) და თითოეულის განსხვავება აშკარად ვლინდება.

ზოგ მათგანს მეფეთა და კეთილშობილთა სამკაულად და მოსართავად ამზადებენ, როგორიცაა მარგალიტი და იაგუნდი და ლალი და ზურმუხტი და ფირუზი.

ზოგი საჭმლის (კერძების) გასაუმჯობესებლადაა, როგორიცაა მარილები (ამლპა).

ზოგი ადამიანის სენთა განკურნების-თვისაა, როგორც თუთია (თუთივი), სურმა (ისმად), სომხური მიწა (გელ-ე არმანი) და მარკაზიტი (მარყ(ა)შიშა).

ზოგისგან, რკინასა და ფოლადზე შეჯახებით, ცეცხლი მიიღება და ამით უზომო სარგებლობის მომტანია.

ზოგი მყარი ნივთიერებად უქცევიათ, როგორც ვერცხლისწყალი.

ზოგი მყარი სხეული ცეცხლის მეშვეო-

ბით თხევადი ხდება, როგორც ბორავი (ბო-რაქსი – ბურე) და ტუტე (კალაქვა, პოტაში – ყალი).

ზოგი ლითონი (ფელეზზათ) გვხვდება, შემთხვევით ორი ნივთიერების შეჯვარებით მიღებული, ორსავე ფერს გამოავლენს, როგორც თუთია (თუთია), მარგანეცი (მაყნისია), დამწვარი სპილენძი, კალა და თეთრა.

ზოგიერთის ფერებს საკუთარი საჭიროებისამებრ იყენებენ, როგორიცაა ნითელი და ყვითელი მიწა, ზირნიხი (ზარნიხ), ლაჟვარდი და ოქროს ვარაყი (ზარნეგარ).

ზოგიერთი, რომელთაგან ჭურჭელსა და სხვა ნივთებს ამზადებენ, როგორიცაა შუშა (ზოჯაჯი), ბროლი, შაბი (შაბბ), ფრცხილი, აყიყი და მარჯანი და სხვანი.

ზოგიც სხვა ლითონთა სახეობებია, როგორიცაა სპილენძი (მეს), და კალა (ყალ’ი) და ტყვია (ოსრობ), რომელთაგან ჭურჭელს ამზადებენ, რაც სჭირდებათ.

ზოგი ცხოველთა [სხეულის] ნანილებში ნარმოიშობა, რომელთაგან თითოეულში რაიმე განსაკუთრებული სასარგებლო ბუნებრივი თვისება (ზასიდათ) იჩენს თავს – ასეთებია თხის ქვა (ჰაჯარ ათ-თავს) და ძროხის ქვა (მოჰარე-ზე განვის) და ქვა, რომელიც ადამიანის შარდის ბუშტში ნარმოიქმნება.

ზოგი გარეგნულად ცხოველისებრია, როგორიცაა კიბორჩხალა (სარათან), ზღვის კურდღელი (არნაბ-ე ბაჰრი – გაქვავებული ზღვის ცხოველი, ან ნიუარა), თეთრი ქვა (სეფიდ მოჰარე) და ეშმაკის ბრჭყალი (ნახონ-ე დივ), აგრეთვე ზღვის ცხოველური ქვების სახეობები.

ზოგი მცენარის და ტოტების მსგავსია, როგორც მარჯანი (მარჯან).

ზოგიც თავდაპირველად მცენარეა, და როდესაც მზის მხურვალება მისწვდება, გამაგრდება და გაქვავდება, როგორც ტუტე (ყალი).

ზოგი ცეცხლისგან იწვის, როგორც ქარვა და სანდალოზი.

ზოგი, თან ტარების გამო, ხალხის თვალში დიდებასა და გავლენას მატებს, და ზოგიც – ამის საწინააღმდეგოდ და საპირისპიროდ.

ზოგი შენობა-ნაგებობათა მასალაა, როგორც თაბაშირი (ჯესს), ცემენტი (სარუჯ) და სხვანი, რომელიც ყველა შექმნა ღმერთმა, ძლიერი და აღმატებული იყოს იგი, რათა მათგან ისარგებლონ, თავიანთი სხეულის სიმრთელისათვის გამოიყენონ, და ზოგიერთისგან მოგება ნახონ, კურთხეულ იყოს ალაჰი, საუკეთესო შემოქმედი და ბრძენთა ბრძენი.

სპარსულიდან თარგმნა  
მერი ჩიქობავამ

## სულთნის ქალიშვილის თავგადასავალი (ბარზერუდის სასოფლო თემის ზღაპრებიდან)

ჩანერილია 1973 წლის ზაფხულში ისპაპანის პროვინციის ნათანზის რაიონის ბარზერუდის სასოფლო თემში ნარმობული საველე სამუშაოებისას ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ლოურენს პოლ ელუელ-სატონისა (Lawrence Paul Elwell-Sutton, 1912–1984) და მისი თანმხლები ირანელი მეცნიერის ქაზემ სადათ ეშევარის მიერ. ამ უკანასკნელმა ეს მასალები წიგნად გამოსცა თეირანში 2007 წელს (გამომცემლობა „ნაშრე ჰეზარ“). მთქმელი: სოფელ ბარზის მცხოვრები ჰაბიბ ეშიკი, 76 წლისა, წერაკითხვის უცოდინარი. სათარგმნელად შერჩეული ზღაპარი საყურადღებოა მოვლენა-თა განვითარების არეალის სიფართოვითა (მოქმედება ვითარდება ირანსა და გერმანიაში) და თანამედროვე ყოფასთან მიახლოებული სხვადასხვა რეალით.

სამნი წვეულებაზე იყვნენ მისულები ლამისთევით. იმ დროს წესად ჰქონდათ დამე შეკრება და მუსაიფი. ლამის საუბრიდან შეიტყვეს, რომ გერმანიაში კალატოზი და შავი მუშახელი აკლდათ. ამ სამიდან ორი ახალგაზრდა იყო, ერთი – ხნიერი. ასე თქვეს, ახლა ირანში სამუშაოს და აღებ-მიცემობის საქმე ქესატადაა. იქ წავიდეთ, ვი-მუშაოთ და ფული ვიშოვოთ.

ერთი სიტყვით, გერმანიაში წასვლა გადაწყვიტეს. ბედის განგებით, ირანის ფადიშაპის ქალიშვილსაც მიეტოვებინა სამშობლო, გერმანიაში წასულიყო და იქაურ მეფეს მისთხოვებოდა. ქალიშვილი ყოველ დილას ჭოვრიტით გასცემოდა ქალაქის კარიბჭეს, საიდანაც მოგზაურები შემოდიოდნენ. ერთხელაც სამი მგზავრი მოხვდა თვალში, რომლებიც ირანელებს მიამსგავსა. მსახურს უბრძანა, წადი და აქ მომგვარეო. კარიბჭესთან მისულმა მსახურმა დაინახა, რომ ამ სამი მგზავრიდან ერთი ახალგაზრდა მოხუცს ზურგ ზე მოკიდებული მოცყავდა, მეორე კი საკუთარი ფეხით მოსდევდა. გაიფიქრა, ალბათ, ამ ახალგაზრდას ფეხი აქვს დაზიანებულიო. მოკლედ, სამივე მიიყვანა ქალბატონთან. ქალიშვილმა იკითხა:

– განა ამ ყმანვილს ფეხი სტკივა, რომ მოხუცის ზურგით სატარებელი გახდა?

– არა, რომ მოვდიოდით, მოვილაპარაკეთ, დალლილობის განსაქარვებლად გზა-

ზე კიბე გაგვედო, მანძილი შეგვემოკლებინა, – მიუგეს მათ.

ქალიშვილმა გაიკვირვა, კიბეს გზაზე ვინ დებსო?

– იმას ვგულისხმობდით, რომ თითოეულ ჩვენგანს გზის გასაიოლებლად რაიმე თავგადასავალი უნდა მოეყოლა და დავთქვით, ვინც ვერ მოყვებოდა, ორი ფარსახის მანძილზე ზურგით უნდა ეტარებინა მეორე. ჰოდა, მოხუცმა ვერც ერთი თავგადასავალი ვერ გაიხსენა და მოუწია პირობის შესრულება, თორემ აქ ჩვენი სწეულებების სამკურნალოდ კი არა, სამუშაოდ ვართ ჩამოსულები.

ქალიშვილმა მოხუცს ასაკი ჰკითხა და, რომ გაიგო, ოთხმოცდაათი წლისა იყო, გაოცებულს აღმოჰყდა:

– მაშ, ეს ოთხმოცდაათი წელი ისე იცხოვრე, არც არანაირი თავგადასავალი გადაგხდენია და არც სხვისაგან გსმენია, რომ მოგეყოლა?

მოხუცმა უპასუხა:

– რაც მე გადამხდა, ალარ მახსოვდა და თავი ვერ მოვუყარე, რომ მომეყოლა.

ქალიშვილმა სამივეს მიმართა:

– დასხედით და მოისმინეთ ჩემი თავგადასავალი, თუ დაგჭირდებათ, სხვასაც უამბობთ.

ისინიც დასხდნენ და სმენად იქცნენ.

ქალიშვილმა ასე დაიწყო: „ამ ლამით

ზუსტად თექვსმეტი წელი მისრულდება. თორმეტი წლისას უკე მოძეზრებული მქონდა მამის სასახლეში ყოფნა და მოწყენილობა მტანჯავდა. რადგან მამას ჩემს მეტი არავინ ებადა და ძალიან ვუყვარდი, სასახლის გარეთ ფეხს არ მადგმევინებდა. ერთხელაც მამას წერილი მივწერე: „სევდა მოძალებია. ნება დამრთეთ, გულის გადასაყოლებლად ცოტა ხანს ბაზარში გავიარო. უბრალოდ ჩავიცვამ, რომ ხალხს მოახლე გოგო ვეგონო“. მამა დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუ დღედალამ ჩემს მოდარაჯე შავ მონას გავიყოლებდი და, მოვრჩებოდი თუ არა ვაჭრობას, მყისვე სასახლეში დავბრუნდებოდი.

შავი მონის თანხლებით ბაზრისაკენ გავეშურე. გზად თერძის შეგირდს მოვკარი თვალი, რომელიც დუქნიდან გამოდიოდა. მის დანახვაზე გონება წამერთვა. ამ ყმაწვილისაგან ასი ისარი გამოიტყორცნა და მკერდზე დამესო. ერთი კი არა და ასი გულით შემიყვარდა. გავიფიქრე: „რა ვიღონო? მე ფადიშაპის ქალიშვილი ვარ, ის კი თერძის შეგირდია. როგორ მივიყვანო სახლში, რომ გულისწადილი ავისრულო?“ შავ მონას ვუბრძანე: „შენ აქედან ფეხი არ მოიცვალო, მე თერძის დუქანში შევალ და მალე მოვბრუნდები“.

შევედი და დუქნის პატრონს ვკითხე: „მე თუ გეცნობით?“ თერძმა უარის ნიშნად თავი გააქნია. როდესაც ვუთხარი, რომ სულთნის ქალიშვილი ვარ, თერძს აღმოხდა: „პიო, საოცრებავ, როგორ მოხდა, რომ პატივი დაგვდეთ და აქ მოსვლით გაგვაძედნერთ?“

შემდეგ შემიპატიუა და დამსვა. ვუთხარი: „ტანსაცმლის შესაკერად მოვედი. თევენს შეგირდს ნემსი და მაკრატელი მიეცით, რომ სასახლეში გამომყევს ზომის ასაღებად. გასამრჯელოს იმდენს გადაგიხდით, რამდენსაც ისურვებთ“. თერძი სიხარულისაგან კანში ვეღარ ეტეოდა და გონებაში ანგარიშობდა: „თუ სულთნის ქალიშვილს სამოსელს შევუკერავ, უეჭველად დიდ მოგებას ვნახავ“. ეს რომ გაიაზრა, შეგირდს ნემსი და მაკრატელი მისცა და სასახლეში გამომაყოლა. თერძის შეგირდთან ერთად სასახლისკენ გავემართე. შავი მონა ცოტა წინ მიღიოდა და ჩვენ უკან მივყვებოდით. გზად სტუმრის გასამასპინძლებლად რაი-

მეს ყიდვა გადავწყვიტე. ორი საზამთრო ვიყიდე და შავ მონას დავაკავებინე. მერე ფართლეულის რიგში გავიარეთ, ქსოვილი შევიძინეთ და მოვედით სასახლეში.

შავ მონას ჩემს ბალში ფეხის შემოდგმის უფლება არ ჰქონდა. კართან დადგა. საზამთროები გამოვართვი. ოთახში შევედით. საზამთრო დავჭერი და შეგირდს ვუთხარი:

– ქსოვილი მოიცდის. ჯერ შენ საზამთრო ჩამიდე პირში, რომ გაკოცო, მერე მეც ჩაგიდებ პირში საზამთროს, რომ მაკოცო.

თერძის შეგირდმა მორიდებისაგან თავი დახარა.

ასე ვუთხარი:

– მე ხომ სულთნის ქალიშვილი ვარ და ამას ვაკეთებ. შენც გიბრძანებ, იგივე გააკეთო.

ორჯერ ისე მოვიქცით, მე რომ მინდოდა. მესამე ჯერზე საზამთროს უტკბილესი წვენი ყმაწვილს სასულეში გადასცდა. საზამთროს მორიგი ნაჭრით პირის დატკბობა რომ დავუპირე, ვხედავ, ყბა მოჰქეცევია და სული გაუცხია. შიშისაგან არ ვიცოდი, რა მექნა, რადგან მამაჩემს ამგვარი ამბების პატიება არ სჩვეოდა. ვინმე წინილას თუ მოკლავდა, ამბობდა, წინილის მკვლელიც სიკვდილით უნდა დაისაჯოსო. მოკლედ, ბალის კარებთან მივედი და შავ მონას ვუხმე. ოთახში შევიყვანე და ვუთხარი:

– ეს სკივრი ძვირფასეულობითაა სავსე. რამდენიც გინდა, აიღე მარგალიტი და ზურმუხტი, ოღონდ ამ ყმაწვილის ცხედარი აქედან გაიტანე და გააქრე.

შავ მონას სიცილი აუტყდა. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა:

– ექვსი წელია, რაც შენი სიყვარული ჩამგარდნია გულში და შენი დაუფლების უინი მკლავს. ექვსი წელი ვითმენდი. ახლა თუ წადილს ამასრულებინებ, გვამს ისეთ ადგილას წავიდებ, რომ ვერავინ მიაგნებს. თუ არა და ფადიშაპთან მივალ და ვეტყვი, თქვენმა ქალიშვილმა სასახლეში ერთი ყმაწვილი მოიყვანა, მასთან სურვილი აისრულა და მერე მოკლა-მეთქი.

მივხვდი, სხვა გამოსავალი არ მქონდა და შავი მონის ნებას დავმორჩილდი. მანაც წყალობად მიიღო ეს შესაძლებლობა. მერე კი გვამი სადღაც გადამალა. ამის მერე უინის მოსაკლავად მუდამ მაკითხავდა.

ერთხელაც სასახლის დიდებულები განცხომას მისცემოდნენ. მათ ლხინს შავი მონაც ესწრებოდა. თითოეული დიდებული საკუთარი საყვარლის ამბავს ყვებოდა. ბოლოს, როცა შავი მონის ჯერიც დადგა, განაცხადა, ჩემი საყვარელი ფადიშაპის ქალიშვილია.

- რას როშავ? – გაიოცა ვეზიორმა.
- თუ ვტყუოდე, თვალები დამთხარეთ, – უპასუხა შავმა მონამ.
- როგორ დაგვიმტკიცებ? – ჩაეძია ვეზიორი.

– წავალ და თავად მოვიყვან.

ვეზიორი დაემუქრა:

– თუ ქალიშვილს მოიყვან და აღიარებს, იცოდე, რომ მას დანდობა არ ექნება, მაგრამ თუ ტყუილი თქვი, შენ არ აგცდება სასკელი.

შუალამე იყო, მეძინა. უეცრად შავი მონა დამადგა თავზე და ადგომა მიბრძანა. მიზეზი რომ ვკითხე, მითხრა:

– სასახლის დიდებულთა ლხინში უნდა წამომყვე და მათ წინაშე აღიარო, რომ ჩემთან იყოფ სარეცელს და ჩემი საყვარელი ხარ.

ღმერთს შემწეობა ვთხოვე. უცებ გონება გამინათდა. ერთგან ბანგი მქონდა გადანახული. ხანჯალიც ავიღე, ისეთი ბასრი, ქვას რომ დაკრავდი, შუაზე ჭრიდა. ხანჯალი წელზე შემოვირტყი და დიდებულთა ლხინში შევედი. დიდვეზირმა მკითხა:

– ამ შავ მონასთან გაქვს საქმე დაჭერილი?

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ენა დამება. დიდვეზირმა ბრძანა:

– როგორც ჩანს, ნიძლავი ჩვენ წავაგეთ და რადგან ასეა, ამ ღამის წვეულებაზე შენ მოგიწევს მერიქიფეობა, ხვალ კი ვნახოთ, რა დღეს დაგაყრის მამაშენი.

ერთ ხელში ღვინის დოქი მეჭირა, მეორეში – ჯამი. ჯამში ბანგს ვაწვეთებდი და ისე ვარიგებდი. სულ ორმოცდაერთი კაცი იყო. ბოლო ჯამი რომ მივაწოდე, პირველმა დაკარგა გონება, მერე – მეორემ, მესამემ... მოკლედ, უკანასკნელი მათგანიც მოცელილივით დაეცა. როგორც კი დავრწმუნდი, რომ არც ერთი არ ინძრეოდა, ვიშიშვლე ხანჯალი და ყველას თავები დავაყრევინე. თან რაც რამ ძვირფასეული ჰქონდათ, წა-

მოვიღე და კოშკში დავბრუნდი. ჩემთვის ვამბობდი: „მადლობა ღმერთს, რომ დამიხსნა ამ შავი მონის შარისაგან“.

დილაზე დიდი აურაზაური ატყდა, ორმოცდაერთ კაცს თავები დააჭრესო. ჩემთანაც მოვიდნენ და მითხრეს, შენი შავი მონაც მოუკლავთო. მეც შევიცხადე, ვინ მომიკლა ჩემი შავი მონა-მეთქი და ავტეხე ერთი მოთქმა-გოდება. საბოლოოდ, ვერ გაარკვიეს მკვლელის ვინაობა.

გავიდა ხანი. ერთხელაც სასახლის საჭურისი მოვიდა და მითხრა:

– სამახარობლო მიბოძეთ! გერმანიის მეფემ ფადიშაპს წერილი მოსწერა და თავისი სპასალარიც გამოაყოლა თქვენი ხელის სათხოვნელად. თანაც უეჭველ თანხმობას მოელის, თუ არადა, ომით იმუქრება.

ფადიშაპი ამ წერილის წაკითხვის მერე ძალიან შეწუხედა და აღელდა. თქვა, ჩემს ქალიშვილს უნდა დავეთათბირო, რას იტყვის ამაზეო, – დასძინა საჭურისმა.

ის იყო, საჭურისის ნათქვამზე ფიქრი დავიწყე, რომ ოთახში მამაჩემიც შემოვიდა წერილით ხელში და მითხრა:

– შვილო, გერმანიის მეფე მწერს, რომ, თუ მას არ მიგათხოვებ, ომს დაიწყებს. რა ვქნათ?

ვუპასუხე:

– მისწერე, რომ თანახმა ხარ, ოღონდ სთხოვე, ერთი წელი მოითმინოს.

ჩაფიქრდი, რა მეღონა ამ ვითარებაში. ერთ ნაცნობ ვაჭართან მივედი და დახმარება ვთხოვე.

ვაჭარმაც მზადყოფნა გამოთქვა:

– თუ ჩემს ღონეს არ აღემატება, დიდი სიამოვნებით გავაკეთებ.

ავუხსენი:

– გადაწყდა, რომ გერმანიაში მივდივარ. გთხოვთ, სოფლებში ოთხი ათასი ქალიშვილი მიყიდოთ და მომგვაროთ, რომ თან გავიყოლიო. ხარჯებს ნუ მოერიდებით. ჩემგან – ფული, თქვენგან – საქმე. მინდა, იქ ხმა გავარდეს, რომ ორანის ფადიშაპის ქალიშვილი ოთხი ათასი მხევლით მოდის.

– რთული საქმეა, – მითხრა ვაჭარმა.

დავიჟინე:

– სხვა გზა არაა, ეს საქმე უნდა მომიგვაროთ.

ბოლოს დავითანხმე. მივეცი, რაც ფული მოითხოვა, და წავიდა. ერთი წლის მერე მაცნობა, ქალიშვილები ქალაქებით ერთ ქარვასლაში არიან, მოდით და ჩაიპარეთო.

წავედი და ვნახე. რა გოგონები იყვნენ, ყველა ლამაზი და გულში ჩასავარდნი. ვაჭარს ვუთხარი: „ამ ოთხი ათასიდან ოთხასი ამომირჩიე“. მიპასუხა, თავად ამომირჩიეო. მეც ითხი ათასიდან ოთხასი გამოვაცალკევე, მერე ოთხასიდან – ასი, მერე ასიდან – ათი, ბოლოს კი იმ ათიდან ერთი ამოვარჩიე. იმდენად მგავდა, ერთმანეთის გვერდით რომ ვმდგარიყავით, ვერ გაგვარჩევდით, რომელი ვიყავით ფადიშაპის ქალიშვილი. ტანითა და ალნაგობით ზუსტად ჩემი ასლი იყო.

ვაჭარს მივუბრუნდი და ვუთხარი:

– ეს ოთხი ათასი ქალიშვილი რომ წავასხა გერმანიაში, არ იტყვიან, ეტყობა, ირანში გვალვა იყო, ლუკმა-პურს ვერ შოულობენ და ახლა ესენი შინამოსამსახურეებად სამუშაოდ ჩამოიყვანესო. ვფიქრობ, ამათი იქ წაყვანა არ ივარგებს. ეს ერთი რომ ამოვარჩიე, სავსებით საკმარისია. დანარჩენები გაათავისუფლე და დააბრუნე საკუთარ სახლებში.

მოკლედ, ეს გოგონა წამოვიყვანე სახლში. ვახშმის მერე ვუთხარი:

– უცხო ქვეყანაში მიწევს გამგზავრება. შენც უნდა წამომყვე და იქ ერთ ლამეს მე უნდა შემენაცვლო.

მანაც მიპასუხა:

– როგორც იტყვით, თქვენს განკარგულებაში ვარ.

რამდენიმე დღის შემდეგ შიკრიკი მოვიდა. პატარძლის სამოსელი ამ გოგონას ჩავაცვი. ის გახდა ფადიშაპის ქალიშვილი, მე კი – გლეხის გოგო. გავემგზავრეთ გერმანიაში...

გოგონა ბედის სახლში შევიდა...

გავიდა ერთი ლამე, ორი ლამე, ერთი კვირა, ორი კვირა. ვხედავ, რომ საერთოდაც არ იმჩნევს, ქმარი რომ წამართვა, ვითომც არა-ფერი! ერთხელაც ტანსაცმლის რეცხვაში ვიყავი, როცა შემოვიდა. ვუთხარი:

– ხანუმ, ხომ შევთანხმდით, რომ ჩემს ქმართან მხოლოდ ერთი ლამე უნდა გაგეთია. რა მოხდა, დაგავიწყდა პირობა?

გოგონამ არც აცია, არც აცხელა, ისე-თი სილა გამაწნა, რომ ცხვირიდან სისხლი

წამსკდა. თურმე ამ ამბავს გერმანიის მეფეც უყურებდა შორიდან. როგორც ჩანს, უცხოელები ცხვირიდან სისხლისდენას უბედურების ნიშნად მიიჩნევენ. მეფეც განრისხდა და ჰკითხა:

– ასე რად მოეპყარი?

გოგონამ უპასუხა:

– რომ გითხრათ, თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით.

მეფე ჩაეძია და გოგოსაგან ასეთი პასუხი მიიღო:

– მეუბნებოდა, გაიხადე, მინდა, შენს ტანს შევხედო.

მეფე აპილპილდა, ფერდში წიხლი ჩამაზილა და დამიყირა, მომწყდი, აქედან დაიკარგეო. მეც წამოვდექი, პირი მოვიბანე და სამზარეულოში შევედი. გავიფიქრე, ორმოცდაერთი კაცი მყავს მოკლული და ამ ერთს როგორ ვერ უნდა გავუმკლავდებეთქი. ეს იყო და, ვითომც არაფერი მომხდარაო, გავაგრძელე საქმიანობა.

დილით მებალეს ვუთხარი:

– მეფემ თავის დასთან მისვლა და ეზოში ხეების გასხვლა გიბრძანათ.

მსახურს ვუთხარი:

– მეფემ ბაზარში წასვლა და რამდენიმე ტომარა ბრინჯის მოტანა გიბრძანათ.

ხაბაზს ვუთხარი:

– ფქვილი გაცერი და ცომი მოზილე, და წყლის მოსატანად ისიც გავისტუმრე სახლიდან.

მოკლედ, სახლში მე და ის გომბიო მარტო დავრჩით. შევედი სამზარეულოში, წავთი გამოვიტანე, მივასხი შეშას და ცეცხლი დავანთე. მერე ეზოში გამოვვარდი და ყვირილი ავტეხე:

– ხანუმ, ხანუმ! სამზარეულოში ხანდარი გაჩნდა!

მითხრა:

– მებალეს უხმე.

– აქ არ არის.

– მსახურს უხმე.

– აქ არ არის.

– ხაბაზს უხმე.

– აქ არ არის.

– აბა, რა ვქნათ? თუ დროზე არ გავინდრევით, მთელი ჩვენი სახლ-კარი განადგურდება.

– სხვა რა გზა გვაქვს, ჩვენ უნდა მივხე-

დოთ საქმეს. მე სათლით წყალს მოგან-  
ვდით, თქვენ კი ცეცხლს მიასხით, – ასე  
ვურჩიე.

გოგონა დამთანხმდა. ორჯერ მივაწოდე  
სათლით წყალი და ორჯერ მიასხა ცეცხლს.  
მესამე სათლი რომ მივაწოდე, ხელი ვკარი  
და ცეცხლში ჩავაგდე. ერთი აალებული შე-  
შაც ავიღე, დავკარი თავში და მოვკალი.  
ხმაურზე მეფე გამოვიდა და იკითხა, რა

ხდებაო.

ვუთხარი, სამზარეულოში ხანძარი გაჩ-  
ნდა-მეთქი.

კიდევ კარგი, თქვენ არაფერი შეგემ-  
თხვათო, მითხრა მეფემ.

ვუპასუხე, მხოლოდ მოახლე დაგვეწვა-  
მეთქი.

ჯოჯოხეთის შავ კარებამდეც გზა ჰქო-  
ნიაო, თქვა მეფემ“.

სპარსულიდან თარგმნა  
ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა

## ჰუშანგ მორადი-ქერმანი

(დაიბ. 1944 წ)

ჰუშანგ მორადი ქერმანის გამოცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული, მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ლიტერატურული ჯილდო. აღნიშნული ნოველა შესულია მის კრებულში „თონი“ და სხვა მოთხრობები.

### რძე

ფეხი ახალი ადგმული მქონია, ისე დავ-ბაჯბაჯებდი თურმე კედელ-კედელ. ხან ძირს დავეპერტყებოდი, ხანაც წამოვდგე-ბოდი. მაჲ ბიბიმ, აბდულ რასულის ცოლმა, შემომხედა და თვალები აუზყლიანდა:

— ღმერთმა შეგარგოს, ჩემი რძე მოგ-ხდენია, რა მალე აიდგი ფეხი! ჩემებმაც ეგ-რე გაიარეს. ეჱ, გიყურებდეს დედაშენი, რა იქნებოდა?!

მაჲ ბიბი რომ წასულა, აქბარის დედა გვსტუმრებია. აქბარს ვეთამაშებოდი და ამ ხუმრობა-ხუმრობაში ჩემთვის პანლური ამოურტყამს. ძალიან მტკენია, ავმდგარვარ და ისე მაგრად მიკბენია, ცხრა სახლს იქით ისმოდა თურმე მისი ღრიალი. დედამისს მკლავზე ძვალსა და რბილში გასული ჩემი ნაკბენის კვალი რომ უნახავს, გაბრაზებულა და დაუცაცხანებია:

— ამისთვის განწვებდი? კი ყოფილა ყუ-ათიანი, აგილესავს კბილები! ნეტა საერ-თოდ არ მეჭმია, დაგაძრო ახლა ეგ კბილები სათითაოდ?

ხელი მაკრატლისკენ რომ წაულია, შემ-შინებია და მომირთავს ჯლავილი. გული მოულბა თურმე:

— აბა, გაგიგონია, ძმა ძმას კბენდეს? ძმები არ ხართ? ძუძუმტები არა ხართ, აბა?!

ცოტა რომ წამოვიჩიტე და უკვე ქუჩა-შიც გავედი, უბნის ქალები, ზოგი თავის ბალ-ბოსტნიდან გამოყოფდა თავს, ზოგიც ფანჯრიდან გამომაყოლებდა ნალვლიან მზერას და იხსენებდნენ, ძუძუს როგორ მა-ნოვებდნენ. ჰოდა, მყავდა კიდეც თითო ქუ-

ჩაზე რამდენიმე დედა. ისხდნენ ეს დედები მდინარის ან წყაროს პირას და, მომკრავ-დნენ თუ არა თვალს, მაშინვე შეეშვებოდ-ნენ თავიანთ სატკივარსა და სადარდებელ-ზე ქოთქოთს და იწყებდნენ ჩემი ამბების გახსენებას, თან სარეცხს რეცხავდნენ.

— ყველაზე ღიდანის მე ვაწოვე. მეზობ-ლები ვიყავით, მთელი ღამეები ვაჭმევდი. ზაჲრა ახალი გაჩინილი მყავდა. ძალიან ცუდი მჭამელი იყო ჩემი გოგო, ერთი ორს გამომწოვდა და ეგ იყო და ეგ, იძინებდა მა-შინვე. სამაგიეროდ, ეს გენახათ! შეარგოს ღმერთმა! რომ ჩააფრინდებოდა ძუძუს, სა-ნამ ბოლომდე არ გამომწოვდა, არ შემეშვე-ბოდა.

— ღმერთო, შენ დაიფარე ყველა! აბა, განა უნდოდა დედამისს ჩვიდმეტი-თვრამე-ტი წლის ასაკში სიკვდილი და შვილის უდე-დოდ დატოვება?! დაატარებდა საწყალი მა-მამისი, ფუზულა, ჩვილს და ყველა მეძუ-ძურ დედას რძეს სთხოვდა. ზოგი ემალებო-და კიდეც, შორიდან თვალს თუ მოპკრავდა ბავშვთან ერთად. ხანდახან საკუთარი შვი-ლისთვისაც კი არ გყოფნის და სხვისას რას აჭმევ?!

— არა, კაცო, მთლად ეგრეც არ იყო! ძა-ლიან კარგად მახსოვს, რიგრიგობით რომ აჭმევდნენ ქალები.

— ღიდი უცნაური ბავშვი კი იყო. არც სატყუარა, არც ძროხის, არც თხის რძე არ მოსწონდა, დედის რძე უნდოდა მხოლოდ.

— თავიდანვე კარგი მჭამელი იყო და პი-რის გემოც კარგი ჰქონდა.

— როგორ მახსოვს, ავად გახდა ერ-

თხელ. ტუჩები უხურდა სიცხისგან. ჩემმა დედამთილმა მითხრა, ძუძუს თუ მისცემ, შენს შვილსაც გადაედებაო. მეც, დედამთილს რომ არ გაეგო, ჩუმად ვიწველიდი და ისე ვაჭმევდი, ეგებ, ასე მაინც გამოვკვებო-მეთქი. ერთხელ, ჭიქაში რომ ვიწველიდი, ქმარმა შემომისწრო, გაბრაზდა, ჩვენმა შვილმა რაღა ჭამოსო?! ორივეს ეყოფა, ესეც არ დარჩება-მეთქი უჭმელი.

ხო, მართლა, არ გეგონოთ, ამ დედების გულების მოგება ყოფილიყო იოლი. იმ ქუჩაზე, სადაც ერთი-ორი დედა მაინც მყავ-და, გავლა არ მინდოდა. მომკრავდნენ თუ არა თვალს, სიყვარულის ბუშტი უსკდებოდათ.

— რო დაადე თავი და მიდიხარ, ან გა-მარჯობა არ იცი, ან მოკითხვა?! ზედ არ გვიყურებ დედებს. რას პეგას ეს? არ გრცხვენია? მოდი, ერთი, გამომართვი ფუ-ლი და საიდ ჯალალის დუქნიდან ჩაი და შა-ქარი ამომირბენინე. შენთვისაც იყიდე რამე ტკბილი. მიდი, მიდი, გაიქცი, ჩემო ბიჭო, ღმერთო, რამხელა ხარ უკვე!

— მიდი, ერთი, ფიჩხი მომიგროვე! პური უნდა გამოვაცხო და შენც დაგიცხობ ქო-ლუს.<sup>1</sup>

— მოდი, ერთი, ახლოს დამიჯექი, ჩემო ბიჭო, შეგხედო კარგად! ვეღარ ვხედავ წე-სიერად. ამ მზეში რომ ვიმუშავე ყანაში, და-მარტყა, მგონი, მზემ. აი, ახალგაზრდა რომ ვიყავი, მომადგებოდა მამაშენი ყანაში მკის დღროს და მეტყოდა: მაჲრაჯ, ბავშვი შიმში-ლით მიკვდება, აჭამე, რა, ცოტაო! მეც გა-დავდებდი ნამგალს, აგიყვანდი ხელში და გაწოვებდი ძუძუს.

— ერთი მიმღერე, რა, ჩემო ბიჭო! კარგი ხმა გქონია, გავიგე. მე რომ გაჭმევდი, მა-გის გამოა, ალბათ, კარგად რომ მღერი. ჩე-მი რძეა ეგ, ხმა რომ დაგითბო და გაგინ-კრიალა. მე თვითონაც კარგი ხმა მაქვს. თუმცა ანი რაღა მაქვს, მქონდა! აი, ახალ-გაზრდობაში, ყველა კბილი რომ თავის ად-

გილას მქონდა, სახელოსნოში, ხალიჩის ქსოვისას, მახსოვს, სიმღერას რომ დავიწ-ყებდი, მიატოვებდა ყველა საქმეს და მე მისმენდა. ჩემი იავნანა ხეზე ჩიტებსაც კი აძინებდა. ჩემს უფროს ბიჭსაც უნდა, რომ ქალაქში წავიდეს და მომღერალი გახდეს. რადიოში რომ იმღეროს. მიდი, გამახარე, მიმღერე, ერთი, რა!

ისეთებიც იყვნენ, სულ რომ არ იმჩნევ-დნენ, ძუძუ რომ მაწოვეს. არ ეწყინოსო, ფიქრობდნენ; მაგრამ სხვებისგან, ანდა სუ-ლაც მათივე შვილებისგან ვიგებდი ამას.

— მე შენზე პატარა ვიყავი. სანამ ძუძუს მოვწოვდი, უკვე გამოწოვილი გქონდა ხოლმე ყველაფერი და ალარაფერს ალარ მიტოვებდი. სულ მშიერი ვრჩებოდი თურ-მე. იმიტომაცაა, ახლა ჩემზე ღონიერიც რომ ხარ და მაღალიც.

კლასშიც და მთელ სკოლაშიც ყველა თანატოლი ჩემი ძუძუმტე იყო.

— დედამ მითხრა, რომ მე და შენ და-ძმა ვართ. დედაჩემის ძუძუ გიწოვია, თურმე. იცოდი, რომ ჩემი მოჰარამი<sup>2</sup> იყავი?

— კარგი, არა უშავს, ჩემი კუთვნილი რძე რომ გიჭამია, ღმერთმა შეგარგოს. საშ-ლელი მომეცი მაშინ, რა!

— ვერა, დამიკარგავ!

— ააა, არ მომცემ? კარგი მაშინ. ვეტყვი დედას და ნახავ შენ, თავის რძეს რომ არ-მად შეგარგებს.

მე ჩემი ვუთხარი, იმან – თავისი, კამათი ჩხუბში გადაიზარდა და დამარტყა. ჩემმა ძმებმა საქმე გაურჩიეს, რომ ალარ ებაქი-ბუქა.

ხოდა, ერთხელაც, ამ დედებს, ძმებს და დებს, სწორედ იმიტომ, რომ ჩემი დედები, ძმები და დები იყვნენ, შერცხვათ და ითაკი-ლეს ეს ჩემი საქციელი:

— ძალიან ბევრიც არ მიწოვებია. ერთი-ორჯერ თუ ვაჭამე, ისიც, ძალიან ცოტა. ისე, არც მქონდა რძე და რას მივცემდი, კაცმა რომ თქვას?

— მამამისმა, აჭამეო, რომ მთხოვა, დამ-შრალი მქონდა რძე. რომ მეწოვებინა, ასე

<sup>1</sup> ქოლუ – ქერმანის სოფლებში ქალები პურის ცხობის დროს, იმავე ცომისგან, ბავშვების გა-სახარებლად პატარა პურს დააცხობენ ხოლმე (ავტორის შენ.)

<sup>2</sup> მოჰარამი – ახლო ნათესავი, რომელთანაც, შარიათის კანონის მიხედვით, აკრძალულია ქორწინება.

კი არ შეირცხვენდა თავს.

— კი, მე კი ვაწოვე ძუძუ, მაგრამ სხვი-  
სიც ხო უნოვია?! აგერ, მაგალითად, რო-  
სარესი. მაგასაც კაი ხვითო ჰყავს! მესამე  
წელია, კლასში ტოვებენ.

— ჩემი რძე საერთოდ ვერც აიტანა, ცხი-  
მიანი მქონდა ძალიან. როგორც კი მივეცი,  
მაშინვე კუჭი აუშალა. მას მერე აღარც კი  
მოუყვანია მამამისს.

— სულ ტყუილად მეტენება. გინდა თუ  
არა, ძმები ვართო, ძუძუმტეები ვართო! არ  
მინდა ასეთი ძმა, კაცო!

ძალიან კარგად ვხედავდი, როგორც კი  
სახელი გამიტყდა, მაშინვე ყველამ დაივინ-  
ყა, ჩემი დედები, ძმები და დები რომ იყ-  
ვნენ.

საქმე ასე იყო: ჩვენს მასწავლებელს ერ-  
თი ნარინჯისფერი ქალალდის ქუდი ჰქონ-  
და, რომელსაც წინ „უწესო“ ეწერა. მეორეს,  
ცისფერს კი — „ყოჩალ“. დატუქსვის ან შექე-  
ბის ნიშნად დაახურავდა თავზე ბავშვებს  
შესაფერის ქუდს და ასე უნდა გაევლოთ  
მთელ სოფელზე, სახლამდე. ხალხიც ქუდის  
ფერით ხვდებოდა ყველაფერს.

რაღა დაგიმალოთ და ერთი სამჯერ-  
ოთხჯერ კი შევცოდე. ერთხელ დავალება  
არ დავწერე, ერთხელ მათემატიკის გამოც-  
დაზე ჩავიჭრი, ერთხელაც მუსტაფას წა-  
ვუთაქე კეფაში, რომ აღარ დაამთავრა ამ  
დედამისის რძეზე ლაპარაკი. ხოდა, დამა-  
ხურეს მეც ნარინჯისფერი ქუდი და გამის-  
ტუმრეს შინ, თან ორი ჯანიანი უფროსკლა-  
სელიც გამომაყოლეს და ზედამხედველიც,  
ქუდი რომ არ მომეხადა. მივდიოდი ასე ქუ-  
ჩამი და მიყურებდნენ დედები თავიანთი  
ეზოებიდან და ფანჯრებიდან. მოჰკრავ-  
დნენ თუ არა თვალს ჩემს ნარინჯისფერ  
ქუდს, მიიმალებოდნენ მაშინვე. შეყოფდნენ  
თავებს, დახურავდნენ ფანჯრებს და ასე

ქოთქოთ-ქოთქოთით განაგრძობდნენ თა-  
ვიანთი საქმის კეთებას. დები და ძმებიც  
ამრეზით გვიყურებდნენ მეც და ჩემს ქუდ-  
საც. აღარც მითანაგრძნობდნენ და აღარც  
იმის სურვილი ჰქონდათ, ჩემი დედები, ძმე-  
ბი და დები ყოფილიყვნენ.

რომ მივხვდი, ვერ იყო საქმე კარგად და  
მთელმა სანათესაომ ზურგი მაქცია, გადავ-  
წყვიტე, გამოვსწორებულიყავი და ცისფერი  
„ყოჩალ“-ქუდი დამემსახურებინა. დღესა და  
ლამეს ვასწორებდი მეცადინეობაში. მისალ-  
მებაც აღარ მავიწყდებოდა სკოლაში. იმდე-  
ნი ვქენი, სანამ მეორე სემესტრში თავი არ  
გამოვიჩინე და მეოთხეკლასელი არ გავხდი.  
მასწავლებელმა რომ ნახა, წარმატებას მი-  
ვაღწიე, დამახურა „ყოჩალ“ — ქუდი და ასე,  
ზედამხედველის გარეშე, მარტო გამომიშვა  
სახლში. ქუჩაში ერთი ჟანგიანი და მიჭყლე-  
ტილ-მოჭყლეტილი ბიდონი ვიპოვე, თოკით  
ჩამოვიკიდე კისერზე, ავილე ჯოხი და ვუბ-  
რაგუნებდი: ბრახ-ბრუხ, ბრახ-ბრუხ, ყვე-  
ლას რომ დაენახა და გაეგო ჩემი ეს სანაქე-  
ბო ამბავი.

ახლაც გამოყვეს თავები თავიანთი ფან-  
ჯრებიდან და ეზოებიდან დედებმა. დებმა  
და ძმებმაც დამინახეს. ნიგვზით, ქიშმიშით,  
ლელვის ჩირითა და ათასი ნუგბარით გა-  
მივსეს დედებმა ჯიბეები. ეს დები და ძმე-  
ბიც დამდევდნენ, მაქებდნენ და მაქებდნენ. მეც,  
გახარებული, ვუბრბრაგუნებდი ამ  
ჩემს დაჟანგულ ბიდონს. ბრახ-ბრუხ, ბრახ-  
ბრუხ...

გავითქვი სახელი.

ერთმა დედამ თავისი სახლის ბანიდან  
ხმამალლა გადმომძახა: „ლმერთმა შეგარ-  
გოს ჩემი რძე!“

## სარჩევი

### არაბული ლიტერატურა

**ალ-ჯაჰიზი,** წიგნი ძუნწებზე, თარგმანი დარეჯან სვანისა ..... 6

### თურქული ლიტერატურა

**ოქთაი რიფათი,** წვიმის მოლოდინი, თარგმანი ნანა კაჭარავასი ..... 16  
**აბდულაჰ ჩელებიოლლუ,** შენ იცი, რაა მუპაჯირობა? თარგმანი ნანა  
 კაჭარავასი და ხათუნა როგავასი ..... 35

### სომხური ლიტერატურა

**ჰოვანეს თუმანიანი,** ზღაპრები, თარგმანი ვერონიკა ხითარიანისა ..... 38

### სპარსული ლიტერატურა

**მოჰამად ებნ მაჰმუდ თუსი ჰამედანი,** საოცრებათა წიგნი (არაკები),  
 თარგმანი ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა ..... 44

**საადი შირაზელი,** ბუსთანი (იგავები), თარგმანი ალექსანდრე  
 ელერდაშვილისა ..... 46

**ჰაფეზი შირაზელი,** ყაზალები, თარგმანი ალექსანდრე ელერდაშვილისა ..... 59  
**აბუ-ლ ყასემ აბდოლაჰ ქაშანი,** ძვირფას ქვათა და სურნელ ნივთიერებათა  
 შესახებ, თარგმანი მერი ჩიქობავასი ..... 74

**ჰაბიბ ეშყი,** სულთნის ქალიშვილის თავგადასავალი, თარგმანი ნიკოლოზ  
 ნახუცრიშვილისა ..... 82

**ჰუშანგ მორადი-ქერმანი,** რძე, თარგმანი თამარ ლეკვეიშვილისა ..... 87

**ყდაზე: კლდის გუმბათი** – ისლამის სიწმინდე, VII ს. იერუსალიმი, წმინდა კლდისპირზე (სახრა) აგებული სალოცავი.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge